დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ-დასავალი

2023 წლის 13 - 19 მარტი

N 12 1476

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# სახელმწიფო გადმოტრიალება



სააკაშვილის გასათავისუფლებლად რუსთაველზე ერთი მანქანის დაწვა ან ერთი შუშის ჩამსხვრევაა დარჩენილი!

2

# პიროვნების კულტიდან ევროკავშირის კულტამდე



1956 წლის 9 მარტისგან განსხვავებით, 2023 წლის 9 მარტს, საქართველო გადაურჩა სისხლისღვრას, მაგრამ ვერ გადაურჩა სირცხვილს!

15



## იგორ გიორგაძე:

# პრეზიდენტ გამსახურდიას თავი არ მოუკლავს, ის მოკლულია!

— თქვენთვის ცნობილია მკვლელების ვინაობა?

— დიახ, ცნობილია!

10

# აკიარებითი ჩვენება და აკიარებული მოღალატეები



3

## მიხეილ ცაგარელი:

# ევროკავშირი ბნელი ძალების მოციქულთა საბჭოა!

4

*2023 წლის 8-9 მარტს საქართველოში სახელმწიფო გადმოტრიალება მოხდა.*

შეიძლებოდა, სახელმწიფო **გადატრიალებაც** მომხდარიყო და ქართველი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლება დასავლეთიდან მხარდაჭერილ აგრესიულ უმცირესობას დაემხო, მაგრამ საქართველოს მმართველმა ძალამ ნაბიჯის უკან გადადგმით **სახელმწიფო გადატრიალება** თავიდან აიცილა.

ხელისუფლების უკან დახევას ზოგი გმობს და ზოგი ამართლებს, ზოგი სისუსტედ მიიჩნევს და ზოგი — სიძლიერედ, ზოგი თვლის, რომ „ქართული ოცნება" ლაჩრულად მოიქცა და საკუთარი გადაფურთხებული ალოკა, ზოგი კი მის საქციელს აფასებს, როგორც პასუხისმგებლიან და სახელმწიფოებრივ მოქმედებას...

ასეა თუ ისე, საქართველო **სახელმწიფო გადატრიალებას** გადაურჩა, მაგრამ თავიდან ვერ აიცილა **სახელმწიფო გადმოტრიალება,** რომელიც, ვინ იცის, **სახელმწიფო გადატრიალებაზე** უარესიც კია!

**სახელმწიფო გადმოტრიალება** ის არის, როცა ქვეყანას, როგორც გაურჩებულ ბავშვს, **გადმოატრიალებენ** და უკანალზე ერთი-ორს კარგად მოსცხებენ, რათა ჭკუა ასწავლონ და მოათვინიერონ.

მოგეხსენებათ, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საქართველომ ევროპელი და ამერიკელი უფროსების წინაშე გვარიანი ურჩობა გამოამჟღავნა და დაუმორჩილებლობა გამოუცხადა ძლევამოსილ ზედამხედველებს, რომლებიც ქართული სახელმწიფოსაგან მუდამ უსიტყვო მორჩილებას იყვნენ ნაჩვევი.

— **მოხალისე მებრძოლების რეკრუტირება უნდა მოახდინო და უკრაინაში სპეცრეისით უნდა გაგზავნო რუსეთთან საომრად!** — უბრძანეს საქართველოს დასავლელმა ზედამხედველებმა, მაგრამ საქართველომ უარი თქვა — **ეს რომ გავაკეთო, სამხედრო კონფლიქტის მხარედ ვიქცევი და საკუთარ თავს მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე დავაყენებო!**

— **ცხინვალსა და სოხუმში ტანკებით უნდა შეისეირნო და რუსეთს მეორე ფონტი გაუხსნა!** — კვლავ უბრძანეს საქართველოს დასავლელმა ზედამხედველებმა, მაგრამ საქართველომ კვლავ შორს დაიჭირა თავი — **ჩემი ტერიტორიების 20 პროცენტი რუსეთს ისედაც ოკუპირებული აქვს და ახლა სულ ერთიანად ვერ შევუვარდები ტანკის მუხლუხოში, ჩემს ქალაქებს ბუჩად და მარიუპოლად ვერ ვაქცევო!**

— **მაშინ რუსეთს ფინანსური სანქციები დაუწესე!** — ისევ და ისევ უბრძანეს საქართველოს დასავლელმა ზედამხედველებმა, მაგრამ საქართველომ ამჯერადაც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: **— ამით რუსეთს ვერანაირ ზიანს ვერ მივაყენებ, საკუთარ ეკონომიკას კი დავანგრევ და ჩემს ხალხს შიმშილისთვის გავწირავო!**

მოკლედ, გაჯიქდა საქართველო, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი მოინდომა, საკუთარი სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების დაცვა მოისურვა, ზედამხედველთა ნება-სურვილზე მაღლა თავისი ხალხის ბედ-იღბალი დააყენა...

ჰოდა, ვინ აპატიებდა ამას ქართულ სახელმწიფოს?

**გადმოატრიალეს** ქართული სახელმწიფო და მოსცხეს და მოსცხეს იმ ადგილას, რომლის ქიცინზეც ბოლო დროს უარს ეუბნებოდა დასავლელ ზედამხედველებს!

**გადმოატრიალეს** ქართული სახელმწიფო და მწარედ აგრძნობინეს — თუ დამოუკიდებლობანას თამაშს გააგრძელებ, შენს თავს დააბრალე, რაც მოგივაო!

**გადმოატრიალეს** ქართული სახელმწიფო და უთხრეს, რომ ატამანს არ უნდა აუხირდეს!

**გადმოტრიალებულ** და ევრო-ამერიკული ჭინჭრით უკანალაჭრელებულ ქართულ სახელმწიფოს ახლა ახალ-ახალ ბრძანებებსა და დირექტივებს მოაყრიან, რომელთაგანაც ერთ-ერთი პირველი სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლება იქნება.

შემთხვევითი არ არის, რომ 8-9 მარტს საქართველოში მომხდარი **სახელმწიფო გადმოტრიალების** შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ **რიში სუნაკთან** ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: **„საქართველოს ხელისუფლებამ მშვიდობისმყოფელი ინიციატივა უნდა აიღოს ხელში და გაათავისუფლოს დაპატიმრებული პოლიტიკური ლიდერები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა".**

ე.ი. საფრანგეთის პრეზიდენტი საქართველოს ხელისუფლებას დამნაშავე სააკაშვილის გათავისუფლებისაკენ მოუწოდებს!

მიაქციეთ ყურადღება: **მაკრონი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს არა სააკაშვილისათვის სასჯელის გადავადებისა და სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაშვებისკენ, არამედ პირდაპირ პატიმრობიდან გათავისუფლებისაკენ!**

სააკაშვილის დაპატიმრების შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მის გათავისუფლებას ისეთი მაღალი რანგის ოფიციალური პირი ითხოვს, როგორიც საფრანგეთის პრეზიდენტი გახლავთ!

**მაკრონი** არ არის არც **კუბილიუსი** და არც **ფონ კრამონი,** ის შეუდარებლად უფრო წონადი და გავლენიანი ფიგურაა!

შესაბამისად, უნდა ველოდოთ, რომ **გადმოტრიალებულ ქართულ სახელმწიფოზე** უახლოეს ხანებში არნახულად გაძლიერდება დასავლელ ზედამხედველთა ზეწოლა სააკაშვილის გათავისუფლების მიზნით!

არც ის არის შემთხვევითი, რომ 8-9 მარტს საქართველოში მომხდარი **სახელმწიფო გადმოტრიალების** შემდეგ ნაციონალური მოძრაობის რეალური მმართველი — ორგვამა ვანო მერაბიშვილი კულისებიდან ოფიციალურად გამოძვრა და პირდაპირ აცხადებს — **ჩვენი მთავარი მიზანი სააკაშვილის გათავისუფლება და საქართველოში ხელისუფლების შეცვლაა, რისთვისაც მალე მასობრივ საპროტესტო აქციებს დავიწყებთ და აქტიურ ქმედებებზე გადავალთო!**

თუ 8-9 მარტს საქართველოში მომხდარ **სახელმწიფო გადმოტრიალებას** გავითვალისწინებთ, ადვილი მისახვედრია, „მასობრივ საპროტესტო აქციებსა" და „აქტიურ ქმედებებში" რა იგულისხმება, მითუმეტეს, მაშინ, როცა დასავლეთიდან „მწვანე" უკვე ანთებულია და სააკაშვილის გათავისუფლებას თვით საფრანგეთის პრეზიდენტი ითხოვს!

ასე რომ, შეგვიძლია, თამამად ვივარაუდოთ: **საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონისა და ორგვამა მერაბიშვილის განცხადებების შემდეგ, სააკაშვილის გასათავისუფლებლად რუსთაველის გამზირზე ერთი მანქანის დაწვა ან ერთი შუშის ჩამსხვრევაა დარჩენილი!**

**გადმოტრიალებულ** ქართულ სახელმწიფოს მძიმე დღეებს უმზადებენ!

ამ მძიმე დღეებისათვის ქართველი ხალხი სათანადოდ უნდა მოემზადოს და საკუთარი ძალა მთელ მსოფლიოს დაანახოს!

ეს ქართველ ხალხს არაერთხელ გაუკეთებია და, რაც მთავარია, არაერთხელ გამოსვლია!

თუ მოვინდომებთ, ახლაც გამოგვივა!

***ჯაბა ხუბუა***



„პროდასავლელ" დემონსტრანტთა „მშვიდობიანი" პროტესტის გამოვლინება თბილისში, რუსთაველის გამზირზე. 2023 წლის 8-9 მარტი.

**გადმოატრიალეს ქართული სახელმწიფო და მწარედ აგრძნობინეს: თუ დამოუკიდებლობანას თამაშს გააგრძელებ, შენს თავს დააბრალე, რაც მოგივაო!**

# სახელმწიფო გადმოტრიალება



**მაკრონისა და მერაბიშვილის განცხადებების შემდეგ, სააკაშვილის გასათავისუფლებლად რუსთაველზე ერთი მანქანის დაწვა ან ერთი შუშის ჩამსხვრევაა დარჩენილი!**



## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩვენი ქვეყნის მომავალი **არ ეკუთვნით** და **აღარ ეკუთვნით** არც უცხო ქვეყნის აგენტებს, არც უცხო ქვეყნის მსახურებს, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის მომავალი **ეკუთვნით** პატრიოტებს!

„რეზონანსი"

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



თავის დროზე **ჯაშუშებისთვის** სახელი რომ დაერქმიათ, საქართველო ბევრ ტკივილს აიცილებდა — დღეს **ბოლშევიკური სული** ცოცხლობს თანამედროვე **სერგო ორჯონიკიძეებში** — **სააკაშვილში, ბოკერიაში, ვაშაძეში, ჯაფარიძეში, ხაბეიშვილში.** დღეს, როდესაც რადიკალური ოპოზიცია ამბობს, რომ **მათი მიზანი მიღწეული არ არის,** აქედან ისინი კარგად ამჟღავნებენ, რომ კანონი მხოლოდ საბაბი იყო.

„ინტერპრესნიუსი"

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



„ქართული ოცნების" ხელისუფლებას **არასდროს გადაუხვევია არც ევროპული არჩევანის და არც ფუნდამენტური ღირებულებებისთვის,** ყოველთვის უსმენდა და ითვალისწინებდა ხალხის სამართლიან ნებას, რაც მომავალშიც ასე გაგრძელდება. **კანონპროექტების უპირობო გაწვევით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენი მთავარი ღირებულება ადამიანი, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობაა,** მიზანი კი, გაერთიანებული საქართველოს მშვიდობიანი და ევროპული მომავალია. **ყველანი ერთად და ღირსებით ევროპისკენ!**

„ფეისბუქი"

**რობერტ ჰაბეკი**
*გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერი*



საქართველოს უნდა ევროპისკენ სვლა და **საქართველოს ელის ევროპა.** პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, **საქართველო იყო ის ქვეყანა, რომელმაც დემოკრატიას ჩაუყარა საფუძველი** და გერმანელი დემოკრატები საქართველოში ჩავიდნენ იმისათვის, რომ ესწავლათ საქართველოსგან, რა უნდა გაეკეთებინათ.

„ახალი თაობა"

# აკიარებითი ჩვენება და აკიარებული მოღალატეები



***ცნობილი პუტჩისტი და კოლექტიური კაენის წარმომადგენელი, ძმათამკვლელი ომის სისხლით დაშხეფილი აკია ბარბაქაძე მოსიარულე აღიარებითი ჩვენება გახლავთ.***

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **აკია** არის მოსიარულე **აკია**რებითი ჩვენება.

**აკია** არის **აკია**რებითი ჩვენება იმის შესახებ, რომ, სადაც ის დგას, შეუძლებელია, იქ საქართველოს საწაღმართო საქმე იჩარხებოდეს.

**აკია** არის **აკიარებითი ჩვენება** იმის შესახებ, რომ, სადაც ის დგას, იქ საქართველოსათვის ზურგში ჩასაცემი მახვილი ილესება და ქართველი ხალხისათვის შესასმელი შხამის ფიალა ივსება.

**აკია** არის **აკია**რებითი ჩვენება იმის შესახებ, რომ, სადაც ის დგას, იქ ევროპას და დასავლურ ღირებულებებს ახლოსაც არ ჩაუვლია.

აბა, წარმოიდგინეთ, სად — **კიტოვანის მეზარბაზნე აკია ბარბაქაძე** და სად — დემოკრატია, სამართლიანობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ყველაფერი ის, რასთანაც, წესით, ნამდვილი ევროპა და დასავლურ ფასეულობათა სისტემა უნდა ასოცირდებოდეს!

სად — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ტყვიის მსროლელი **აკია** ბარბაქაძე და სად — საქართველოს ევროატლანტიკური მომავალი!

სად — საბჭოთა იმპერიის კლანჭებიდან საქართველოს დამხსნელი პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას დამამხობელი **აკია** ბარბაქაძე და სად — კრემლის ინტერესებთან ბრძოლა!

ეს ყველაფერი ერთი დიდი ფარსია, ხოლო **აკია** არის **აკიარებითი** ჩვენება ამ ფარსის შესახებ!

ნეტავი, იმ ახალგაზრდობამ, რომელიც გასულ კვირას რუსთაველის გამზირზე **აკია ბარბაქაძესთან** ერთად ცდილობდა, საქართველო „საბჭოთა კავშირში დაბრუნებისაგან" გადაერჩინა, თუ იცის, რომ საქართველოში საბჭოთა კავშირის გადმონაშთისა და რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო სახე-სიმბოლო სწორედ აკია ბარბაქაძეა?

ნეტავი, იმ ახალგაზრდობამ, რომელიც მიტინგზე **აკია ბარბაქაძესთან** ერთად იბრძოდა „საქართველოს ევროპული პერსპექტივის" გადასარჩენად, თუ იცის, რომ **აკია ბარბაქაძე** არის ხორციელი ანტონიმი ცნება „ევროპის" და ცნება „პერსპექტივის"?

## იდგე მიტინგზე აკიასთან ერთად და იცავდე საქართველოს ევროპულ მომავალს, ეს იგივეა, იდგე კბილებდაკრეჭილ, მშიერ მგელთან ერთად და იცავდე ბატკნების უფლებებს!

ახლა რაც შეეხება პოლიტიკოსებს, რომლებიც **აკიას** გვერდით დგანან, **აკია** თავიანთ წრეში გაიშინაურეს, **აკია** თანამებრძოლად გაიხადეს და **აკია**სთან ერთად გამოაცხადეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება... ყველა ესენი აღიარებული, ბოდიში მოგვითხოვია, **აკიარებული მოღალატეები** ბრძანდებიან.

საქართველოს ეროვნული ინტერესების **აკია**რებული მოღალატეები!

**აკიას** გვერდით მდგომი პოლიტიკოსები ავტომატურად **აკია**რებენ, რომ მათ საქართველოს ევროპული მომავალი და დემოკრატიული განვითარება კი არა, მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და სახელისუფლო სკამების მიტაცება აინტერესებთ.

შეხედეთ **აკიას** გვერდით **გიორგი ვაშაძეს,** შეხედეთ **აკიას** გვერდით **ელენე ხოშტარიას,** შეხედეთ **აკიას** გვერდით **მამუკა ხაზარაძეს,** შეხედეთ **აკიას** გვერდით სხვა ხელმოცარულ, 1-პროცენტიანი რეიტინგის მქონე პოლიტიკოსებს და უმალ მიხვდებით, რა ჭია ღრღნის მათ გულსა და გონებას... სკამი, სკამი და მხოლოდ სკამი! დაუოკებელი ვნება, იქცნენ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონებად და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ერთიანად იყარონ ჯავრი ქართველ ხალხზე, რომელსაც ვერაფრით მოაწონეს თავი, რომელიც ვერაფრით გააბრიყვეს და რომლის მხარდაჭერაც ვერაფრით მოიპოვეს!

იქნებ სწორედ ამიტომ დაიამფსონეს **აკია** ამ 1-პროცენტიანმა პოლიტიკოსებმა, ამ **აკიარებულმა** მოღალატეებმა?

## კი, აკიარებული მოღალატეებისათვის, რომლებსაც თავიანთი 1-პროცენტიანი რეიტინგის გამო არასოდეს მიეცემათ შანსი, ძალაუფლება არჩევნების გზით ჩაიგდონ ხელში, აკია ნამდვილად საჭირო კაცია, რადგან მას პუტჩისა და თანამემამულეთა სისხლში ხელის გასვრის დიდი გამოცდილება აქვს!

თავის მხრივ, **აკიამაც** კარგად იცის, რომ მხოლოდ ამ **აკია**რებულ მოღალატეთა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში აქვს შანსი, რაიმე თანამდებობას გამოჰკრას ხელი: **ხაზარაძის ხელისუფლებაში** თავდაცვის მინისტრობა ეჭყანება, **ვაშაძის ხელისუფლებაში** — შინაგან საქმეთა მინისტრობა, **ხოშტარიას ხელისუფლებაში** — გენერალური პროკურორობა...

ამისათვის, მარტომ ამისათვის იბრძვიან **აკია** და მასთან ერთად **აკია**რებული მოღალატეები!

ვაი და უი, კიტოვანის მეზარბაზნე **აკია** რომ იქნება საქართველოში პროდასავლური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილ ზონდერკომკავშირელ **მამუკა ხაზარაძესთან** და „კაგებეს" კადრების სამჭედლოში გამოზრდილ **ლიაკა ხოშტარიასთან** ერთად!

თუმცა, ახლანდელი ევროპა რაცაა და როგორიცაა, ქართულ პოლიტიკურ სპექტრშიც ზუსტად იმგვარი ადეპტები ჰყავს — კოლექტიური კუბილიუსის მიმდევარი სწორედ რომ **კოლექტიური აკია** უნდა იყოს!

საქართველოში პროდასავლური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **აკია ბარბაქაძე** არის **აკია**რებითი ჩვენება იმის შესახებ, რომ დღევანდელი დასავლეთის პოლიტიკური კლასი უკიდურესად დეგრადირებული და დემორალიზებულია!

შეუძლებელია, საქართველოს მომავალი ასეთ ევროპაში იყოს — კოლექტიური **აკიას** მოსაწონი კოლექტიური კუბილიუსის ევროპაში!

საქართველოს მომავალი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოშია, რომელსაც **აკია** და **აკია**რებული მოღალატეები ვეღარასოდეს ჩაიგდებენ ხელში, თუნდაც რუსთაველის გამზირზე ქვებისა და „მოლოტოვის კოქტეილების" მაგივრად ისევ კიტოვანის ზარბაზანში ჩატენილი რუსული ჭურვები ისროლონ!

***ჯაბა ხუბუა***



**„უცხოეთის გავლენის აგენტთა" კანონის გაუქმების შემდეგ, „გამარჯვების აღსანიშნავად", ნაც-გირჩ-ლელოელებმა პარლამენტის სხდომათა დარბაზში ერთობლივი ფოტო გადაიღეს**

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



არ გამოვრიცხავ, **კობახიძის** გუნდი ჩანაცვლდეს **ყიფიანით,** რომელმაც ანალიტიკური ხასიათის წერილების გამოქვეყნება დაიწყო. ველოდები **ივანიშვილის** ადვოკატის **ვიქტორ ყიფიანის** გუნდის გააქტიურებას.

„კვირის პალიტრა"

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



90-იანი წლების შთამომავლობა ვართ, ბევრი ცუდი რამ გვახსოვს, მაგრამ **„მოლოტოვის კოქტეილები"** მე პირადად არ მახსოვს და სამწუხაროა, რომ ჩვენმა **რადიკალურმა ოპოზიციამ** მოახერხა და ასე დაძაბა სიტუაცია.

„იმედინიუსი"

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



ამ კანონპროექტმა მინიმუმ 60-70 პროცენტით თავისი საქმე გააკეთა და **არასამთავრობო სექტორის ლუსტრაცია მოახდინა** — საზოგადოებამ დაინახა, ვის „ეტკინა" ეს კანონპროექტი — „ეტკინათ" მათ, ვინც რადიკალურ პროცესებს აფინანსებდა.

„ინტერპრესნიუსი"

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



**ნუ გეშინიათ,** ნებისმიერ კანონს, რომელიც არ იქნება თანხვედრაში ევროპულ გზასთან, **დავადებ ვეტოს!**

„ახალი თაობა"

**სავიკ შუსტერი**
*უკრაინელი ჟურნალისტი*



არ ვფიქრობ, რომ საქართველო რუსეთთან **კონფლიქტში** შევა, განსაკუთრებით კი სამხედრო **კონფლიქტში,** მაგრამ **კონფლიქტში** შევა, თუ ოპოზიცია გაიმარჯვებს, კერძოდ, **მიხეილ სააკაშვილის** პარტია.

„იმედინიუსი"

# «აწი საკუთარ თავს დააბრალონ ყველაფერი. თავადაც ნახავთ, ეს ბნელი ძალები რა ულტიმატუმის ენით დაიწყებენ საუბარს!»

***— ბევრს ჰგონია, რომ ჩვენ ევროპისა და ამერიკის მეშვეობით მონობიდან გამოვალთ. სწორედ აქ არის შეცდომა დაშვებული! — აცხადებს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი და არსებული მოვლენების პოლიტიკურ ანალიზსა და პროგნოზს გვთავაზობს:***



## მიხეილ ცაგარელი:

# კანონპროექტის უკან გაწვევით „ქართულმა ოცნებამ“ ისტორიული შეცდომა დაუშვა და საკუთარ კაპიტულაციას მოაწერა ხელი!

— მარტი ძალიან მნიშვნელოვანი თვეა ასტროლოგიური კუთხით. ეს არის წლის ციკლის დასასრული, ანუ გარკვეული შეჯამების პერიოდი. 21 მარტიდან ასტროლოგიური ახალი წელი იწყება. **„ხალხის ძალა“ ცოტა უფრო მეტად რომ ყოფილიყო ასტროლოგიაში ჩახედული, მიხვდებოდა, რომ ამ უცხოელ აგენტთა კანონპროექტის გამოტანა 21 მარტის შემდეგ ჯობდა.** ამ პერიოდში მიზანშეწონილია ძველი საკითხების, პროექტების დასრულება და არა ახლის დაწყება. თუმცა, აღნიშნული კანონპროექტი მეტ-ნაკლები სიმწვავით აგრესიას ნებისმიერ შემთხვევაში გამოიწვევდა. გასაკვირი იმ მოქალაქეების პოზიციაა, რომლებიც ამ ეიფორიას აჰყვნენ. პოლიტიკა გაცილებით უფრო ღრმა და რთულია, ვიდრე ეს გარედან ჩანს და ჩემი რჩევა იქნება — ნუ გახდებიან ცრუ პროპაგანდის მსხვერპლნი.

**— რამდენი წელია, აცხადებთ და, მათ შორის, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან, რომ მთავრობამ ნაციონალური მოძრაობა, ფრიად საეჭვო, დასავლეთზე გაყიდული ასოები და ფსევდოლიბერალების სამსახურში მყოფი ვაი-პოლიტიკოსები პოლიტიკური ორბიტიდან უნდა გაიყვანოს...**

— იქვე იმასაც დავსძენდი, რომ ძალიან რთულია ღარიბაშვილისა და კობახიძის მდგომარეობა. ამის უცებ გაკეთება — მათი საქართველოდან გაძევება ან ციხეში ჩასმა, დიდ პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას, რადგან ფესვები ძალიან ღრმად აქვთ გადგმული. „უცხოური გავლენის აგენტის“ კანონპროექტის გამოტანით სწორედ ეს პროცესი დაიწყეს. მაგრამ სამწუხაროდ, წნეხს ვეღარ გაუძლეს.

**— არ უნდა გაეწვიათ კანონი უკან?**

— ეს არის **„ქართული ოცნების“ ისტორიული შეცდომა!** ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათ რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვეს. პირველი ეს იყო **ნაციონალებთან კოჰაბიტაციის გამოცხადება.** მეორე — **პრეზიდენტად ანტიეროვნული პოლიტიკოსების — მარგველაშვილისა და ზურაბიშვილის დანიშვნა** და შემდგომ მათ რიგებში **ბახარიას** შემოძრომა. ახლა ამით დააგვირგვინეს — **კანონპროექტის უკან გაწვევით „ოცნებამ“ ყველაფერი წყალში გადაყარა, საკუთარ კაპიტულაციას მოაწერა ხელი.** ფაქტობრივად, ანტიეროვნულმა ძალებმა გაიმარჯვეს. ამ გადაწყვეტილებით მათი დაღმასვლის პერიოდი დაიწყება და შესაძლოა, პოლიტიკური მოღვაწეობა ძალიან ცუდად დაასრულონ. ოპოზიციამ და მისმა დამქაშებმა უკვე იციან, რა გზებით შეიძლება ხელისუფლების დამარცხება — ერთხელ თუ დაათმობინეს, კიდევ დაათმობინებენ!

**— მთელი დასავლეთი ფეხზე დადგა, განცხადებები განცხადებებზე კეთდებოდა და რა უნდა ექნა ხელისუფლებას?**

— მოდით, დავაკონკრეტოთ — **დასავლეთის ის ბნელი ძალები დადგნენ ფეხზე, რომლებიც ანტიეროვნულ ძალებს — ლგბტ ჯგუფებს, ფსევდოოპოზიციონერებს აფინანსებენ, რომლებიც საქართველოს ანგრევენ და სურთ, ევროპაში დამონებული ქვეყანა შეიყვანონ!**

ადამიანები, რომლებიც აქციაზე გავიდნენ, ტყუილის მსხვერპლნი არიან. მერე რა მოხდა, რომ ახალგაზრდები იყვნენ გარეთ გამოსული, არ გვინახავს მანამდე ასეთი შეტევები? რამე ახალი იყო? არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა დათმობა. **ამით „ოცნება“ და მასთან ერთად საქართველო — მისი ეთნოსი, კულტურა დამარცხდა. „ქართულმა ოცნებამ“ ამას ვერ გაუძლო და მათ შემდგომ შემოტევებს გაუძლებს?!**

**— რა შეიძლება მოხდეს?**

— ეს ძალები დაიპყრობენ ოლიმპს და რასაც მოისურვებენ, იმის გაკეთებას აიძულებენ მთავრობას.

### დამარცხებულები საქართველოში არ უყვართ, „ქართული ოცნება“ კი დამარცხებულია. შეიძლება შემდგომ არჩევნებში ვეღარ გაიმარჯვოს. დაკარგავს იმ ხალხის მხარდაჭერასაც, რომელიც მისი გულწრფელი გულშემატკივარია.

აწი საკუთარ თავს დააბრალონ ყველაფერი. თავადაც ნახავთ, ეს ბნელი ძალები რა ულტიმატუმის ენით დაიწყებენ საუბარს, ევროპაც და ამერიკაც გაათმაგებული ძალით მოაქცევს წნეხში ხელისუფლებას. ეს წარუმატებლობა შეიძლება ძალიან ძვირი დაჯდეს.



„მეც მაინტერესებს და კარგი იქნება, თუ ბიძინა ივანიშვილი უპასუხებს შეკითხვას — რატომ მოიყვანა ზურაბიშვილი პრეზიდენტად, ვინ აიძულა ამის გაკეთება?“

**— „ოცნების“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამ საკითხს ასე არ დატოვებენ, მოსახლეობასთან კანონპროექტთან დაკავშირებით აქტიურ შეხვედრებს გამართავენ...**

— ეს მანამდე უნდა გაეკეთებინათ, ვიდრე კანონპროექტს განსახილველად გამოიტანდნენ. 24 საათის განმავლობაში უნდა ჰქონოდათ მოსახლეობასთან კონტაქტი, ამომწურავი ახსნა-განმარტება მიეცათ ხალხისთვის. ახლა უკვე აღარავის აინტერესებს. მორჩა. პიარი წაგებული აქვთ!

კანონი, რომლის მიღებაზეც ერთი ამბავი ატყდა, თითქმის ყველა ქვეყანაში მოქმედებს, მათ შორის შტატებშიც და ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის არის მნიშვნელოვანი. ყველა ქვეყნის უშიშროება საქმის კურსშია — ხომ არ მოქმედებს რომელიმე ჯგუფი უცხოეთიდან შემოსული თანხებით ქვეყნის საწინააღმდეგოდ. როგორ გგონიათ, რატომ ატყდა ამხელა ამბავი ჩვენს ქვეყანაში? შემთხვევით აეწვა კუდი ბევრს?

**— ცხადია, რაღაცის დამალვას ცდილობენ...**

— ამ კანონის მიღებით ყველაფერს თავისი სახელი დაერქმეოდა. გაირკვეოდა, რომ უზარმაზარი, ფრიად საეჭვო თანხები შემოდის ქვეყანაში ენჯეოებისთვის, რომელთაც გაწერილი პროგრამა აქვთ. გამჭვირვალე გახდებოდა, რითი იკვებება ე.წ. ფსევდოოპოზიცია და მასმედია.

### მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებისკენ რომ იშვერენ ხელს, გადახედეთ, ოპოზიციისა და ენჯეოების წარმომადგენლები რა ქონების პატრონები არიან, როგორი სახლები და მანქანები ჰყავთ! საიდან? გაჭირვებული ხალხის შემოწირულობებით გამდიდრნენ?

არა ბატონებო, იმ ფულებით არიან ასეთი პრივილეგირებული, რომელსაც დასავლეთიდან ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის იღებენ.

შეიძლება იყო დიდი მეცნიერი, კარგი სპორტსმენი, მაგრამ არ გესმოდეს, რა ხდება რეალურ პოლიტიკაში. პოლიტიკას თავისი ენა აქვს. ჩვენმა პატივცემულმა მეცნიერებმა არ იციან, რა გლობალური ცვლილებებია ახლა სამყაროში, რას ნიშნავს ფსევდოლიბერალიზმი, როდის წარმოიქმნა, ვინ შექმნა, **თავის დროზე რატომ იყო ფსევდოლიბერალიზმის დროშით გამოგზავნილი რუსეთში ლენინი და ტროცკი.**

**— ეს ხომ ძველთაძველი ავანტიურაა...**

— დიახ, ისინი მაშინ ამერიკელებმა დააფინანსეს, გერმანელებმა მოამზადეს და სწორედ ამ ლიბერასტულ პროგრამას ახორციელებდნენ! **დასავლეთი მათი ხელით ცდილობდა რუსეთის დანგრევას, მაგრამ ქართველმა სტალინმა ჩაუყარა კოვზი ნაცარში, თუმცა, ბევრმა დღესაც არ იცის ეს, რადგან სხვა ისტორიაზე გვზრდიდნენ.**

ჩვენს ღვაწლმოსილ ადამიანებს არ ვადანაშაულებ, მაგრამ ვთხოვ — ჩემო კარგებო, ნუ აყვებით იმ პროპაგანდას, რომელიც უცხოეთიდან არის დაფინანსებული და ერთადერთი მიზანი აქვს — ქვეყნის დანგრევა, ჩვენი თვითმყოფადობის დაკარგვა. საქართველომ თავისი განვითარების გზით უნდა იაროს! რაკი ევროკავშირი ან ამერიკის ელჩი აპროტესტებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრმად დავეთანხმოთ ყველაფერში. ამბობთ, რომ საზომი დასავლეთიაო, მაგრამ რომელი დასავლეთი და რატომ — ამას აღარ კითხულობთ?

ევროკავშირი კორუფციაშია ჩაფლული, დაშლის პირასაა. წინ კიდევ რა ელოდება, კაცმა არ იცის. თუ ფეხი დაუცდა და პოლონეთი უკრაინაში შევიდა, მერე ნახეთ, რაც მოხდება. **გაგახსენდებათ ჟირინოვსკის არაერთხელ ნათქვამი, რომელზეც 2-3 წლის წინათ გვეცინებოდა — დავბომბავთ ვარშავასო.** მსოფლიოში გადანაწილების პროცესი მიდის და ამას მოწამლული პროპაგანდით კი არა, საღი გონებით უნდა შევხედოთ და ავუწყოთ ფეხი!

**— და მაინც, დღეს საკითხს ასე აყენებენ — ან — რუსეთი ან — ევროპა!**

— ისევ იმ შეცდომის დაშვებას ვაპირებთ, რასაც ბოლო 700 წელია, უშვებს საქართველო და რის გამოც ვისჯებით. **რატომ რუსეთი ან ევროპა? რატომ უნდა ვიყოთ რომელიმე მხარე და არ უნდა გვქონდეს ჩვენი გზა?!** ეს არის სწორედ იმ პროპაგანდის ნაწილი, რომელიც რუსეთზე ან ევროპაზეა გაყიდული.

**— გვაქვს კი ამის ფუფუნება?**

— ამის მაგალითი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა. გახსოვთ, წლების წინათ რა დღეში იყო აზერბაიჯანი? დღეს თურქეთთანაც კარგი ურთიერთობა აქვს, ევროპასთანაც, ამერიკასთანაც და რუსეთთანაც, მეტიც, მასთან უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაც კი დადო. **აბა, გაბედოს ამერიკის ელჩმა, რამე განცხადება გააკეთოს ბაქოში. რატომ უნდა გვაჯობოს ალიევმა? მან თავის ქვეყანაში იმთავითვე არ დაუშვა ენჯეოები, ფსევდოლიბერალური ოპოზიცია. ფინანსური რესურსი გამოაცალა, დაარბია...** ამის გამო დასავლეთში ტირანს და დიქტატორსაც ეძახდნენ, მაგრამ მერე რა? ქვეყანა აყვავდა. **აბა, ნა-**

# «ევროკავშირი ბნელი ძალების

# «ოპოზიციამ და მისმა დამქაშებმა უკვე იციან, რა გზებით შეიძლება ხელისუფლების დამარცხება – ერთხელ თუ დაათმობინეს, კიდევ დაათმობინებენ!»

**ხეთ, ევროპაში ჩასულ ალიევს როგორ ხვდებიან და ელაქუცებიან? არაფერი შუაში არ არის ნავთობი. უბრალოდ, სწორი პოლიტიკა აირჩია. არავის არაფერი დაუთმო, არ გაუთავისუფლებია არცერთი ოპოზიციონერი, რომელზეც ევროკავშირი მიუთითებდა, მაგრამ ამით არაფერი დაკლებია, პირიქით, აზერბაიჯანი უფრო პატივსაცემი ქვეყანა გახდა.**

## რომ არა ალიევის პრინციპული პოზიცია, ფსევდო-ლიბერალები აზერბაიჯანსაც ისეთ მდგომარეობაში ჩააგდებდნენ, როგორც დღეს საქართველოა.

როგორ ფიქრობთ, ფსევდოლიბერალებმა ამდენი ოპოზიციური პარტია რატომ შექმნეს? პირველ რიგში, ეს მათთვის არის მომგებიანი. მაშინ, როცა ერთი კაცი გამოდის პოზიციის მხრიდან, ათი ოპოზიციონერი საწინააღმდეგოს აფიქსირებს და საზოგადოებას ტვინს ურევს. **12 კაციდან 10 რომ ერთს იძახის და მხოლოდ ორი — საწინააღმდეგოს, ვის დაუჯერებენ?!**

„მთავარ არხს“ და „ფორმულას“ ვინ აფინანსებს? — კეზერაშვილი, რომელმაც ჩვენი ქვეყნიდან წაღებული ნაძარცვი ფული იგივე საქმეში, სამხედრო ბიზნესში ჩადო — იარაღის გადამყიდველია. **გგონიათ, სადმე გაუჩინარდნენ ის ფსევდოლიბერალები, რომლებმაც კეზერაშვილი და მისნაირები მოამზადეს? სწორედ ისინი უდგანან და უმაგრებენ მათ ზურგს უცხოეთში.**

## „გალფის“ საწვავს რომ ასხამთ, ვისია ეს ბიზნესი? – კეზერაშვილის. „ვისოლი“ ვის ეკუთვნის? – სააკაშვილის ძმას. ამის შემდეგ რა უნდა უპასუხო მათ, ვინც იტყვის, საქართველოს მთავრობა ლიბერალური არ არისო?!

პირადად მე, დიდი ხნის წინათ ჩამოვართმევდი მათ ნაძარცვ ქონებას და არ მივცემდი საშუალებას, ხალხის ჯიბიდან ამოღებული ფულით ანტისახელმწიფოებრივი ძალები გაეძლიერებინათ.

**— რას იტყვით სალომე ზურაბიშვილზე, რომელიც ოთხი წელიც არ არის გასული, რაც „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტად აირჩია და დღეს ხელისუფლების ნომერ პირველი მოწინააღმდეგეა?**

— მეც მაინტერესებს და კარგი იქნება, თუ ბიძინა ივანიშვილი უპასუხებს შეკითხვას — რატომ მოიყვანა ზურაბიშვილი პრეზიდენტად, ვინ აიძულა ამის გაკეთება? **პრეზიდენტი ზურაბიშვილი დიდი ხანია, ანტისახელმწიფოებრივი პერსონაა. მას თავისი ზემდგომი ჰყავს.** სხვათაშორის, მას შემდეგ, რაც ანტისახელმწიფოებრივი განცხადებების გაკეთება აქტიურად დაიწყო, მისი შვილები მომენტალურად დაწინაურდნენ. ვინმეს მართლა სჯერა, რომ სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის სიყვარულმა ააღელვა ასე ძალიან? არის იმის გარანტია, რომ საფრანგეთიდან არ მოსდის თანხები და ამის გამომზეურების ეშინია? **ისიც უცხოეთის აგენტია და ამიტომაც ემთხვევა მისი ინტერესები ენჯეოებისა და სავევო ოპოზიციის ინტერესებს.**

**— და მაინც, რუსეთი თუ ამერიკა?**

— ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი განვითარების გზა, ყველა ქვეყანასთან — ნორმალური, პარტნიორული და არა კოლონიური ურთიერთობა. **რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოდან მას ნატო არ დაარტყამს. ევროპამ უნდა იცოდეს, რომ რუსული ჯარი საქართველოში არ იდგება.** ფაქტობრივად, დღეს პირდაპირ გვეუბნებიან — თუ აქამდე რუსეთის მონები იყავით, ახლა ევროპის მონები უნდა იყოთ, ანუ საქართველო ისევ მონობაში უნდა დარჩეს, ოღონდ უფრო მაღალი ცივილიზაციის მონობაშიო... **აღარ უნდა განვთავისუფლდეთ, ხალხნო, ამ მონობისგან?!** კიდევ ერთხელ ვკითხულობ — რომელ ევროკავშირში უნდა შევიდეთ, სადაც გაქანებული კორუფციაა, ლიბერასტები სხედან და მხოლოდ ლგბტ ჯგუფების გაძლიერებაზე ფიქრობენ? რაზე ვაწერთ ხელს, ახალი ფორმის მონობაზე? ეს ხომ სამარცხვინო და დამანგრეველია ქართული კულტურისთვის, ეთნოსისთვის? პირადად მე ასეთი ურთიერთობით შეურაცხყოფილი ვარ!!!

თავის დროზე ალიევსაც ბლოკავდნენ, მაგრამ, როცა გაძლიერდა, იქით ჩადიან და ეფერებიან. ახლა აღარ არის ტირანი? გარწმუნებთ, ევროპა მონებისთვის არ შეიწუხებს თავს. საქართველოს თუ უნდა ევროპისა და ამერიკის მონობა, თქვენც დაინახავთ — გააგრძელებენ ჩვენს თავზე დაფურთხებას!

**— და მაინც, რა უფლება აქვს ამერიკის ელჩს, ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაერიოს და ჭკუა გვასწავლოს?!**

— ეს არის დიპლომატიური სტატუსის დარღვევა. მას, ფაქტობრივად, იგივე ფუნქცია აქვს, რაც საქართველოს კომპარტიის ცეკაში საბჭოთა კომპარტიის უმაღლეს წარმომადგენელს — აქაურ მეორე მდივანს ჰქონდა. რადგანაც რუსეთი დაქცეულია და ამერიკა — ძლიერი ქვეყანა, ამიტომ უნდა მოვითმინოთ? ამიხსენით, რა ლოგიკაა?

კიდევ ერთხელ განვმარტავ მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ ევროპული ფასეულობების წინააღმდეგი ვარ. არამც და არამც! **მე იმ ბნელი ძალების წინააღმდეგი ვარ, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ევროპას აზის თავზე.** დიახ, ევროკავშირი ბნელი ძალების მოციქულთა საბჭოა! ეს ის ევროპაა, რომელიც დამნაშავე სააკაშვილის განთავისუფლებას ითხოვს, რომელმაც მთელი 9 წელი ასვა და აჭამა ნახევარ ევროკავშირს! მეთიუ ბრაიზებს და კუბილიუსებს დაბადების დღეებს უხდიდა, საჩუქრებს უგზავნიდა. ლამის ნახევარი ევროკავშირი წილებში ჰყავდა... ცხადია, პატივისცემას არ დაუვიწყებენ.

გეკითხებით — რა უფლება აქვს ევროკავშირს, სუვერენული ქვეყნის საქმეებში ჩაერიოს? გველაპარაკებიან, როგორც მონებს, ამ დროს კი სააკაშვილი, ლუქს ნომერში ნებივრობს.

**კიდევ ერთხელ ვამბობ — ჯერ სადა ვართ, ფილმი აწი იწყება — ცოტაც და თავად ნახავთ ხელისუფლების ამ არასწორი გადაწყვეტილების შედეგებს!**

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***



„პროდასავლელ“ დემონსტრანტთა „მშვიდობიანი“ პროტესტის გამოვლინება თბილისში, რუსთაველის გამზირზე. 2023 წლის 8-9 მარტი.

„დასავლეთის ის ბნელი ძალები დადგნენ ფეხზე, რომლებიც ანტიეროვნულ ძალებს — ლგბტ ჯგუფებს, ფსევდოოპოზიციონერებს აფინანსებენ, რომლებიც საქართველოს ანგრევენ და სურთ, ევროპაში დამონებული ქვეყანა შეიყვანონ!“



„აბა, გაბედოს ამერიკის ელჩმა, რამე განცხადება გააკეთოს ბაქოში. რატომ უნდა გვაჯობოს ალიევმა? მან თავის ქვეყანაში იმთავითვე არ დაუშვა ენჯეოები, ფსევდოლიბერალური ოპოზიცია. ფინანსური რესურსი გამოაცალა, დაარბია!“



# მოციქულთა საბჭოა!»

*საკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებული უპარტიო პოლიტიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე* ***გიგლა ბარამიძე*** *ბოლო დღეების განმავლობაში განვითარებულ დრამატულ პროცესებს აფასებს და აცხადებს, რომ საქართველოში „ჯაშუშების რევოლუცია“ არ უნდა მოხდეს:*






# გიგლა ბარამიძე: ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს რესურსი, ჯაშუშების რევოლუცია არ დაუშვას!

— ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტობამ და, ზოგადად, ახალგაზრდობამ საკუთარი სამოქალაქო პოზიცია გამოხატოს, მაგრამ ის, რაც 8-9 მარტს ვიხილეთ — ე.წ. მოლოტოვის კოქტეილების სროლა, პოლიციელებისათვის ქვების დაშენა, ავტომობილების დაწვა, პარლამენტის შენობაში შეჭრის მცდელობა და შუშების ჩამსხვრევა — გულწრფელ და მშვიდობიან პროტესტთან არავითარ კავშირში არ არის.

ისიც ფაქტია, რომ მართლაც ჯაშუშობისა და ქვეყნის ღალატისაკენ მიდრეკილი რევანშისტები — **ნაცსექტა და მასთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციები** — წარმატებით ახერხებენ, ახალგაზრდების გულანთებულობა თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენონ, ხელისუფლება კი უკვე მერამდენედ ვერ ახერხებს, ამას ხელი შეუშალოს.

## ბარაქალა ქართველ პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს, რომლებიც ნაცებივით არ მოიქცნენ და ძალადობრივი აქციების დასაშლელად მხოლოდ აუცილებელი, მინიმალური ძალა გამოიყენეს!

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება სწორად მოიქცა, როცა „უცხოეთის გავლენის აგენტებთან“ დაკავშირებული კანონპროექტი პარლამენტიდან გაიწვია და მის კანონად ქცევაზე უარი თქვა?**

— კანონპროექტის გაწვევა ხელისუფლების სისუსტედ არ მიმაჩნია, პირიქით, უკან დახევა და თუნდაც საკუთარი პოლიტიკური რეიტინგის დაზიანება მაშინ, როცა ეს ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერსს სჭირდება, ღირსების ნიშანია. ხელისუფლების სისუსტეს მე უფრო სხვა რამეში ვხედავ.

**— კერძოდ?**

— მერამდენედ უნდა დამარცხდეს „ქართული ოცნება“ ნაცებსა და ვაილიბერალებთან საინფორმაციო ომში?!

რევანშისტულმა ნაცბანდამ, რომელსაც ამ ხელისუფლებამ მოპარული მილიარდები შეარჩინა, იმდენი მოახერხა, რომ საზოგადოების, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების ნაწილს დააჯერა, **თითქოს „ქართულ ოცნებას“ ქვეყანა ევროპის ნაცვლად რუსეთისკენ მიჰყავს მაშინ, როცა სწორედ ამ ხელისუფლებამ გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯები საქართველოს ევროინტეგრაციის მიმართულებით!**

## ნაცბანდა, რომელმაც რუსეთს კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი უბრძოლველად ჩააბარა, ხოლო ომის შემდეგ სტრატეგიული ობიექტები მიჰყიდა, მერამდენედ ახერხებს, ახალგაზრდობა ანტირუსული ლოზუნგებით აიყოლიოს და ხელისუფლების წინააღმდეგ დარაზმოს!

და კიდევ: წლებია, განგაშის ზარებს ვარისხებთ იმის გამო, რომ **ნაცბანდამ ქართულ უნივერსიტეტებში ლექტორების სახით ჩანერგა საკუთარი დესანტი,** რომელიც სტუდენტებს გამუდმებით აწვეთებს ანტიქართულ შხამს, თავისუფლების სახელით ტვინს ურეცხავს და ცდილობს, სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოზარდოს, ხელისუფლება კი ამის გამოსასწორებლად არაფერს აკეთებს!

**— მმართველი პარტიის ლიდერები აცხადებენ — საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრებს გავმართავთ და საფუძვლიანად ავუხსნით, რომ კანონპროექტში ქვეყნის ევროპული კურსის საწინააღმდეგო არაფერი წერიაო... არ ჯობდა, ეს მანამდე გაეკეთებინათ, სანამ კანონპროექტს პარლამენტში წარადგენდნენ და ამხელა აჟიოტაჟს გამოიწვევდნენ?**

— დიახ, პრობლემა სწორედ ის არის, რომ ხელისუფლებამ საზოგადოებასთან სათანადოდ არ იმუშავა და რევანშისტულ-რადიკალური ნაცბანდის აშკარად მოსალოდნელ პროვოკაციებს საფუძველი წინდაწინვე არ გამოაცალა. ასე ხდება, როცა მმართველი ძალა საკუთარ ნაჭუჭში იკეტება, ხალხთან კავშირს კარგავს და სამი-ოთხი კაცის ჭკუაზე იწყებს სიარულს. არადა, **ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩვენთვის რომ ეკითხათ, ვეტყოდით, რომ ამ კანონის მიღებამდე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან — სტუდენტებთან, პედაგოგებთან, ხელოვანებთან, სპორტსმენებთან და ასე შემდეგ — სერიოზული საინფორმაციო და ახსნა-განმარტებითი სამუშაო იყო ჩასატარებელი,** მაგრამ რჩევას არავის ეკითხებიან, ჭკვიანი ხალხის აზრი არ აინტერესებთ და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ — ჯაშუშები რევოლუციის მოწყობას ცდილობენ იმის გამო, რომ ჯაშუშობის საშუალება არ დაკარგონ!

საერთოდ, ე.წ. **გავლენის აგენტების ლუსტრაცია** ისედაც დიდი ხანია, მომხდარია და სრულიად აშკარაა, ვინ წარმოადგენს საქართველოში „მეხუთე კოლონას“, რომელსაც სახელმწიფო კანონის მთელი სიმკაცრით უნდა ებრძოლოს, მაგრამ ხელისუფლება ამ კუთხითაც უმოქმედოა. მაგალითად, „აგენტების კანონი“ არაფერში სჭირდება იმას, რომ შესაბამის უწყებაში დაიბარონ და პასუხი მოსთხოვონ **სააკაშვილის დედა გიულნარა-ხანუმს,** რომელსაც თავის სახელზე 170 მილიონი დოლარის მოპარული და მიტაცებული ქონება აქვს გაფორმებული!



**„აგენტების კანონი“ არაფერში სჭირდება იმას, რომ შესაბამის უწყებაში დაიბარონ და პასუხი მოსთხოვონ სააკაშვილის დედა გიულნარა-ხანუმს, რომელსაც თავის სახელზე 170 მილიონი დოლარის მოპარული და მიტაცებული ქონება აქვს გაფორმებული!“**

**— როგორ ფიქრობთ, ნაცსექტისა და მათი უცხოელი მოკავშირეების აწ უკვე ღიად გაცხადებულ მიზანს — საქართველოში რევოლუციური გზით ხელისუფლების დამხობას — ახდენა უწერია?**

— დასავლეთის გლობალისტურ ძალები ვერ შეძლებენ, საქართველოს ხელისუფლება კანონგარეშედ გამოაცხადონ და დაამხონ, რადგან „ქართული ოცნება“ მის მიერ წარმოებული სამშვიდობო პოლიტიკისა და ქვეყნის ომში არჩართვის გამო ქართველი ხალხის დიდი ნაწილის მხარდაჭერას ჯერ კიდევ ინარჩუნებს. გარდა ამისა, **პოლიტიკურ ასპარეზზე არ ჩანს ახალი ძალა, რომელმაც შეიძლება, „ქართული ოცნება“ შეცვალოს, სისხლიან ნაცბანდასა და მის მოკავშირეებს კი ქართველი ხალხი არასოდეს მისცემს ხელისუფლებაში დაბრუნების უფლებას!**

ძალიან კარგად თქვა პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა:** „ჩვენი ქვეყნის მომავალი არ ეკუთვნის არც უცხო ქვეყნის აგენტებს, არც უცხო ქვეყნის მსახურებს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მომავალი ეკუთვნის პატრიოტებს“.

საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ხელისუფლებას შეუძლია, დღესვე გამოაცხადოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც „ქართული ოცნება“ უპირობოდ მოიგებს!

**— ხელისუფლებას ურჩევთ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს?**

— „ქართულ ოცნებას“, უპირველეს ყოვლისა, იმას ვურჩევ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერა სწორად და ქვეყნისათვის სასიკეთოდ გამოიყენოს, ნუ მოწყდება საკუთარ მრავალრიცხოვან ამომრჩეველს, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს კარჩაკეტილ ოთახში ნუ მიიღებს და ჭკვიანი ადამიანების განსხვავებული აზრიც მოისმინოს!

ბოლო მოვლენებმა ისიც ცხადყო, რომ დღევანდელ ხელისუფლებას საკუთარ გარემოცვაში ბევრი მტერი და გამცემი ჰყავს!

**— კონკრეტულად, რას და ვის გულისხმობთ?**

— **ის პერსონები, რომლებსაც ხელისუფლება ელოლიავება და დაუმსახურებელ პატივში ამყოფებს, რადიკალებისა და „მეხუთე კოლონის“ გვერდით დადგნენ მაშინვე, როგორც კი იგრძნეს, რომ შეიძლებოდა, „ოცნების“ გემი ჩაძირულიყო!** არადა, ასეთი ორპირებისა და კომფორმისტებისათვის სასათბურე პირობების შექმნის ფონზე, „ქართულ ოცნებას“ უამრავი ღირსეული ადამიანი ჰყავს გარიყული და განაწყენებული!

მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს რესურსი, **ჯაშუშების რევოლუცია** არ დაუშვას და ქვეყანა ნაცრევანშისტებს არ ჩაუგდოს ხელში! იმედია, „ქართულ ოცნებაში“ გონს მოეგებიან და ამჯერად მაინც ისწავლიან მწარე გაკვეთილს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ვანო მერაბიშვილი**
*შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი*



პარლამენტთან ხალხი უბრალოდ იდგა და მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი და ა.შ. **იგივე რამ მოხდება კლინიკასთანაც,** ზუსტად იგივე რამ მოხდება, ვინაიდან ხალხის წაყვანა რომ დავგეგმოთ, მთავრობაც იმავენაირად მოიქცევა და სამართალდამცავებს წაიყვანს. რა თქმა უნდა, **მნიშვნელოვანი არაა, სად „გაირღვევა“ პოლიციის კორდონი, პარლამენტთან თუ კლინიკასთან.** კორდონის ნებისმიერი „გარღვევა“ — ეს **სააკაშვილისა** და მთელი საქართველოს გათავისუფლებაა.

„ინტერპრესნიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



**ვანო მერაბიშვილი** და ეს დინოზავრები, **წარსულის პოლიტიკური გადმონაშთები,** ახლაც ხელებს იფშვნეტენ. მათ ჰგონიათ, რომ ეს ხალხი თვითონ გამოიყვანეს.

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



თბილისში **„მაიდანიზაციის“** პროცესების უკან ტექნიკურ ორგანიზატორად იდგა **„ორი ტრუპი“ მერაბიშვილი** და ფინანსური „დირექტორი“ **კეზერაშვილი.**

„აიპრესი“

**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*



ქართველ საზოგადოებას **არც რუსეთი უნდა და არც ნაცების უკან მობრუნება.** აი, ეს არის ობიექტური მოცემულობა.

„ახალი თაობა“

## ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲑᲔᲠᲘᲐᲜᲘᲫᲔ:

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ!

## „ᲕᲘᲦᲐᲪᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲔᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲓᲐ!“



***ჟურნალისტი ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲑᲔᲠᲘᲐᲜᲘᲫᲔ ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ ვიღაცის ხელის აქნევაზე ეს მართული ბავშვები, რომლებიც მათმა პატრონებმა გაწირეს და წინ აიფარეს, აწი ყველაფერს გააპროტესტებენ — 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებასაც და ახალგაზრდების ჯარში გაწვევასაც:***

— მოგეხსენებათ, 2023 წლის 2 მარტს დეპუტატებმაც და ე.წ. „გავლენიანმა არასამთავრობოებმაც“ საქართველოს პარლამენტში, **ᲯᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲐᲑᲔᲡᲙᲘᲠᲘᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ** ყველაფერი დალეწეს და ერთმანეთი უკანასკნელი სიტყვებით ლანძღეს!

### ᲯᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲠᲐᲛᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲛᲐ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲮᲕᲠᲘᲢᲔᲡ, ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲩᲝᲥᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲡᲔᲜᲘ, ᲐᲢᲝᲪᲗᲐᲜ ᲨᲐᲠᲕᲐᲚᲩᲐᲮᲓᲘᲚᲘ „ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ“, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ?

აი, ასე, ამ მაგალითით, უდედმამოდ და სკაიპით გაიზარდნენ ის ბავშვები, რომელთა საქციელიც დღეს არ მოგვწონს და რომლებმაც 2023 წლის 8-9 მარტს ეკლესია და ღმერთი შეურაცხყვეს.

1983 წელს, როცა „თვითმფრინავის ბიჭების“ გარშემო ერთი ამბავი ატყდა, ფილარმონიაში გამოვედი და ვთქვი — ახალგაზრდობა მაჭარივით დუღს, მეღვინეებს მაინც ჰკითხეთ, არ შეიძლება მაჭრით სავსე ქვევრს თავი დაახურო, ახალგაზრდობას მივხედოთ-მეთქი! მაშინ ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო ის ამბოხი და მივიღეთ უბედურებების კასკადი... **ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲔᲡ!**

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ახალგაზრდებთან არ მუშაობს. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდებთან ვინც „იმუშავა“ და ვინც გადაიბირა, ბოლოს სწორედ იმ მაჯლაჯუნებმა აიფარეს ის ბავშვები და დაელოდნენ სისხლს.

სხვათაშორის, მხოლოდ ე.წ. ოპოზიციის ლიდერებს არ აუფარებიათ 12 წლის ბავშვები, ასე ისინიც მოიქცნენ, რომლებსაც ეს ხელისუფლება დღემდე ღორივით უყრის მარგალიტებს წინ! **2 ᲛᲐᲠᲢᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲘᲛ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲘᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲝᲓᲐ, ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲯᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲐᲑᲔᲡᲙᲘᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔ ᲜᲐᲛᲧᲝᲤᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!** არც 7 მარტს მისულან — ჟიული შარტავას დაბადების დღეს, როცა ქვეყანა თავზე გვენგრეოდა, მხოლოდ ვეტერანები და ძველი მებრძოლები მივიდნენ... ერთადერთი ეს არ ეხებათ **ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲡᲐ** და **ᲒᲘᲕᲘ ᲛᲘᲥᲐᲜᲐᲫᲔᲡ,** რომელიც ოჯახს ესტუმრა და მოიკითხა...

ეს უბედურება, რომელიც 2023 წლის 2 მარტს ჟიული შარტავას სახელობის დარბაზში ტრიალებდა, იცით, საიდან დაიწყო? 2004 წლიდან, როცა ქვემო ქართლის ახლადგამომცხვარი გუბერნატორი, ვიღაც ნაცი, რომელმაც რამდენიმე თვეში უზარმაზარი ქონება დააგროვა და აუზები აიშენა, ჟიული შარტავას ხსოვნის საღამოზე გამოვიდა და დარბაზში მყოფ ჩეხ დიპლომატს, ჟიულის მეგობარს ასე მიმართა — **ᲩᲕᲔᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲚᲗ, ᲯᲘᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲡ ᲕᲘᲞᲝᲕᲘᲗ, ᲛᲘᲡ ᲜᲔᲨᲢᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲕᲐᲚᲗ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔᲝ!** ანუ იმ დეგენერატმა ისიც კი არ იცოდა, ჟიული აფხაზეთიდან გადმოსვენებული რომ იყო... სხვათაშორის, სიმართლე უნდა ვთქვა — **ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲔᲡ ᲓᲐᲕᲬᲔᲠᲔ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲓᲐ, ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲛᲝᲐᲫᲠᲔᲡ!**

**— მაინც რა ხდებოდა 2023 წლის 8-9 მარტს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე?**

— 2023 წლის 8-9 მარტს ხდებოდა ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამხობდნენ! მოგეხსენებათ, ჩემი მშობლიური კუთხე ახალგორის რაიონია და ჩემებისგან ვიცი —

**ᲒᲐᲠᲓᲐ ᲛᲝᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡᲐ:** **2023 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲒᲐᲜᲒᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘ ᲓᲐᲥᲝᲥᲔᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲙᲔᲜ ᲬᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲘᲒᲘᲕᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲑᲐᲖᲐᲖᲔᲪ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘᲪ... ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡ ᲕᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔ ᲓᲐ ᲢᲘᲠᲝᲓᲜᲔᲜ!**

მოგეხსენებათ, აჭარაში ძალიან ბევრი აფხაზი ცხოვრობს, რომლებთანაც კავშირი მაქვს და გულგახეთქილი მირეკავდნენ — ჩვენი ახლობლები და ნათესავები აფხაზეთში ტირიან, რუსები რაღაც უბედურებისთვის ემზადებიან, მთელ აფხაზეთში საბრძოლო განგაშიაო!

**— მაინც რა ხდებოდა?**

— ხდებოდა ის, რომ ვიღაცა რუსეთის ტანკებს თბილისში ეპატიჟებოდა და საქართველოს ხელისუფლების დამხობას აპირებდა!

**— მერედა, ვინ იყო ეს ვიღაცა, ამერიკელი თუ რუსი?**

— ორივე! რუსეთი და ამერიკა ერთმანეთის თანხმობის გარეშე არაფერს აკეთებენ... ამ სულელებმა ქვეყანა რომ გადააყრუეს — ბაიდენი უკრაინაში საიდუმლო ვიზიტით ჩავიდაო! — რა იყო საიდუმლო, როცა პუტინთან იყო მისი ვიზიტი შეთანხმებული! **ᲘᲪᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲨᲘᲜᲓᲐ? ᲠᲝᲪᲐ ᲐᲛ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲔᲑᲛᲐ — Ე.Წ. ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲛᲐ, ᲬᲘᲜ 12-13 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲐᲘᲤᲐᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲬᲘᲠᲔᲡ!**

**ᲔᲙᲐ ᲙᲕᲔᲡᲘᲢᲐᲫᲘᲡ** ინტერვიუ წავიკითხე, სადაც წერდა — ჩემი 15 და 12 წლის შვილები აქციაზე არიან, რა უჭირს თუ გაზს ჩაყლაპავენო! ხელისუფლება მოიქცა სწორად, რომ ეს კანონი უკან გაიწვია, მაგრამ ახლა გასარკვევი ის არის, რატომ მოხდა იმ ავბედითი კანონის ასე უცბად ინიცირება და „შემოგდება“ და რატომ გადაიფარა **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ბრწყინვალე გამოსვლა ბერლინში, რომელსაც 500 ევროპული მედიასაშუალება აშუქებდა და საქართველო, როგორც ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების მასპინძელი ქვეყნის პავილიონი, 300 ათასამდე ადამიანმა მოინახულა? აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ღონისძიებას ესწრებოდა გერმანიისა და მთელი ევროპის პოლიტიკური და ბიზნესელიტა!

**— რა იქნება, რას ელით?**

— ველოდები იმას, რომ ვიღაცის ხელის აქნევაზე ეს მართული ბავშვები აწი ყველაფერს გააპროტესტებენ — 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებასაც და ახალგაზრდების ჯარში გაწვევასაც! **ᲐᲑᲐ, ᲒᲐᲑᲔᲓᲝᲡ ᲕᲘᲜᲛᲔᲛ ᲓᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲐ ᲒᲐᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝᲡ — ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲩᲐᲥᲝᲚᲐᲕᲔᲜ!** ქვეყანას სუვერენიტეტი აქვს დასაბრუნებელი და ეს სუვერენიტეტი, იცით, როდის დაბრუნდება? როცა ის ხალხი, ვინც 2007 წელს ახალგორის რაიონი ე.წ. „სამხრეთ ოსეთს“ მიუერთა, ხოლო კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ დაარქვა, თანამდებობებზე არ გეყოლება დანიშნული და ხელისუფლებაში ეროვნული, პატიოსანი და ერთგული კადრები მოვლენ!

*ესაუბრა*

***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***

## „საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ახალგაზრდებთან არ მუშაობს. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდებთან ვინც „იმუშავა“ და ვინც გადაიბირა, ბოლოს სწორედ იმ მაჯლაჯუნებმა აიფარეს ის ბავშვები და დაელოდნენ სისხლს!“





„ᲞᲠᲝᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚ“ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲜᲢᲗᲐ „ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ“ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲖᲔ. 2023 ᲬᲚᲘᲡ 8-9 ᲛᲐᲠᲢᲘ.

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

### ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ვისაც ქვეყნის რყევა სურს, თავს ნუ გამოაყენებინებთ** — მერწმუნეთ, ჩვენი ქვეყნის ბედი ჩვენზე მეტად არავის აწუხებს. მსურს, კიდევ ერთხელ, როგორც მრავალჯერ, განვაცხადო, რომ **საქართველოს მომავალი ჭეშმარიტ ევროპულ ღირებულებებშია** და ამაში ყველა გამომსვლელს ქუჩაში, მომხრესა თუ არამომხრეს ვეთანხმები, მაგრამ გულწრფელად გული მწყდება, რომ **წაუკითხავად ვაპროტესტებთ** იმას, რაც ჩვენსავე ინტერესს დაიცავს.

გადაწყვეტილება, რომელიც მმართველ გუნდთან ერთად მივიღეთ, სწორია — **ახალგაზრდები სერიოზულად რომ დაზიანებულიყვნენ, არაფრის ფასად არ ღირს.**

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

### ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲝᲚᲡᲙᲘ
*პარლამენტარი*



დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ **უკრაინიდან ჩამოვიდნენ ნაცმოძრაობის მომხრეები,** რომლებიც ამ ახალგაზრდული ენერგიის გამოყენებით შეეცდებიან, **რევოლუციური პროცესი და ორი „ტრუპის“ თემა** კიდევ შემოვიდეს დღის წესრიგში.

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

### ᲒᲝᲒᲐ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐ
*კინორეჟისორი*



კანადის მთავრობა სარეგისტრაციო სისტემის შემოღებას გეგმავს. რეესტრი ქვეყნის შიდა საქმეებში უცხოური გავლენის ჩარევის პრევენციას მოემსახურება. არიქა! **მადამ სალომე, ლომჯარია, ხაბე, კიკუ, სამშობლოს გადამრჩენებო!** იღუპება კანადა, რუსულ კანონს იღებს! გვიშველეთ!

„ᲢᲕᲘᲢᲔᲠᲘ“

### ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ
*სახალხო პარტიის ლიდერი, ყოფილი პარლამენტარი*



ხელისუფლება და ეს ოპოზიცია **ერთად ქმნიან ქაოსს** ქვეყანაში. ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი **ყველა ზღვარს გადავიდა** და პროვოკაციული მოქმედება ჩაიდინა.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

*— უნდა გაეწვია თუ არა ხელისუფლებას „უცხოური გავლენის აგენტთა“ შესახებ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი?*
*— ამ კითხვით დავიწყეთ ინტერვიუ საქართველოს განათლების ყოფილ მინისტრთან, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრთან, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძესთან, რომელიც 8-9 მარტს რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენების გამო აღშფოთებას ვერ მალავს:*

# «ვეკითხები ხელისუფლებას - რატომ არ იჭერთ აკია ბარბაქაძეს, გედევან ფოფხაძეს და გიგა მაქარაშვილს, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალების ძალადობრივ სცენარს განიხილავდნენ?!»



**„სირცხვილია, რომ საქართველოში „სირცხვილია“ არსებობს და ეს სირცხვილი უნდა მოიშოროს ქართველმა ხალხმა!“**

ელიზბარ ჯაველიძე:

აკია ბარბაქაძე, გიგა მაქარაშვილი, გედევან ფოფხაძე





# სუვერენიტეტი თავზე დაგვახიეს და მოგვექცნენ, როგორც უუფლებო კოლონიას!

— ჩვენმა მეცნიერებათა აკადემიამ ზომიერი განცხადება გაავრცელა და კანონპროექტის გაწვევა ხელისუფლების გონივრულ ნაბიჯად შეაფასა, რაც, პოლიტიკური თვალსაზრისით, ალბათ, სწორია, მაგრამ **პირადად მე მიმაჩნია, რომ საქართველოს გამოკვეთილ მტერთან — ნაციონალურ მოძრაობასთან ნებისმიერ დათმობაზე წასვლა დიდი შეცდომაა!**

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ ნაციონალურ მოძრაობასთან დათმო თუ ე.წ. საერთაშორისო პარტნიორებთან, რომლებიც კანონის მიღებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ?**

— პირდაპირ ვაცხადებ, რომ ამერიკასა და ევროპას საქართველო და ქართველი ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ, მათ ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ტერიტორიად სჭირდებათ, საიდანაც რუსეთს პრობლემებს შეუქმნიან. მომხრე ვიყავი, რომ პარლამენტს ე.წ. გავლენის აგენტებთან დაკავშირებით ამერიკული კანონის ზუსტი ანალოგი მიეღო, რადგან ეს არასამთავრობო ორგანიზაციები — **„სირცხვილია“, „დროა“** და მათი მსგავსნი, რომლებსაც „სამოქალაქო საზოგადოებას“ ეძახიან, სინამდვილეში, ქართული სახელმწიფოს, ქართული ცნობიერების, ქართული ზნეობის, ქართული რწმენის პირდაპირი მტრები არიან და ამაში დიდ ფულს იღებენ. სირცხვილია, რომ საქართველოში **„სირცხვილია“** არსებობს და ეს სირცხვილი უნდა მოიშოროს ქართველმა ხალხმა! დროა, მივხედოთ **„დროას“** და სხვა **„ტროას ცხენებს“**, რომლებიც ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული ცნობიერების დასანგრევად შემოგვიგდეს!

**— სხვათაშორის, „სირცხვილიას“ ლიდერი გიგა მაქარაშვილი 8 მარტს რუსთაველის გამზირზე გამართული იმ „სამთა თათბირის“ ერთ-ერთი მონაწილეა, სადაც პარლამენტის შენობაში მომიტინგეების შეჭრას, ე.წ. მაიდნის მოწყობასა და ხელისუფლების დამხობას განიხილავდნენ!**

— დიახ, მოვისმინე ტელევიზიების მიერ გავრცელებული ჩანაწერი, რომელშიც ეს გარეწარი მაქარაშვილი, უდღეური გედევან ფოფხაძე და კიტოვანის მეზარბაზნე აკია ბარბაქაძე საუბრობენ — მწვანე გვაქვს ანთებული, პარლამენტში უნდა შევიჭრათ და ესენი უნდა დავამხოთო! **ვეკითხები ხელისუფლებას — რატომ არ იჭერთ აკია ბარბაქაძეს, გედევან ფოფხაძეს და გიგა მაქარაშვილს, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალების ძალადობრივ სცენარს განიხილავდნენ?!** რატომ არ არის დაპატიმრებული ადეიშვილის ყოფილი მარჯვენა ხელი **გიორგი ვაშაძე,** რომლის მოწოდების საფუძველზეც მომიტინგეებმა პარლამენტის შენობას ალყა შემოარტყეს, ფანჯრები ჩაამტვრიეს და შიგნით შეჭრას ცდილობდნენ?!

უნდა ითქვას, რომ

**იმ ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რომლებმაც რუსთაველის გამზირი გადაწვეს და დაანგრიეს, პოლიციას ქვებს ესროდნენ და რუსთაველის თეატრის კედლებზე უცენზურო სიტყვებს ჯღაბნიდნენ, სოროსის სოროში – „ილიაუნშია“ გამოზრდილი, სადაც ანტიქართული იდეოლოგია დუღს.**

ახალგაზრდას, რომელიც ქართული კულტურის დიდი ტაძრის — რუსთაველის ეროვნული თეატრის კედელზე სასქესო ორგანოს მიახატავს, შეუძლებელია, სამშობლოს განცდა გააჩნდეს და იცოდეს, რას



**„დიდი უბედურებაა, რომ სოროსს, რომელიც ევროპის რიგი ქვეყნებიდან, მათ შორის, საკუთარი სამშობლოდან — უნგრეთიდანაც კი გაძევებულია, საქართველოში გაშლილი ხელებით ხვდებიან და ია-ვარდს უფენენ!“**

„მზექალა შანიძე 97 წლის არის და არ მინდა, ვაკადრო, რომ ბოდავს, მაგრამ

**სირცხვილია, როცა დიდი აკაკი შანიძის შვილი ქართული ცნობიერების ყველაზე დიდ მტერს - სოროსს აქებს!“**



# «ვეკითხები ხელისუფლებას -

## რატომ არ არის დაპატიმრებული ადეიშვილის ყოფილი მარჯვენა ხელი გიორგი ვაშაძე, რომლის მოწოდების საფუძველზეც მომიტინგეებმა პარლამენტის შენობას ალყა შემოარტყეს, ფანჯრები ჩაამტვრიეს და შიგნით შეჭრას ცდილობდნენ?!“

ნიშნავს საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ მიტინგზე „საქართველო, საქართველო“-ს გაჰყვირის!

დიდი უბედურებაა, რომ სოროსს, რომელიც ევროპის რიგი ქვეყნებიდან, მათ შორის, საკუთარი სამშობლოდან — უნგრეთიდანაც კი გაძევებულია, საქართველოში გაშლილი ხელებით ხვდებიან და ია-ვარდს უფენენ.

**— სხვათაშორის, თქვენმა კოლეგამ — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრმა, ცნობილმა ენათმეცნიერმა მზექალა შანიძემ ამ დღეებში სოროსს ქებადიდება მიუძღვნა — სწორედ მისი ფონდის დახმარებით მოხდა კომპიუტერული ტექნოლოგიებისათვის პირველი ქართული შრიფტის შექმნა, პირველი ქართული ვებგვერდებიც მისი დაფინანსებით შეიქმნა და სოროსს საქართველოში სულ ტყუილად უტეხენ სახელსო! რას იტყვით?**

— **მზექალა შანიძე 97 წლის არის და არ მინდა, ვაკადრო, რომ ბოდავს, მაგრამ სირცხვილია, როცა დიდი აკაკი შანიძის შვილი ქართული ცნობიერების ყველაზე დიდ მტერს — სოროსს აქებს!** იმავე მზექალა შანიძის გასაგონად ერთსაც ვიტყვი — სოროსმა ქართული კომპიუტერული შრიფტის შესაქმნელად კაპიკები თუ დახარჯა, ქართული განათლების სისტემისა და ეროვნული ცნობიერების გასარყვნელად მილიარდები აქვს დახარჯული!

**— ნაცოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც ხელისუფლების უკან დახევამ გაადიდგულა, იმუქრებიან, რომ არ დაუშვებენ იმ მომიტინგეთა პასუხისგებაში მიცემას, რომლებმაც ძალადობრივი, კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ჩაიდინეს. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება მათ დასჯასაც ვერ გაბედავს?**

— ყველა მომიტინგე, ახალგაზრდა იქნება თუ ძველგაზრდა, რომელიც ე.წ. გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს გასცდა და ნამდვილი ვანდალივით იქცეოდა, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო სახელმწიფო აღარ იქნება!

ქართველი ხალხისაგან დიდი მადლობა და დაფასება ეკუთვნით **პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს,** რომლებმაც მომიტინგეთა ძალადობრივი ქმედებები აკადემიურად, ყოველგვარი ძალის გადამეტების გარეშე აღკვეთეს! ყოჩაღ შინაგან საქმეთა მინისტრ **ვახტანგ გომელაურს,** რომელმაც ეს ოპერაცია მაღალპროფესიონალურად ჩაატარა! აბა, ერთი შევხედოთ, როგორ შლიან მიტინგებს საფრანგეთში, ბელგიაში, ევროპის სხვა ქვეყნებში, ამერიკაში — ქვისა და „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლა კი არა, პოლიციელის მისამართით რომ გადააფურთხონ, ძვლებში ამტვრევენ! რუსთაველის გამზირზე აგრესიულ მომიტინგეთა ქმედებების გამო 50-ზე მეტი პოლიციელია დასახიჩრებული და ამის გამკეთებლებს ხელი უნდა დავაფაროთ? მაშინ გამოვაცხადოთ, რომ სახელმწიფოს ვაუქმებთ და ეგ იქნება!

**— რას იტყვით საქართველოს პრეზიდენტზე, რომელმაც მომიტინგეებს ღია მხარდაჭერა გამოუცხადა, მათ მიერ ჩადენილი ძალადობა და პოლიციელების მისამართით ქვების სროლა კი ცალყბადაც არ დაუგმია?**

— სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტად არჩევა არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შეცდომა, რაც ქართველმა ხალხმა უახლეს ისტორიაში დაუშვა! პირადად მე თავიდანვე ვამბობდი, რომ **ამ უზნეო და უჯიშო დედაკაცის პრეზიდენტად არჩევა არ შეიძლებოდა,** რადგან მას ქართულისა და ეროვნულის არაფერი სცხია, არანაირი სულიერი და ემოციური კავშირი ამ ქვეყანასთან არ გააჩნია!

სხვათაშორის,

**ძალიან მიკვირს, რატომ არავინ საუბრობს იმაზე, რომ 8–9 მარტს თბილისში განვითარებული მოვლენები პირდაპირ კავშირშია საქართველოს მიერ მეორე ფრონტის არგახსნასა და რუსეთის წინააღმდეგ ომში არჩაბმასთან!**

დიახ, ამერიკის ელჩისა და ევროპარლამენტარების მხრიდან მომიტინგეების პირდაპირი წაქეზება და ე.წ. მაიდნის მოწყობისაკენ ირიბი მოწოდებები გახლდათ ამერიკისა და ევროკავშირის შურისძიება საქართველოს ხელისუფლებაზე იმის გამო, რომ ქვეყანა ომში არ ჩართო!

საერთოდ, რა უფლება აქვთ ელჩებს, რომ საქართველოს შიდა საქმეებში ასე უხეშად ყოფენ ცხვირს და კანონის მიღებას კი არა, კანონპროექტზე მსჯელობასაც კი გვიკრძალავენ? როცა პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა** სცადა, მათთვის დაემტკიცებინა — კანონპროექტში რუსული და დასავლეთის საწინააღმდეგო არაფერი წერიაო, პირდაპირ უთხრეს — არ გვაინტერესებს, კანონპროექტში რა წერია, არ უნდა მიიღოთ და მორჩაო! ე.ი. თქვენი უფროსები ჩვენ ვართ და რასაც გიბრძანებთ, ის უნდა გააკეთოთო! **სუვერენიტეტი თავზე დაგვახიეს და მოგვექცნენ, როგორც უუფლებო კოლონიას!**

**— ახლა ნაცები გამარჯვებულად გრძნობენ თავს და გაჩერებას არ აპირებენ. თქვენი აზრით, რა იქნება მათი მომდევნო ნაბიჯი და მიაღწევენ თუ არა სააკაშვილის გათავისუფლებას?**

**– თუ ხელისუფლება ბოლომდე დაიყრის თავზე ნაცარს და სააკაშვილს გაათავისუფლებს, მაშინ დაიხუროს ქუდი და საკუთარი ფეხით წავიდეს, სანამ ქართველი ხალხი გააგდებს!**

თუ ქვეყნის ამრევებსა და გადატრიალების მოსურნეებს სახელმწიფო უმკაცრეს პასუხს არ გასცემს, ასიათასობით ქართველი გამოვა ქუჩაში, მარტო რუსთაველის გამზირი კი არა, მთელი თბილისი განრისხებული ხალხით გადაივსება და ეს ხალხი თავად აღასრულებს სამართალს! ასე რომ, სანამ საქმე აქამდე მისულა და უბედურება დატრიალებულა, მოვუწოდებ ხელისუფლებას — **დაიჭირეთ და გაასამართლეთ ყველა, ვინც სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობს! აჩვენეთ ქართველ ხალხსაც და მსოფლიოსაც, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და არა — დეგნანებისა და ფონ კრამონების კოლონია!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***


გიორგი ვაშაძე, სალომე ზურაბიშვილი

**„სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტად არჩევა არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შეცდომა, რაც ქართველმა ხალხმა დაუშვა!“**

**„დიდი მადლობა პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს, რომლებმაც მომიტინგეთა ძალადობრივი ქმედებები აკადემიურად, ყოველგვარი ძალის გადამეტების გარეშე აღკვეთეს! ყოჩაღ შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს, რომელმაც ეს ოპერაცია მაღალპროფესიონალურად ჩაატარა!“**





**„რუსთაველის გამზირზე აგრესიულ მომიტინგეთა ქმედებების გამო 50-ზე მეტი პოლიციელია დასახიჩრებული და ამის გამკეთებლებს ხელი უნდა დავაფაროთ? მაშინ გამოვაცხადოთ, რომ სახელმწიფოს ვაუქმებთ და ეგ იქნება!“**




ოფიციალური ვერსიის თანახმად, სიკვდილის მომენტში ზვიად გამსახურდიას სამი ადამიანი ახლდა. სამივე ამჟამად უცხოეთშია გადახვეწილი. გარდაცვლილები არიან **ავთანდილ იოსელიანი, შოთა კვირაია და გია გულუა** — იმ ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები, რომლებიც დევნილ პრეზიდენტს კვალში ედგნენ. გარდაცვლილია ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გამომძიებელი, საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელი **მიხეილ ოსაძე,** რომელიც ზღვა ინფორმაციას ფლობდა. ასეთ ვითარებაში გამოძიების ობიექტურად დასრულების პერსპექტივა არ იკვეთება, თუმცა...

არის კიდევ ერთი ადამიანი, რომელმაც პრეზიდენტის სიკვდილის დეტალები იცის, მაგრამ მას სამშობლოში დაბრუნების საშუალება არა აქვს, რადგან უკვე 28 წელია, პოლიტიკური დევნილია, ოღონდ უპრეცედენტო მოვლენა ხდება — ამ ხნის განმავლობაში მის მიმართ სასამართლო განაჩენი არ არსებობს! ის საერთოდ აღარ ეკონტაქტება ქართულ მედიას, მაგრამ მაინც შევეცადე, მოსკოვში დავურეკე და ვთხოვე — **ვიდრე ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმე პროკურატურის თაროზე სამუდამოდ შემოიდება, თქვენთვის ცნობილი გარემოებების შესახებ მიამბეთ-მეთქი.** შეეძლო, უარი ეთქვა და ამის გამო პასუხს ვერავინ მოსთხოვდა, მაგრამ ამ ისტორიულად მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ უდიდესი სახელმწიფოებრივი მიდგომა გამოიჩინა და გულახდილ საუბარზე დამთანხმდა.

**„ზვიად გამსახურდიას თავი არ მოუკლავს! იგი მოკლეს და მკვლელის ვინაობა რამდენიმე პირისათვის არის ცნობილი!“ — ამ დამაფიქრებელი სიტყვებით დაიწყო საუბარი საქართველოს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა, პოლიტიკური პარტია „სამართლიანობის“ ლიდერმა, ორგანიზაცია „საქართველო საზღვარგარეთ“ დამაარსებელმა, გენერალ-ლეიტენანტმა იგორ გიორგაძემ:**

— საქართველოს თავს დატრიალებული ავადსახსენებელი მოვლენების თაობაზე საუბარს მინდა ვუწინამძღვრო მცირე განმარტება და ჩემი თხოვნაა, სიტყვასიტყვით დაბეჭდოთ:

1985 წლიდან აქტიურ ფაზაში შევიდა აშშ-ის მიერ 1945 წელს დამუშავებული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის დაშლას დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და რუსეთის სათავეში იმ ძალების მოყვანას, რომლებიც მათთვის სასურველ პოლიტიკას გაატარებდნენ. რუსეთს გარშემორტყმულ რესპუბლიკებშიც, ცხადია, მარიონეტული რეჟიმები უნდა დამკვიდრებულიყო.

საბჭოთა კავშირის სათავეში **გორბაჩოვის, იაკოვლევის, შევარდნაძისა** და სხვა მათი თანაგუნდელების მოყვანიდან 6 წლისთავზე საბჭოთა კავშირი დაიშალა და დაიწყო ამერიკის გეგ-



# იგორ გიორგაძე:

# პრეზიდენტ გამსახურდიას თავი არ მოუკლავს, ის მოკლულია!

## მკვლელის ვინაობა რამდენიმე პირისათვის არის ცნობილი!

**მიმდინარე წლის მიწურულს, საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოს ფუძემდებლის, რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების იდუმალებით მოცული გარემოებების გამოძიების ვადა ხანდაზმულობის გამო ამოიწურება, რაც იმას ნიშნავს, რომ სიკვდილის გამომწვევი მიზეზები ქართველი ხალხისთვის სამუდამოდ ბუნდოვანი დარჩება. „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტური გამოძიების ჯგუფი ჟურნალისტ გიგლა გოგეჭიასთან ერთად აგრძელებს პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებების ჟურნალისტურ გამოძიებას, რათა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის იდუმალებით მოცული გარდაცვალების საქმე პროკურატურის მტვრიანი თაროდან იქნეს ჩამოღებული!**

მის მიხედვით როგორც რუსეთის, ისე მოკავშირე რესპუბლიკების „პრივატიზაცია“. იმ ეტაპზე ამერიკელები თავიანთ ყველაზე დიდ გამარჯვებად რუსეთის სათავეში ელცინის დასმას თვლიდნენ.

საქართველოში კი მათ არ გაუმართლათ!

ზვიად გამსახურდია აშშ-ის გადმოსახედიდან ზედმეტად ეროვნული პოლიტიკის გამტარებელი აღმოჩნდა, თანაც, რაც მთავარია, ამერიკელების წინასწარ შემუშავებული გეგმა საქართველოს ხელისუფლების სათავეში შევარდნაძის მოყვანას ითვალისწინებდა. ამ გეგმის თანახმად საქართველო წინა აზიაში ამერიკელების ყველაზე სანდო პარტნიორი უნდა გამხდა-

## კვირგვინოსნები

### ლევან მამალაძე
*„სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი*



მერამდენედ გავდივართ **შეკვეთილ არეულობებს,** ან როდემდე უნდა ვიყოთ აშშ-ის, რუსეთის თუ სხვათა ინტერესების შემსრულებელი?! გავიხსენოთ **გადამწვარი თბილისი,** დანგრეული შენობები, სროლა, დახოცილები და გაუბედურებული ქვეყანა!

„მარშალპრესი“

### ალეკო შუღლაძე
*მწერალი*



სანამ საზოგადოება **მენტალურად არ შეიცვლება,** არაფერი გვეშველება. ჩვენ **ევროპაც გვინდა და ვერც ძველბიჭობას ველევით,** თან ვამბობთ, რომ ევროპაში კანონის უზენაესობა მოგვწონს და თან ვახალისებთ კანონდარღვევას.

„კვირის პალიტრა“

### ნინო ფოჩხუა
*ექსპერტი*



როგორ შეიძლება დაუჯერო იმ ადამიანებს, რომლებიც **გავეშებული აპირებდნენ ქვეყნის აყირავებას,** არა იმიტომ, რომ ქვეყნის მომავალი ადარდებთ, არამედ ხვდებიან, რომ ჩიხში არიან და ყველა დავინახავთ მათ ნამდვილ სახეს.

„იმედინიუსი“

### ირაკლი მენაღარიშვილი
*საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი*



პოლიტიკოსების ჯგუფი ვერ შეცვლის ქართველი ხალხის არჩევანს! **დასავლური ორიენტაცია** ჩემთვის ფორმალური განაცხადი არაა! მე იმ თაობის პოლიტიკოსებს ვაკუთვნებ თავს, რომელთაც **ეს არჩევანი „კბილებით“ გაიტანეს.** ეს არჩევანი გაკეთდა 90-იან წლებში, როდესაც ქვეყანა, ფაქტობრივად, ნგრევის პირას იყო...

„საქართველოს რესპუბლიკა“

*რიყო, სადაც რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ძლიერი სამხედრო ბაზები განთავსდებოდა, რომელიც რეგიონში რუსეთის შემაკავებელი ფაქტორი იქნებოდა.*

*აშშ-ის მაშინდელ ხელმძღვანელობას ამ ამოცანის განსახორციელებლად არ სჭირდებოდა მათი მხრიდან მოუთვინიერებელი და, შესაბამისად,* ***მათთვის არაპროგნოზირებადი, ეროვნული პოლიტიკის გამტარებელი ქართველი ლიდერი ზვიად გამსახურდია,*** *სწორედ ამიტომ ამერიკელებმა სახელდახელოდ,* ***ელცინის*** *დახმარებით, საქართველოში მოახდინეს შეიარაღებული გადატრიალება, რის შედეგადაც ხალხის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტი კანონგარეშედ, უკანონოდ გამოაცხადეს.*

***ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნული ამერიკული გეგმა ბოლომდე მიიყვანა და თავის მონა-მორჩილებს ზვიად გამსახურდია მოაკვლევინა!***

**— ბატონო იგორ, დიდი მადლობა, რომ ინტერვიუზე დამთანხმდით და ყოველმხრივ ცდილობთ, სიცხადე შეიტანოთ საქართველოს უახლესი ისტორიის ამ ტრაგიკული ეპიზოდისათვის ნათელის მოფენაში.**

— დიახ, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხი, რომ სრულყოფილად და ობიექტურად იქნეს გამოძიებული საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის მკვლელობა! **ვერ შევპირდებით, რომ ჩემი ნაამბობი ამ ტრაგედიის გასახსნელ გასაღებად იქცევა, თუმცა, მზად ვარ, ვუპასუხო ყველაზე მწვავე შეკითხვებს, რომელიც ამ ბურუსით მოცულ ისტორიაში პირადად ჩემს როლს ეხება.** შეიძლება, ფართო საზოგადოებამ არ იცის, რომ მე გახლავართ სამთავრობო კომისიის ის ერთადერთი წევრი, რომელმაც „თვითმკვლელობის შესახებ" კომისიის დასკვნას ხელი არ მოაწერა და ის ფაქტი, რომ დღეს პოლიტიკური დევნილი ვარ, შესაძლოა, მნიშვნელოვანწილად, ჩემი მაშინდელი საქციელით იყოს განპირობებული!

**— ამ საკითხს ჩვენი საუბრის პროცესში დავუბრუნდებით, მაგრამ დავიწყოთ სულ თავიდან — რა ვითარებაში დაიწყო კანონიერი პრეზიდენტის დევნის ოპერაცია, რომელიც, როგორც მეუბნებით, თვითმკვლელობით კი არა, მისი მკვლელობით დასრულდა?**

— საქართველოში 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო შეიარაღებული გადატრიალებიდან ზუსტად 2 თვეში მოსკოვიდან საქართველოში ჩამოიყვანეს **ედუარდ შევარდნაძე,** რომელმაც აეროპორტში მოწყობილ სახელდახელო მიტინგზე დამხვედრებს მიულოცა სახელმწიფო შეიარაღებული გადატრიალების გზით კანონიერი ხელისუფლების დამხობა, რასაც **„სახალხო რევოლუცია"** უწოდა. რამდენიმე დღეში შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, რომლის თავმჯდომარეც შევარდნაძე გახდა.

იმავე დღეებში ტელევიზიით გამოცხადდა, რომ დასავლეთ საქართველოში მოქმედებენ **„უკანონო შეიარაღებული ბანდიტური ფორმირებები",** რომლებიც ექვემდებარებოდნენ „სახელმწიფო დამნაშავე" ზვიად გამსახურდიას. ფაქტობრივად, გვარდიის ის ნაწილი, რომელიც მანამდე კანონიერ მთავარსარდალს ზვიად გამსახურდიას ექვემდებარებოდა — კანონგარეშედ გამოაცხადეს. ყველა სამართალდამცავი ორგანოს (უშიშროების, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს) თანამშრომლის მიმართ გაიცა ბრძანება, რომლის თანახმად ისინი ვალდებულები იყვნენ, განეიარაღებინათ „ბანდფორმირებები" და დაეპატიმრებინათ ზვიად გამსახურდია.

**— განიხილეს თუ არა რაიმე გეგმა, რომლის მიხედვითაც ძალოვნებს ერთმანეთთან კოორდინაციის ფარგლებში უნდა ემოქმედათ?**

— არანაირი „ერთიანი გეგმა" არ შემუშავებულა. **შევარდნაძემ ცალ-ცალკე გამოიძახა უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის უწყების ხელმძღვანელები და ეს მიზანი დაუსახა.**

**— თქვენ ამ მომენტისთვის რა თანამდებობა გეკავათ?**

— უშიშროების სისტემას იმ პერიოდში **ანზორ მაისურაძე** ხელმძღვანელობდა. მე უშიშროების სამინისტროდან 1992 წლის, თუ არ ვცდები, თებერვლიდან წამოვედი და 1993 წლის ოქტომბრამდე ვმუშაობდი თავდაცვის სამინისტროს ჯერ ე.წ. ოპერატიული სამმართველოს უფროსად, შემდეგ კი — თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, თუმცა, ამ პერიოდშიც ვიღვწოდი საქართველოში პროფესიონალური უშიშროების სტრუქტურების ჩამოსაყალიბებლად და უკვე მყავდა ჩემს მიერ მომზადებული, კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ქვედანაყოფი **„ალფა".** მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო შევარდნაძემ საჭიროდ ჩათვალა, შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებასა და ზვიად გამსახურდიას დაპატიმრებაში მეც მიმეღო მონაწილეობა.

**— კონკრეტულად, ძალოვანი სტრუქტურების რომელი ხელმძღვანელები იყვნენ ჩართული ამ ამოცანის შესრულებაში?**

— შინაგან საქმეთა სამინისტროდან ჩართული იყვნენ ცალკე — შს მინისტრი **შოთა კვირაია;** ცალკე — **გია გულუას** რაზმი. თუ არ ვცდები, იმ პერიოდში გია გულუა შინაგან საქმეთა სამინისტროში სატრანსპორტო სამმართველოს ედგა სათავეში და ჰყავდა თავისი რაზმი. ჩემი და გია გულუას ურთიერთობაზე და მისი ტრაგიკული დაღუპვის თაობაზე შემდეგში ვისაუბროთ.

დღემდე ნაკლებად ცნობილია, რომ იმ პერიოდში თუ საქართველოში ვინმე გავლენიანი არსებობდა, ვისაც სამეგრელოში სანათესავო ჰყავდა და ინფორმაციებზე ხელი მიუწვდებოდა, უკლებლივ ყველა ცდილობდა, შევარდნაძისთვის ეამებინა და ისინიც მუშაობდნენ ზვიად გამსახურდიას ადგილსამყოფლის გამოსავლენად. გაითვალისწინეთ, რომ საქართველოში გადატრიალების შემდეგ დიდხანს იყო ამ მოვლენის გამოძახილი, იყო ქაოსი და არეულობა, ამას ერთვოდა აფხაზეთის ტრაგედია. თანაც, სახელმწიფო ჩამოყალიბებული არ იყო, არ არსებობდა არანაირი ანალიტიკური ცენტრი, სადაც თავს მოიყრიდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, არ არსებობდა ერთიანი შტაბი, საიდანაც განხორციელდებოდა წინასწარ შედგენილი რაიმე გეგმა. **არც რაიმე კონკრეტული გეგმა არსებობდა, გარდა შევარდნაძის მხრიდან შეიარაღებული ჯგუფების განიარაღებისა და ზვიად გამსახურდიას დაპატიმრების ზეპირი დავალებისა...**

შევარდნაძეს ამ სიტუაციაში ეჩქარებოდა ზვიად გამსახურდიას განეიტრალება, რათა კანონიერი ხელისუფლების და პრეზიდენტის მხრიდან ხელის შემშლელი გარემოებებისგან გათავისუფლებულიყო. აი, ასეთ ვითარებაში მიმდინარეობდა ზვიად გამსახურდიას დევნა. ყველა ინფორმაცია მხოლოდ შევარდნაძისთვის იყო ცნობილი, ოღონდ იგი ამ ინფორმაციებს უმალავდა იმ ხელმძღვანელებსაც, რომლებიც ჩართული თავად ჰყავდა დევნის ოპერაციაში. **იყო ენების მიტან-მოტანა, შევარდნაძე კი ინტრიგებს ხლართავდა.**

მხოლოდ შევარდნაძემ იცოდა, რას აკეთებდა, ვთქვათ, კვირაია ან გულუა, მათ კი ერთმანეთის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდათ.

სტრუქტურების ხელმძღვანელები მოქმედებდნენ ყოველგვარი კანონის გვერდის ავლით და მოსწრებაზე იყვნენ, შევარდნაძეს პირველი ვინ ჩააბარებდა დასახული ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებით ანგარიშს! ამ სიტუაციაში ჩემი უპირატესობა ის გახლდათ, რომ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის კონტრდაზვერვის ყოფილ უფროსს (ეს იყო საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტში ჩემი თანამდებობა), მქონდა იმ პროფესიონალებზე დაყრდნობის საშუალება, რომლებიც შექმნილ სიტუაციაში მეტ-ნაკლებად კარგად ერკვეოდნენ, თუმცა, მე არასოდეს მიმუშავია ე.წ. მეხუთე ხაზით, რაც დისიდენტებისა და ეროვნული მოძრაობის ლიდერების „დამუშავება-გადაბირებას" გულისხმობდა. ჩემი სფერო გახლდათ უცხო სპეცსამსახურების ძირგამომთხრელ საქმიანობასთან და ტერორისტებთან ბრძოლა. ამ ფაქტორების გამო მოვხვდი შევარდნაძის თვალთახედვაში.

**— ყველაზე მეტად ვინ აქტიურობდა ზვიად გამსახურდიას დევნის ოპერაციაში?**

— ყველაზე აქტიურად ამ საქმეში ჩართული იყო მაშინდელი შინაგან საქმეთა სამინისტრო. **მინისტრი შოთა კვირაია თავად წარმოშობით სამეგრელოდან იყო, სამეგრელოში ჰყავდა ფართო სანათესავო და საახლობლო წრეები და ინფორმაციებზე ყველაზე უკეთ მიუწვდებოდა ხელი.** მის რაზმში იყვნენ როგორც ძველი, ისე ახალბედა თანამშრომლები. იგივე ითქმის **გია გულუას რაზმზეც,** ვისაც სამეგრელოში თავისი აგენტურა ჰყავდა. დევნაში მონაწილეობდნენ **ჯაბა იოსელიანის ხალხი და „მხედრიონის" ადგილობრივი დაჯგუფებებიც.**

**— არსებობდა თუ არა იმ ეტაპზე ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის მიზნით რაიმე ოფიციალური ან ზეპირი ბრძანება თუ დავალება?**

— არა. **შევარდნაძის ჩემთან ურთიერთობის ფარგლებში საუბარი იყო მხოლოდ დაპატიმრებაზე, თუმცა, ეს მხოლოდ ჩემთან... მე ხომ არ ვესწრებოდი შევარდნაძის შეხვედრებს, ვთქვათ, კვირაიასთან ან სხვა სტრუქტურის ხელმძღვანელებთან!** შესაბამისად, არ ვიცი, რა დავალებას აძლევდა რომელიმე მათგანს. დაბეჯითებით გეუბნებით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მე არ მსმენია, ჩატარებულიყოს რაიმე ოფიციალური თათბირი.

**— ზვიად გამსახურდია გადის ტყეში და იწყება ლოკაციიდან ლოკა-**

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*





შოთა კვირაია


გია გულუა

## „მხოლოდ შევარდნაძემ იცოდა, რას აკეთებდა, ვთქვათ, კვირაია ან გულუა, მათ კი ერთმანეთის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდათ!"

## კვირგვინოსნები

**ნინო ნადირაძე**
*კარდიოლოგი, ტელეწამყვანი*



საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებისთანავე უნდა **მიღებული ყოფილიყო ლუსტრაციის კანონი,** გაწყვეტილიყო რუსეთთან ყველანაირი ურთიერთობა, დადგენილი ყოფილიყო ყველა ფულის წარმომავლობა, ვინ საიდან და როგორ აღმოჩნდნენ ფაბრიკა-ქარხნების და სხვა ქონებების მფლობელები ასე უცებ, როცა სსრკ-ის პირობებში მაქსიმალური ხელფასი, ალბათ, 1000 მანეთი იყო, **უნდა გასაჯაროებულიყო კასრების კადრები, გამოძიებული ყოფილიყო ყველა დანაშაული** და ევროპის ნაწილი დიდი ხნის წინ ვიქნებოდით. ახლა კი ასეთი მოცემულობაა — **ბოზი რომ „ტრუსიკის" ამოწევას მოასწრებს და ქალიშვილი ვარო, რომ ყვირის.**

„ფეისბუქი"

**მაია ნიკოლეიშვილი**
*დამოუკიდებელი ექსპერტი*



კანონპროექტის განხილვამ **უკვე მოახდინა სრული ლუსტრაცია,** გამოაჩინა უცხოეთიდან მიღებული **„ხელოვნური პოლიტიკური კვების"** სქემა, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მუშაობს.

„იმედინიუსი"

**დავით ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



არ დაგავიწყდეთ, **ჯაშუშობის სტიგმა ნაცმოძრაობიდან მოდის.** ადამიანებს ქუჩებში იჭერდნენ, შემდეგ ტელევიზიით აჩვენებდნენ და **ჯაშუშებს უწოდებდნენ.** ჩემთვის მიუღებელია ის დოგმა, რასაც არასამთავრობოები და მათი მხარდამჭერები გვთავაზობენ, რომ, **თურმე, 1 კვირა ცალ ფეხზე უნდა ვიდგეთ,** სხვა ქვეყნის წარმომადგენლები თუ გვეტყვიან. ამას გვეუბნებიან ის ადამიანები, რომლებსაც **საქართველო ცალ ფეხზე ჰკიდიათ.**

„ახალი თაობა"

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



რადიკალებს ფულით ნაყიდი „ომი" საკუთარ ხალხთან არ გამოგივიდათ, არც გამოგივათ — **მაიდანი საქართველოში არ იქნება!**

„იმედინიუსი"

*დასაწყისი მე-10 გვერდზე*

# იგორ გიორგაძე:

# რაზმს ხმამაღლა მივმართე – მე არ მინდა, საქართველოს ისტორიაში შევიდე, როგორც პირველი პრეზიდენტის მკვლელი!



**ციამდე მისი გადაადგილებები. ამ პერიოდში პირადად თქვენთვის ცნობილი ხდებოდა თუ არა მისი ადგილსამყოფლის შესახებ?**

— რადგან არ არსებობდა ერთიანი გეგმა, ერთიანი საინფორმაციო ცენტრი, სადაც ინფორმაციების გაცვლას ექნებოდა ადგილი, შემიძლია, მხოლოდ იმაზე გესაუბროთ, როგორ მოქმედებდა ჩემი ჯგუფი **„ალფა“**, რომელიც სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნის შემდეგ გაიზარდა და დაიხვეწა. **მქონდა გაცემული მითითება, რომ „ალფას“ წევრებს არ განეხორციელებინათ არანაირი ძალისმიერი ღონისძიება, არამედ, მხოლოდ დაზვერვა!** მაგალითად, ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ამა და ამ სოფელში გადაადგილდებოდა 6-7 უცხო პირი, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა პატივისცემით ეგებებოდა. ჩემი რაზმი ღამით იწყებდა დაზვერვით მუშაობას, შეხვედრებს და ინფორმაციების შეკრებას იმ ოპერმუშაკების მეშვეობით, ვისაც ლოკაციაზე თავისი აგენტურა, ნათესავები ან ნაცნობები ჰყავდა. დღისით მხოლოდ შორიდან ვუთვალთვალებდით მოვლენებს. გულახდილად გეტყვით, **პირდაპირი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდია ამა და ამ დროს, ამა და ამ ოჯახში იმყოფებოდა, ჩვენს ჯგუფს არასოდეს მიუღია!**

**— მაგრამ ცნობილია ერთი ეპიზოდი, როდესაც დევნილი პრეზიდენტი თქვენს ჯგუფს ალყაში ჰყავდა და შევარდნაძისგან მიიღეთ მისი ლიკვიდაციის მითითება.**

— გაზვიადებულია, რომ ჩემს ჯგუფს პრეზიდენტი „ალყაში ჰყავდა“ მოქცეული. **ფოთში ვიმყოფებოდი, როდესაც მივიღე ინფორმაცია, რომლის თანახმად ზვიად გამსახურდია და მისი თანმხლები პირები 2-3 კონკრეტული სოფლის მიდამოში გადაადგილდებოდნენ, თითქმის ყოველდღიურად იცვლიდნენ სამყოფელს.** იმისთვის, რომ პირადად დამეზუსტებინა აღნიშნული ინფორმაცია და, იმავდროულად, ოპერაციის ჩატარების მომენტში უნებურად არ შევჯახებოდით იმავე რეგიონში დისლოცირებულ სხვა ჯგუფებს — მე ე.წ. „ვე-ჩეს“ ხაზით დავურეკე შევარდნაძეს და ვუთხარი, რომ მიახლოებით ვიცი ზვიად გამსახურდიას სამყოფელი და არ გამოვრიცხავ, 2-3 დღის განმავლობაში მისი დაკავება და თბილისში ჩამოყვანა მოვახერხო-მეთქი.

**— რა გიპასუხათ?**

— **„ჰმ, თბილისში, ჩემთან მოგყავს? პურ-მარილიც ხომ არ დაგახვედროთო!“** ყურადღება მიაქციეთ მრავლობით ფორმას — **„დაგახვედროთ...“** შევარდნაძეს საუბრის თავისებური, ირონიული მანერა ჰქონდა. ხშირად მთავარ სათქმელს ქვეტექსტებით გამოხატავდა.

**— ამ შემთხვევაში რა ქვეტექსტი დაიჭირეთ?**

— მისი მოკლე რეპლიკა ჩემთვის სიტყვასიტყვით ნიშნავდა შემდეგს: **შენ თუ კონტრდაზვერვის უფროსი იყავი, ამჟამად კი უშიშროების სტრუქტურას ხელმძღვანელობ... ნუთუ, ვერ ხვდები, რას მთავაზობ? გინდა, კანონიერად არჩეული პრეზიდენტი თბილისში ჩამოიყვანო ჩემთან, იმ კაცთან, ვინც ხელისუფლებაში შეიარაღებული გადატრიალების გზით მოვედი და წარმოვადგენ საქართველოს ხელისუფლების უზურპატორს... ვერ ხვდები, ეს რას ნიშნავს?**



დაზუსტების მიზნით, ერთი წუთით უნდა დავუშვათ, რა მოხდებოდა, დაპატიმრებული კანონიერი პრეზიდენტი მართლაც რომ ჩამეყვანა თბილისში შევარდნაძესთან, რომელსაც გულშემატკივრობდა თუნდაც გერმანია ან ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია! დავუშვათ, მას ციხეში ჩაესვა გამსახურდია — ეს მისთვის იქნებოდა მორალური და პოლიტიკური კრახი!

**— რა მოიმოქმედეთ ამ რთულ სიტუაციაში?**

— შევარდნაძესთან მოკლე საუბრის დასრულებისთანავე რაციით დავუკავშირდი სპეცრაზმის ჯგუფის მეთაურს — სასწრაფოდ მოხსენით რაზმი ზემო სამეგრელოს რეგიონიდან და ფოთის შტაბში ჩამოდით, იქიდან კი თბილისში ვბრუნდებით-მეთქი!

„ალფას“ ბიჭები ფოთში რომ ჩამოვიდნენ, განაწყენებულები მიყურებდნენ... მათი განაწყენება ჩემთვის გასაგები იყო. ზაზა, დამეთანხმები, რომ სამეგრელოს სოფლებში მოსახლეობას უცხო კაცის გამოჩენა ვერ გამოეპარება და ამიტომაც, როგორც მოგახსენე, რაზმი მოქმედებდა ძალზე ფარულად, ანუ მისი გადაადგილება ხდებოდა მხოლოდ ღამით. ჯგუფის თითოეულმა წევრმა დიდი ფიზიკური, მორალური და ფსიქოლოგიური დატვირთვა მიიღო ამ ურთულესი ოპერაციის პროცესში და იმ დროს, როდესაც მათ იგრძნეს ოპერაციის დასასრულის მოახლოება, გაიაზრეს, რომ ურთულესი დავალება თითქმის შესრულებულია, მათი უფროსი ეუბნება — სასწრაფოდ მიატოვეთ იქაურობა და შტაბში დაბრუნდითო... როდესაც რაზმი ფოთში დაბრუნდა და უკლებლივ ყველა ალფელის თვალებში დავინახე მდუმარე, სიძულვილამდე მისული განაწყენება ჩემ მიმართ, რაზმს ხმამაღლა მივმართე:

**— მე არ მინდა, საქართველოს ისტორიაში შევიდე, როგორც პირველი პრეზიდენტის მკვლელი! იქნებ, რომელიმეს გსურთ, ისტორიაში ზვიად გამსახურდიას მკვლელის სახელით შესვლა?!**

— რა შუაშია პრეზიდენტის მკვლელობა? — გაისმა ერთ-ერთი რაზმელის შეკითხვა.

**— იმ შუაშია, რომ მე მქონდა საუბარი შევარდნაძესთან და მან არაორაზროვნად მიმახვედრა, რომ ცოცხალი ზვიად გამსახურდია თბილისში არ სჭირდება!** — მივუგე მე. ჩემთან მეტი შეკითხვა ჩემს ხელქვეითებს არ ჰქონიათ.

**— შევარდნაძე, თავის მხრივ, ალბათ, მიხვდა თქვენი საქციელის ქვეტექსტს. რა გითხრათ, როცა თბილისში დაბრუნებული გნახათ?**

— ჩამოვედი და ჩამოვედი! შემეკითხა და ვუპასუხე, რომ გაშიფვრის საფრთხის გამო სპეცრაზმ „ალფას“ იქ ყოფნა მიზანშეუწონლად ჩავთვალე. სხვათაშორის, იმის გარდა, რაც ზვიად გამსახურდიას დევნას უკავშირდებოდა, მოვლენები პარალელურად, მწვავედ ვითარდებოდა ზუგდიდში, ასევე აფხაზეთში... მე ვმონაწილეობდი აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ნაწილის ჭუბერიდან გაცილებაში... სამეგრელოში მოხდა ადმირალ ბალტინის დანაყოფის შემოსვლა... **ასეთ სიტუაციაში შევარდნაძეს არ ეცალა იმაში გასარკვევად, რომ მის დავალებას ზურგი ვაქციე, გულში კი ღრმად ჩაიხვია.** 1993 წლის ოქტომბერში უშიშროების მინისტრად დანიშვნის შემდეგ, ნოემბერ-დეკემბერში ამერიკელებმა მიმიწვიეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურსა და აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს შორის თა-



**„როცა ავთო იოსელიანი თბილისში დაბრუნდა, ჩამოიტანა ზვიად გამსახურდიას ცხედრის ფოტო. როგორც კი დავხედე, მაშინვე ვუთხარი, ეს თვითმკვლელობა კი არა, მკვლელობაა-მეთქი!“**

**„დავურეკე შევარდნაძეს და ვუთხარი, რომ მიახლოებით ვიცი ზვიად გამსახურდიას სამყოფელი და არ გამოვრიცხავ, 2–3 დღის განმავლობაში მისი დაკავება და თბილისში ჩამოყვანა მოვახერხო–მეთქი. მან მიპასუხა — „ჰმ, თბილისში, ჩემთან მოგყავს? პურ–მარილიც ხომ არ დაგახვედროთო!“ ყურადღება მიაქციეთ მრავლობით ფორმას — „დაგახვედროთ...“**

## კვირგვინოსნები

**კობა ჭუმბურიძე**
*მწერალი, თარგმნელი*



თავი დავანებოთ დანარჩენ სისაძაგლეს და მხოლოდ იმაზე შევჩერდეთ, რომ **სააკაშვილმა საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა.** როცა თავად იყო ხელისუფალი, **მოსწავლეს წლები მიუსაჯეს ბურთის მოპარვისთვის, ღრმად მოხუცს კი — ჯართში ჩასაბარებლად მიწიდან ამოყრილი ჟანგიანი მილებისთვის.** თუ კანონი ყველასთვის კანონი არ იქნება, ქვეყანა ვერასდროს ვიქნებით.

„კვირის პალიტრა“

**ამირან სალუქვაძე**
*სამხედრო საქმის ექსპერტი*



კოდექსის მიხედვით, **საქართველო გადადის ტოტალური თავდაცვის პრინციპზე,** რადგან ჩვენ არა გვაქვს ბირთვული იარაღი და სხვა შემაკავებელი ფაქტორები, არც ნატოს წევრი ქვეყანა ვართ. როდესაც მავანი ამბობს, **თუ საჭიროა, უნდა ვიომოთო,** შემართება კარგია, მაგრამ, თუ ჯარი მომზადებული არ გეყოლება, **როგორ უნდა იომო?**

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი მელაშვილი**
*ექსპერტი თვითმმართველობის საკითხებში*



ამ დღეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამ ქვეყანას არასდროს ჰყოლია ასეთი **უიდეო, უჭკუო, უნიჭო და უზნეო პოლიტიკური ლიდერშიფი!** ოპოზიციაშიც და პოზიციაშიც! ქვეყანას კი არა, ასანთის ღერს რომ ვერ ანდობ კაცი!

„აიპრესი“

**დიმიტრი პესკოვი**
*კრემლის პრესსპიკერი*



არაფერი კრემლის მიერ შთაგონებული არ ყოფილა და **კრემლი აქ აბსოლუტურად არაფერ შუაშია.** მოგეხსენებათ, რომ ამ კანონების შემოღების პიონერი 30-იანი წლების ბოლოს გახდა ამერიკის შეერთებული შტატები. კანონპროექტის ერთ-ერთი ვარიანტი ამერიკულ კანონს „ძალიან ჰგავდა“.

„პირველი არხი“

ნამშრომლობის საკითხზე...

**— ფოთში თქვენი ყოფნის დროს ქონავდა თუ არა ინფორმაციები ზვიად გამსახურდიას უშუალო გარემოცვიდან, ანუ ამალიდან?**

— არა. პირდაპირ გეტყვით — იმ პერიოდში, მე და ჩემმა რაზმმა თანმხლები პირების არც რაოდენობა, არც ვინაობა და არც ზუსტი ადგილსამყოფელი არ ვიცოდით.

**— გსმენიათ თუ არა უშიშროების ოფიცრის გია მხეიძის შესახებ, რომელიც პრეზიდენტის დევნის უკანასკნელ ეტაპზე ჯერ აქტიურად იკვლევდა ზვიად გამსახურდიას ადგილსამყოფელს, ხოლო შემდეგ გარდაცვლილი პრეზიდენტის საფლავის მდებარეობას?**

— თუ ეს კაცი აფხაზეთში მსახურობდა, უნდა ყოფილიყო ჩემი პირველი მოადგილის **ავთანდილ იოსელიანის** დაქვემდებარებაში, რომელიც თავის დროზე აფხაზეთის უშიშროების უფროსი ბრძანდებოდა. აქვე გეტყვით, რომ ვიდრე მინისტრი გავხდებოდი, ხოლო ავთანდილი ჩემს მოადგილედ დაინიშნებოდა, იგი თავად იყო ჩართული დევნილი პრეზიდენტის ძებნის ოპერაციაში. მე პირადად ვერ ვიხსენებ **გია მხეიძეს.** ეს ნუ გაგიკვირდებათ, ვინაიდან საქართველოში რამდენიმე ათასი თანამშრომელი იყო, რომელთა ვინაობის სრულად დამახსოვრება, უბრალოდ, შეუძლებელია.

**— თქვენ ფოთიდან ბრუნდებით თბილისში და ძალიან მალე გებულობთ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის შესახებ?**

— რას ბრძანებთ! არავითარ შემთხვევაში! იმ მომენტიდან, როცა ჩემი მითითებით „ალფამ“ დატოვა სამეგრელო, პრეზიდენტის გარდაცვალებამდე, ანუ დეკემბრის მიწურულამდე 2 თვეზე მეტიც გავიდა! დეკემბერში მე და **დათო ბაზლაძე** ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიყავით მივლინებით, რის შესახებაც არსებობს ოფიციალური დოკუმენტაცია. ეს ამბავი კი დაბრუნების შემდეგ შევიტყვე. იმ პირველად ჩართვას თუ არ ვიგულისხმებთ, რაც სოხუმის დაცემის (1993 წლის 27 სექტემბერი) შემდეგ ხდება, ფაქტობრივად, მე ზვიად გამსახურდიას დევნაში მონაწილეობა არც მიმიღია!

**— პირადად თქვენ ვისგან და რა ვითარებაში შეიტყვეთ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის ინფორმაცია?**

— მე გავიგე ჩემი პირველი მოადგილის **ავთო იოსელიანისგან.** ის თავიდანვე ჩართული იყო და აგრძელებდა იმ ძველი დავალების შესრულებას, რომელიც უშიშროების სამსახურმა მიიღო შევარდნაძისგან მინისტრად ჩემს დანიშვნამდე! აქვე გაგიმხელთ ერთ ინფორმაციას, რომელიც საზოგადოებამ არ იცის: **შევარდნაძემ მინისტრად თავდაპირველად დანიშნა ავთანდილ იოსელიანი!** მან პურ-მარილიც კი გააწყო ოჯახში ამის აღსანიშნავად, თუმცა, მეორე დილით შევარდნაძემ გადაწყვეტილება შეცვალა და მინისტრად მე დამნიშნა, ხოლო ავთანდილ იოსელიანი — ჩემს პირველ მოადგილედ!

**— რაზე მიგვანიშნებთ? თქვენს შორის შუღლის დათესვა სურდა?**

— **იოსელიანი** კურირებდა აფხაზეთის უშიშროებას, იქიდან გადმოსულ თანამშრომლებს. ამასთან, არაოფიციალურად, პირდაპირ შევარდნაძეს ემორჩილებოდა, ანუ, როცა შევარდნაძისგან რაიმე დავალებას იღებდა, თავს ვალდებულად არ თვლიდა, ჩემთვის მოეხსენებინა. **1994 წელი ახალი დამდგარი იყო, როცა დამირეკა და მითხრა, რომ შევარდნაძის დავალებით თავის ჯგუფთან ერთად მიდის სამეგრელოში, რადგან ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა.** ჩემგან წასვლის ნებართვა კი არ უთხოვია, ფაქტობრივად, მხოლოდ საქმის კურსში ჩამაყენა, ვინაიდან შევარდნაძემ ეს დავალება მას მისცა!

**— შემდეგ რა ხდება?**

— როცა ავთო იოსელიანი თბილისში დაბრუნდა, ჩამოიტანა ზვიად გამსახურდიას ცხედრის ფოტო. როგორც კი დავხედე, მაშინვე ვუთხარი, ეს თვითმკვლელობა კი არა, მკვლელობაა-მეთქი!

**— რაზე დაყრდნობით გამოიტანეთ ასეთი დასკვნა?**

— გინახავთ „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტი? მას „მაკაროვზე“ დაახლოებით, ორჯერ გრძელი ლულა აქვს! ის გამოიყენებოდა, როგორც მოკლელულიანი ავტომატი. „სტეჩკინით“ არის ნასროლი, ცხედარს შემავალი ჭრილობა აქვს მარჯვენა საფეთქელთან, ხოლო გამავალი — მარცხენა ყბაში! საქმე იმაშია, რომ წარმოუდგენელია პოზა, რომელშიც ადამიანი თვითმკვლელობის მიზნით ამ იარაღიდან ასეთი ტრაექტორიით გაისვრის! ამის მიხვედრას სულაც არ სჭირდება ტრასოლოგიური ექსპერტიზა, ერთი დანახვითაც ცხადია!

**ჩემთვის ნათელია, რომ ეს არის მკვლელობა, კაცი, რომელმაც ეს შეასრულა, ზვიად გამსახურდიას თავს ადგა, ესროლა საფეთქელში და ტყვია საპირისპირო მხარეს, ყბაში გავიდა!**

**— როგორი იყო ავთანდილ იოსელიანის რეაქცია, როდესაც თქვენ უთხარით, რომ ეს თვითმკვლელობა კი არა, მკვლელობა იყო?**

— არ მიგრძნია, რომ მან იმაზე მეტი იცის, ვიდრე ამბობს. ეს იყო უფროსისა და მისი მოადგილის შინაურული დიალოგი და როცა თვითმკვლელობის შესახებ მის ნაამბობს არ დავეთანხმე, კამათი არ დაუწყია. იქვე ვუთხარი — ასეა თუ ისე, ექსპერტიზა აუცილებლად უნდა ჩატარდეს და ამის შესახებ შევარდნაძეს ვეტყვი-მეთქი. — რა თქმა უნდა, ექსპერტიზის გარეშე როგორ შეიძლებაო, — მიპასუხა.

**— არ დაგრჩენიათ შთაბეჭდილება, რომ მისი შესრულებული იყო ლიკვიდაციის ოპერაცია?**

— არა. მასთან ყოველთვის კარგი პირადი ურთიერთობა მქონდა. ერთხანს სამტრედიაში, ჩემს სახლშიც კი ცხოვრობდა ბებიაჩემთან ერთად, რადგან იმ პერიოდში იქ ბინა არ ჰქონდა და ბებიაჩემი საკუთარი შვილიშვილივით უვლიდა. ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით, თუმცა, შევარდნაძის საქციელმა, როცა ის ჯერ უშიშროების უფროსად დანიშნა და მეორე დილით, უწყება მე ჩამაბარა, ხოლო იოსელიანი პირველ მოადგილედ გამიმწესა — ჩვენ შორის გარკვეული განხეთქილება მართლაც წარმოშვა. **ღმერთმა აცხონოს, მაგრამ აშკარად ჩემ წინააღმდეგ მუშაობდა. მას ძალიან უნდოდა, შევარდნაძისთვის ეამებინა, მიეტანა გამსახურდიას სამყოფლის შესახებ ინფორმაცია და მისთვის ერთგულება დაემტკიცებინა...** თუმცა, ნამდვილად ვერ დავაბრალებ იმას, რომ პრეზიდენტი მისი მოკლულია. ვფიქრობ, პირველ ეტაპზე ისიც არ იცოდა, მკვლელობა ვინ შეასრულა და ეს შემდეგ შეიტყო.





**„შევარდნაძემ ცალ-ცალკე გამოიძახა უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის უწყების ხელმძღვანელები და ეს მიზანი დაუსახა!“**

# — თქვენთვის ცნობილია მკვლელების ვინაობა?

## — დიახ, ცნობილია!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

*გაგრძელება იქნება*

**„მე მქონდა საუბარი შევარდნაძესთან და მან არაორაზროვნად მიმახვედრა, რომ ცოცხალი ზვიად გამსახურდია თბილისში არ სჭირდება!“**

## კვირგვინოსნები

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



**რევოლუციას სულ სხვა რამ სჭირდება.** დღეს ამის არანაირი რესურსი ოპოზიციას არა აქვს.

„ახალი თაობა“

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



11 წელია, ეს ხელისუფლებაა, **ერთი უცხო ქვეყნის აგენტი არ დაუჭერია!**

„ახალი თაობა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



მეშინია, საქართველოში **დესტაბილიზაცია** არ დაიწყოს, მათ შორის, **მეორე ფრონტი,** მათ შორის, **სააკაშვილის ხელისუფლების რეანიმაცია.** მეორე ფრონტი არეულობაა ქვეყანაში და ეს აწყობს რუსეთს. **ნებისმიერი სახის დესტაბილიზაცია ჩვენთვის ნავთის დასხმაა რუსულ საფრთხეზე.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გასვიანი**
*მსახიობი, ტელეწამყვანი*



**ერთი კანონი არსებობს,** ქართული კანონია, ბოლო 30 წელია, კარგად მუშაობს. სამწუხარო კანონია: მას ჰქვია **„გძულდეთ ერთმანეთი!“** ყველაზე დიდი აგენტი **„სიძულვილია“.** ებრძოლეთ ერთმანეთის მიმართ სიძულვილს!

„ახალი თაობა“

**ნიკა თავაძე**
*მსახიობი*



ნუ გვაცხოვრებთ ამ პარანოიაში, იმას თუ ვერ შიფრავს შესაბამისი უწყება, **რა თანხები საიდან და რატომ ირიცხება,** მაშინ ასეთი სამსახურები, უბრალოდ, დასახურია.

„ახალი თაობა“



„ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს!“



„თუ ხელისუფლებამ სააკაშვილის საკითხშიც უკან დაიხია და პატიმრობიდან გაათავისუფლა, ეს ქვეყანაში სერიოზულ დესტაბილიზაციას გამოიწვევს!“

# ჯონდი ბაღათურია:

# კანონპროექტის გაწვევა ხელისუფლების სტრატეგიული შეცდომაა, უკან დახევა არაფრით არ შეიძლებოდა!

***პარტია „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ „უცხოეთის გავლენის აგენტთა“ შესახებ კანონპროექტის დაბლოკვით კოლექტიურმა დასავლეთმა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ფეხქვეშ გათელა:***

— ცხადია, ხელისუფლებამ **„უცხოეთის გავლენის აგენტებთან“** დაკავშირებული კანონი გარე ძალების ზეწოლითა და მითითებით გაიწვია. 30 წელია, საქართველო ხან ევროკავშირიდან და ხან ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული რეკომენდაციებით ცხოვრობს, რომელთა უმეტესობაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ამჯერადაც ასე მოხდა —

**ქართველ ხალხს არ მისცეს უფლება, იცოდეს, საიდან ფინანსდებიან ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი არასამთავრობო ორგანიზაციები!**

**— მიგაჩნიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებას უკან არ უნდა დაეხია და დასავლეთიდან ზეწოლის მიუხედავად, კანონი უნდა მიეღო?**

— კანონპროექტის გაწვევა ხელისუფლების **სტრატეგიული შეცდომაა,** უკან დახევა არაფრით არ შეიძლებოდა! „ქართულმა ოცნებამ“ **ამ ნაბიჯით დამატებითი ენერგია შთაბერა ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ მოძრაობაში ჩართულ ძალებს, რომლებიც ახლა არ გაჩერდებიან და ეცდებიან, მაქსიმუმს მიაღწიონ.**

**— რა შეიძლება იყოს ეს მაქსიმუმი?**

— ალბათ, მთავრობის დათხოვნის საკითხს დააყენებენ და ეცდებიან, სააკაშვილის გათავისუფლებასაც მიაღწიონ, თუმცა, არ გამოუვათ! **თუ ხელისუფლებამ სააკაშვილის საკითხშიც უკან დაიხია და პატიმრობიდან გაათავისუფლა, ეს ქვეყანაში სერიოზულ დესტაბილიზაციას გამოიწვევს!**

**— როგორ ფიქრობთ, კოლექტიურმა დასავლეთმა, რომლის წარმომადგენლებიც არცთუ ირიბად მიანიშნებენ თბილისში „კიევური მაიდნის“ გამეორებაზე, საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური განაჩენი უკვე გამოუტანა?**

— ხელისუფლების იძულება, რომ კანონის მიღებაზე უარი ეთქვა, კოლექტიური დასავლეთის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვაა, რასაც სრულიად სამარცხვინოდ შეუერთდა **პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.** რაც შეეხება „ქართული ოცნებისათვის“ განაჩენის გამოტანას, **კოლექტიურ დასავლეთს საქართველოში ხელისუფლების დამხობა იმ დღიდან აქვს გადაწყვეტილი, როცა მან მეორე ფრონტის გახსნასა და რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში ჩართვაზე უარი განაცხადა.** დიახ, კოლექტიური დასავლეთის მიზანია, საქართველოს ხელისუფლებაში მოიყვანოს აგრესიული ძალა, რომელიც გარედან მოსულ დავალებებს უსიტყვოდ შეასრულებს და ქვეყანას რუსეთთან ომში ჩართავს.

**— მერედა, რამდენად აქვს ამის რესურსი კოლექტიურ დასავლეთს, რომლის მთავარი დასაყრდენიც საქართველოში კოლექტიური ხაბეიშვილები და ლომჯარია-გიგაურები არიან?**

— **კოლექტიური დასავლეთი** საქართველოში ხელისუფლების დამხობას სწორედ იმის გამო ვერ ახერხებს, რომ ნაცოპოზიციას ხალხის მხარდაჭერა არა აქვს! პირიქით, **ქართველ საზოგადოებაში გაუგონარი ზიზღია იმ ძალების მიმართ, რომლებიც თავიანთ თავს საპარლამენტო ოპოზიციას ეძახიან. ხელისუფლებაში მათ მოყვანას სამხედრო ძალის გამოყენება დასჭირდება და თუ კოლექტიური დასავლეთი ამ გზას აირჩევს, მაშინ თბილისში რუსული სამხედრო ტანკები შემოვლენ!**

**— თუ შეიძლება, უფრო ცხადად განმარტეთ!**

— თუ კოლექტიური დასავლეთი მოინდომებს, რომ საკუთარი მარიონეტები საქართველოს ხელისუფლებაში იარაღის ძალით დასვას, ამას რუსეთი გულხელდაკრეფილი არ შეხვდება და აუცილებლად შეეცდება ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას.

**არავის დაავიწყდეს, რომ რუსული სამხედრო ბაზა თბილისიდან 30 კილომეტრშია განთავსებული, შეუძლიათ, 15-20 წუთში გორის ავტობანზე გამოვიდნენ და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ერთმანეთს მოწყვიტონ, მათ სამხედრო ტექნიკას კი თბილისში შემოსასვლელად სულ 2-3 საათი დასჭირდება.**

იმედი მაქვს, ამერიკელებს ეს კარგად ესმით და იმდენს არ იზამენ, რომ თბილისში რუსული სამხედრო შენაერთები შემოიყვანონ.

**— და მაინც, რატომ იყო კოლექტიური დასავლეთი ასე სისხლხორცეულად დაინტერესებული, საქართველოს არ მიეღო კანონი „უცხოეთის გავლენის აგენტების“ შესახებ?**

— მთავარი ის არის, რომ **კოლექტიური დასავლეთისათვის** კატეგორიულად მიუღებელია ნებისმიერი ინიციატივა, რომელმაც შეიძლება, საქართველოს ხელისუფლების პოზიციები გაამყაროს. მათ საქართველოში სჭირდებათ რაც შეიძლება სუსტი ხელისუფლება, რომელსაც ადვილად მართავენ და ყველა დირექტივას შეასრულებინებენ.

გარდა ამისა,

**კოლექტიურ დასავლეთს არ სურს, ქართველ ხალხს ჰქონდეს ინფორმაცია იმ დონორების შესახებ, რომლებიც საქართველოში ანტისახელმწიფოებრივ და ანტიეროვნულ ძალებს, ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლ და ნარკოტიკების ლეგალიზაცია-გავრცელების ლობისტ ორგანიზაციებს აფინანსებენ.**

**— ფაქტია, რომ იშტაზე მოსული ნაცები და ლიბერასტები გაჩერებას არ აპირებენ...რა მოხდება, ხვალ ხელისუფლებამ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები რომ დანიშნოს?**

— ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, თუ, რა თქმა უნდა, გარედან არ აიძულეს, ხმები ნაცმოძრაობისა და მასთან დაკავშირებული სუბიექტების სასარგებლოდ გააყალბოს. **მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების უკან დახევამ საზოგადოების დიდი ნაწილი ძალიან გააღიზიანა, „ქართულ ოცნებას“, ამ ეტაპზე, ალტერნატივა არ ჰყავს.** ეს კარგი არ არის, მაგრამ ობიექტური მოცემულობაა.

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

„კოლექტიური დასავლეთის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვას სრულიად სამარცხვინოდ შეუერთდა პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი!“



პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა თბილისში შეკრებილ მომიტინგეებს მხარდაჭერა აშშ-დან, თავისუფლების ქანდაკების ფონზე, გამოუცხადა



აგრესიული მომიტინგეების მიერ დამწვარი და დალეწილი ავტომანქანები თბილისში, რუსთაველის გამზირზე. 2023 წლის 8-9 მარტი

# ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡᲘ

№15 (183) ★ 2023 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲛᲐᲠᲢᲘ ★ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 2003 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ


# ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲘᲓᲐᲜ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲐᲛᲓᲔ

## 1956 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ 67 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲛᲐᲠᲢᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲚᲕᲠᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲡ!

***მოდით, დავიწყოთ შეკითხვით: რა მსგავსება და რა განსხვავება შეიძლება, იყოს თბილისში 1956 წლის 9 მარტსა და 2023 წლის 9 მარტს განვითარებულ მოვლენებს შორის?***

**67 წლის წინათ, 1956 წლის 9 მარტს,** ქართველთა დიდი ჯგუფი აპროტესტებდა იმას, რომ **ნიკიტა ხრუშჩოვმა** სტალინი და მისი მოღვაწეობა **„პიროვნების კულტად“** გამოაცხადა, რაც ბელადის პოლიტიკურ დემონიზაციასა და პიროვნულ დაკნინებას ემსახურებოდა!

**67 წლის შემდეგ, 2023 წლის 9 მარტს,** ქართველთა მცირე ჯგუფი აპროტესტებდა იმას, რომ, თითქოს საქართველოს ხელისუფლებამ ნაცლიბერასტების მიერ გაკულტებულ და გაფეტიშებულ ორგანიზაციაში — **ევროკავშირში** გაწევრიანების გზას გადაუხვია!

მაშასადამე, 1956 წლის 9 მარტსაც და 2023 წლის 9 მარტსაც თბილისში აგორებული საპროტესტო ტალღის მთავარი ფაქტორი გახლდათ **კულტი!**

მაშინ — სტალინის — იგივე **„პიროვნების კულტი“!**

ახლა — ორგანიზაციის — კერძოდ, **„ევროკავშირის კულტი“!**

ნაცლიბერასტული სექტა „ევროკავშირის კულტით“ რომ არის შეპყრობილი, ამაზე თუნდაც სახალხო დამცველის მოადგილის **გიორგი ბურჯანაძის** მიერ საქართველოს პარლამენტში გაკეთებული განცხადება მეტყველებს — **თუ ევროკავშირში გაწევრიანება გვინდა, მაშინ მისი ხელმძღვანელობა რასაც დაგვავალებს, უსიტყვოდ უნდა შევასრულოთ, ერთი კვირის განმავლობაში ცალ ფეხზე დგომა რომ მოგვთხოვონ, უნდა დავდგეთო!**

აბა, წარმოიდგინეთ, როგორ დგას ცალ ფეხზე მთელი საქართველო და როგორ დახტის ასკინკილით სრულიად ქართველი ერი ერთი კვირის განმავლობაში, რათა **ნაცლიბერასტების საკულტო ორგანიზაციამ — ევროკავშირმა** მისი წევრობის კანდიდატის სტატუსი გვიწყალობოს!

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **„ევროკავშირის კულტი“** ნაცლიბერასტულ სექტას რელიგიის რანგში ჰყავს აყვანილი და **ევროკავშირს** წმიდათაწმიდა კერპად განიხილავს.

მეტიც, ნაცლიბერასტული სექტისათვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს არამხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრიტიკა და ლანძღვა, არამედ თვით ღმერთზე ქირქილი და ლაზღანდარობაც კი, მაგრამ ორგანიზაცია — სახელად **ევროკავშირი** — ყოველგვარ კრიტიკასა და ეჭვზე მაღლა დგას!

ის კი არა, **თუ ღმერთს დასცინი და ეკლესიას აგინებ, ნაცლიბერასტული სექტა პროგრესულ მოაზროვნედ მიგიჩნევს, მაგრამ, თუ ორგანიზაციას — სახელად ევროკავშირს — გააკრიტიკებ ან მისი მისამართით თუნდაც კითხვის დასმას გაბედავ, იმავე სექტის მიერ რეტროგრადად შეირაცხები!**

მოკლედ, **თუ 67 წლის წინათ, 1956 წლის 9 მარტს, თბილისში „პიროვნების კულტით“ აღშფოთებული მოქალაქეები გამოხატავდნენ პროტესტს,** 67 წლის შემდეგ, 2023 წლის 9 მარტს, საქართველოს დედაქალაქში **„ევროკავშირის კულტით“** აღტყინებული მოქალაქეები მძვინვარებდნენ!

**ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲗᲔᲜᲘᲐᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ, 1956 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲞᲔᲢᲘᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲣᲡᲘᲡᲮᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲣᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲝᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ!**

არადა, **1956 წლის 9 მარტს „პიროვნების კულტით“** აღშფოთებული პროტესტანტები, **2023 წლის 9 მარტს „ევროკავშირის კულტით“** აჟიტირებული პროტესტანტებისაგან განსხვავებით, პოლიციასა და სპეცრაზმს ქვებსა და „მოლოტოვის კოქტეილებს“ არ ესროდნენ, ავტომანქანებს არ ლეწავდნენ და ცეცხლს არ უკიდებდნენ, სახელმწიფო დაწესებულებებში შეჭრას არ ცდილობდნენ და მუნიციპალურ ქონებას არ ანადგურებდნენ!

მიუხედავად ამისა, **1956 წლის 9 მარტის სრულიად მშვიდობიანი აქცია** სისხლში იქნა ჩახშობილი და ათობით ადამიანის დახვრეტით დასრულდა, **2023 წლის 9 მარტის სრულიად არამშვიდობიანი აქცია** კი სახელმწიფომ ისე დაშალა, არცერთ პროტესტანტს არათუ ტყვია, რეზინის ხელკეტიც არ მოხვედრია!

ასე მოხდა იმიტომ, რომ **1956 წლის 9 მარტის სრულიად მშვიდობიანი აქციის** აღმკვეთები საბჭოთა არმიის რუსული ნაწილები იყვნენ, რომლებიც სისასტიკითა და დაუნდობლობით სააკაშვილის რეჟიმისეულ პოლიციას ჰგავდნენ, **2023 წლის 9 მარტის სრულიად არამშვიდობიანი აქცია** კი პოსტსააკაშვილისეულმა **ქართულმა პოლიციამ** დაშალა!

**1956 წლის 9 მარტის სისხლიანი მოვლენებიდან 67 წლის შემდეგ, 2023 წლის 9 მარტს, საქართველო გადაურჩა სისხლისღვრას, მაგრამ ვერ გადაურჩა სირცხვილს, რასაც „ევროკავშირის კულტით“ ზომბირებული მოქალაქეების მიერ საკუთარი დედაქალაქის მთავარი გამზირის დარბევა-გაპარტახება ჰქვია!**

და კიდევ: **1956 წლის 9 მარტს** იმ მომიტინგეებს შორის, რომლებიც ძალლთაპირი და ქართველთმოძულე **ხრუშჩოვის** მიერ სტალინის **„პიროვნების კულტად“** გამოცხადებას აპროტესტებდნენ, ახალგაზრდა **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავაც** იყვნენ, რომლებმაც შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოუტანეს!

რას მოუტანენ საქართველოს **„ევროკავშირის კულტით“** აღგზნებული მოქალაქეები, რომლებმაც **2023 წლის 9 მარტს** რუსთაველის გამზირი დაარბიეს?

ჰამლეტისეული ყოფნა-არყოფნისა არ იყოს, საკითხავი — აი, ეს არის!

***ᲯᲐᲑᲐ ᲮᲣᲑᲣᲐ***



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1956 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲛᲐᲠᲢᲘ.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲛᲐᲠᲢᲘ.

ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘ ★

# „ვითარება მოულოდნელად და ელვის უსწრაფესად რომ არ შეცვლილიყო, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიას გორბაჩოვზე 37 წლით ადრე მარშალი ბერია მიიღებდა!“



მიხეილ გორბაჩოვი

## სვიმონ მასხარაშვილი:

# 1953 წლის 5 მარტს ბერიამ ხრუშჩოვი იოსებ სტალინის ტახტზე დასვა!



***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი იმ წინააღმდეგობებსა და მიზეზებზე საუბრობს, რომლებიც ლავრენტი ბერიასთვის გადაულახავ ბარიერად იქცა, რათა სტალინის გარდაცვალების შემდეგ ერთპიროვნულ ხელისუფლებას დაუფლებოდა:***

— სტალინი განსაკუთრებით ფრთხილობდა მას შემდეგ, რაც 1936 წელს ცეკას ერთ-ერთ მდივანს **ნიკოლაი ეჟოვს** უშიშროების ორგანოებიც ჩააბარა და საბჭოთა კავშირი ეჟოვის მიერ დაგეგმილ სახელმწიფო გადატრიალებას ბეწვზე გადაურჩა. აქედან გამომდინარე, სტალინი, ბერიას და, ზოგადად, ძალოვან სტრუქტურებს, ყოველთვის აბალანსებდა!

**— ბატონო სვიმონ, სტალინი ბერიასაც არ ენდობოდა?**

— სტალინი ბერიას ენდობოდა, რაც დადასტურდა 1938 წელს, როცა მათი ინტერესები ერთმანეთს აბსოლუტურად დაემთხვა. მაშინ ნიკოლაი ეჟოვი ორივესათვის სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, ეჟოვმა ჯერ კიდევ საქართველოს ცეკას პირველი მდივნის **ლავრენტი ბერიას** დაპატიმრებისა და განადგურების ოპერაცია დაგეგმა და რომ არა საქართველოს მაშინდელი შინსახკომის თავმჯდომარე **სერგო გოგლიძე,** მას ვერაფერი უშველიდა და სტალინის მომავალიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. **სერგო გოგლიძემ ქვეყანას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, როცა ნიკოლაი ეჟოვის გვერდის ავლით ბერია მოსკოვში ჩაიყვანა და საიდუმლოდ სტალინს შეახვედრა.** სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყდა იმ ღონისძიებების გატარება, რამაც საბჭოთა კავშირი — **„ეჟოვშჩინისგან“,** ხოლო სტალინი ფიზიკური განადგურებისგან იხსნა!

**— მაინც რაში შეცდა ბერია და რა მოხდა ისეთი, რის გამოც სტალინის გარდაცვალებიდან სამ თვეში ამოდენა გავლენისა და ძალაუფლების პატრონი კაცი მოაშთეს?**

— **სტალინის** გარდაცვალება საბედისწეროდ დაემთხვა მომენტს, როდესაც **ბერიას** დაკარგული ჰქონდა თავისი პირდაპირი გავლენა ძალოვან სტრუქტურებზე და, ფაქტობრივად, ვერ აკონტროლებდა პარტიულ ფლანგსაც! დროის მცირე მონაკვეთს სათვალავში თუ არ მივიღებთ, ბერია საკავშირო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელობისას, ძალოვანი სტრუქტურების ერთპიროვნული ხელმძღვანელი არასოდეს ყოფილა. მაგალითად, 1945 წელს ბერია იყო უშიშროების შეფი, მაგრამ შინაგან საქმეთა სახკომი გახლდათ **სერგეი კრუგლოვი;** სტალინის პირად დაქვემდებარებაში მყოფი „სმერშის“ (სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახური) ხელმძღვანელი იყო **ვიქტორ აბაკუმოვი,** ხოლო პარალელურად სტალინს, როგორც თავდაცვის სახალხო კომისარს, გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოც ექვემდებარებოდა. ამ სამმართველოს სულ სხვა ხელმძღვანელობა ჰყავდა, რომელიც ხშირად იცვლებოდა. მოკლედ, **1945 წლის მდგომარეობით, საბჭოთა კავშირში ოთხი სხვადასხვა ძალოვანი უწყება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობდა და ერთმანეთს აკონტროლებდა.**

1946 წლიდან სტალინმა საბჭოთა კავშირის მარშალი **ლავრენტი ბერია** პოლიტბიუროში შეიყვანა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ანუ თავის მოადგილედ დანიშნა. ამავდროულად, მთლიანად ჩამოაშორა ძალოვან უწყებებს, მაგრამ მიანდო ყველაზე სტრატეგიული სფეროს — საბჭოთა ატომური პროექტის ხელმძღვანელობა. **1946 წლიდან 1950 წლამდე პოლიტბიუროს წევრთა შორის, სტალინის შემდეგ, ყველაზე ავტორიტეტული და გავლენიანი ლავრენტი ბერია იყო.**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ბერია პოლიტბიუროს წევრთაგან ერთადერთი საბრძოლო მარშალი გახლდათ, რომელიც მეორე მსოფლიო ომში, ფაქტობრივად, კავკასიის დაცვას და მთელი საბჭოთა არმიის ლოჯისტიკას ხელმძღვანელობდა. კაცმა რომ თქვას, პოლიტბიუროში ფორმალურად ბერიას გარდა კიდევ ორი მარშალი იყო — **ნიკოლაი ბულგანინი და კლიმენტი ვოროშილოვი,** მაგრამ ბულგანინს მარშლობა მხოლოდ თანამდებობის გამო მიანიჭეს და ისიც ომის შემდეგ, ხოლო ვოროშილოვი ომამდე იყო მარშალი, თუმცა, ომის დროს ისეთი სიბრიყვეები გამოავლინა, სტალინი მას აღარც კი ელაპარაკებოდა და პოლიტბიუროშიც სამადლოდ ჰყავდათ დატოვებული.

ატომური პროექტის ხელმძღვანელობიდან გამომდინარე, **ბერიას** მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აბსოლუტურად ყველა სფეროს ხელმძღვანელებთან. დაწყებული თავდაცვიდან დამთავრებული მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურებით, ყველა მოვალე იყო, ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად ბერიასთვის სათანადო სამსახური გაეწია.

ბერიას გავლენას ასევე განაპირობებდა ის უდიდესი პიროვნული პატივისცემა და ავტორიტეტი, რომელიც მან საბჭოთა სპეცსამსახურების ოფიცრებს შორის მოიპოვა. განსაკუთრებით ეს ეხებათ მზვერავებსა და კონტრდაზვერვის თანამშრომლებს.

მეოთხე და მთავარი — ბერიას, პოლიტბიუროს სხვა წევრთაგან განსხვავებით, უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის რესპუბლიკებში! რაც შეეხებათ პოლიტბიუროს დანარჩენ წევრებს, გარდა **სტალინისა და ჟდანოვისა,** მათი ერთი ნაწილი მთელი ცხოვრება პარტიის ან მთავრობის ცენტრალურ აპარატში მუშაობდა და რეგიონებში დასაყრდენი არ ჰქონდათ, ხოლო ნიკიტა ხრუშჩოვ-

> **„სტალინის გარდაცვალება საბედისწეროდ დაემთხვა მომენტს, როდესაც ბერიას დაკარგული ჰქონდა თავისი პირდაპირი გავლენა ძალოვან სტრუქტურებზეც და, ფაქტობრივად, ვერ აკონტროლებდა პარტიულ ფლანგსაც!“**




**ისტორიკოსის თვალით** ★

# „სერგო გოგლიძემ ქვეყანას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, როცა ნიკოლაი ეჟოვის გვერდის ავლით ბერია მოსკოვში ჩაიყვანა და საიდუმლოდ სტალინს შეახვედრა!“

სა და ლაზარ კაგანოვიჩს მოსკოვსა და უკრაინაში უფრო ჯალათებად იცნობდნენ, ვიდრე აღმშენებელ ხელმძღვანელებად. აი, სწორედ ზემოხსენებული ნიშან-თვისებებისა და დამსახურებების გამო **ანდრეი ჟდანოვის** სიკვდილის შემდეგ, 1950 წლამდე, ლავრენტი ბერია პოლიტბიუროში სტალინის სავარაუდო მემკვიდრეთა შორის ყველაზე გავლენიანი და ავტორიტეტული ფიგურა იყო!

ბერიას ავტორიტეტის გაზრდას ძალიან შეუწყო ხელი 1949 წელს საბჭოთა ატომური ბომბის შექმნამაც... ამ ყველაფერს დაემთხვა ისიც, რომ 1947 წლიდან **გიორგი მალენკოვი,** რომელიც „აპარატის ჭია“ იყო, „ავიატორების საქმის“ გამო თამაშგარე მდგომარეობაში გახლდათ.

**— ამის შემდეგ რა მოხდა, ბერიას ავტორიტეტი შეირყა?**

— დიახ, ავტორიტეტიც შეირყა და გავლენაც შეეკვეცა. 1949-1950 წლებში მიმდინარეობდა **„ლენინგრადის საქმე“,** რომლის ინიციატორიც იყო **გიორგი მალენკოვი.** ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რომ ამ პროცესმა იგი აქტიურ პოლიტიკაში დააბრუნა. მალენკოვმა ისარგებლა სტალინის ხშირი ავადმყოფობით და ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვა. მან **„ლენინგრადის საქმეს“** მოაყოლა **„ექიმთა საქმე“,** რასაც 1951 წელს გადააყოლა უშიშროების მინისტრი **ვიქტორ აბაკუმოვი** და მის ნაცვლად თავისი მონა **სემიონ იგნატიევი** გაათრია.

**მალენკოვმა იგნატიევსა და მის ახალგამოჩეკილ მოადგილე ივან რიუმინს „მეგრელების საქმე“ წამოაწყებინა, რითიც კავკასიასა და საქართველოში ბერიას დასაყრდენი გამოაცალა და საკავშირო მასშტაბით, მას, როგორც „ყველაზე დიდ და ცნობილ მეგრელს“, ავტორიტეტი შეუბღალა.**

მეტიც, **მალენკოვმა** ამ ყველაფრით ბერიასა და მის თანაგუნდელ უშიშროების გენერლებს შორის უფსკრული გააჩინა. მაგალითად, **სემიონ იგნატიევის** პირველ მოადგილედ, **იგნატიევ-მალენკოვის** დაბალანსების მიზნით, სტალინმა **სერგო გოგლიძე** დანიშნა. ეს ბერიას უახლოესი მეგობარი სერგო გოგლიძეა, რომელმაც თავის დროზე სტალინიც და ბერიაც ეჟოვისაგან იხსნა. მართალია, გოგლიძეს „მეგრელების საქმესთან“ შეხება არ ჰქონია, მაგრამ პირადად ბერიასთვის ეს ძალიან მტკივნეული ფაქტი გახლდათ და ბერიამ სერგო გოგლიძის მიმართ ნდობა დაკარგა.

**აქედან გამომდინარე, 1953 წლის 5 მარტს, როცა გაერთიანებულ შინაგან საქმეთა და უშიშროების უწყებათა მინისტრი გახდა, გოგლიძე პირველ მოადგილედ ველარ დატოვა და ის მოადგილეები, რომლებსაც ლავრენტი ბერია დაეყრდნო, სულ მალე მის მესაფლავეებად იქცნენ.** ესენი იყვნენ **სერგეი კრუგლოვი და ივან სეროვი!** სამწუხაროდ, **სერგო გოგლიძესთან** დაკავშირებული პრეცედენტი გამონაკლისი არ ყოფილა და **ვსევოლოდ მერკულოვით** დაწყებული, **აქვსენტი ცანავათი და მიხეილ გვიშიანით** დამთავრებული, ბერიას მალენკოვის მიერ დაგებული ხაფანგის — „მეგრელების საქმის“ წყალობით, ურთიერთობა ყველასთან გაუფუჭდა. აი, სწორედ ასეთ ვითარებაში გარდაიცვალა სტალინი...

**— რას შეეცადა ბერია ავტორიტეტისა და გავლენების დასაბრუნებლად, რათა ერთპიროვნული ძალაუფლება მოეპოვებინა?**

— სტალინის სიკვდილის დღეს, 1953 წლის 5 მარტს, კრემლში **ლავრენტი ბერია** გიორგი მალენკოვს დროებით გაურიგდა. ცეკასა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე, ბერიას წინადადებით, მალენკოვი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, ხოლო მალენკოვის წინადადებით, ბერია საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ერთადერთ მოადგილედ დაამტკიცეს და გაერთიანებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელადაც დანიშნეს. ამავე სხდომაზე **მალენკოვისა** და **ბერიას** წინადადებით, კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმის (პოლიტბიურო) შემადგენლობა შეცვალეს და 25-კაციან პოლიტბიუროში მხოლოდ შემდეგი პირები დარჩნენ: **მალენკოვი, ბერია, მოლოტოვი, პერვუხინი, საბუროვი, მიქოიანი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ხრუშჩოვი და ბულგანინი.** მეორე დღიდანვე ბერიამ დაიწყო პოლიტბიუროს „ცხრიანთან“ „მუშაობა“. მან მაშინვე შეწყვიტა „ავიატორების საქმე“, „ექიმთა საქმე“ და ამ უკანასკნელთან ნაწილობრივ დაკავშირებული „ებრაელების საქმეც“... ბერიამ ყველა ამ საქმეზე დაპატიმრებული გაათავისუფლა. ამით მან გადაარჩინა **ლაზარ კაგანოვიჩიც, ვიაჩესლავ მოლოტოვიც, კლიმენტი ვოროშილოვიც, ანასტას მიქოიანიც** და საბოლოოდ ტვირთი მოუხსნა **გიორგი მალენკოვსაც.** საქმე ის გახლავთ, რომ ზემოხსენებულთაგან უმეტესობას ებრაელი ცოლი ჰყავდა, ხოლო **მიქოიანი და მალენკოვი** პირდაპირ „ავიატორების საქმეზე“ იყვნენ მიბმული — **მალენკოვი** — თანამდებობრივად, ხოლო **მიქოიანი** — ოჯახით! რაც შეეხებათ **პერვუხინს, საბუროვსა და ბულგანინს,** ისინი ბერიას პოლიტბიუროს წევრობის სტაჟით ჩამორჩებოდნენ, ხოლო საქმით მასზე მიბმული იყვნენ და ამდენად, ბერიასთან მხოლოდ პოზიტივი აკავშირებდათ. ავტორიტეტის მხრივ კი ეს სამეული საბჭოთა ადამიანებისთვის ყველაზე ნაკლებად იყო ცნობილი...

**— ნიკიტა ხრუშჩოვი რამდენად საშიში იყო ბერიასთვის?**

— ხრუშჩოვი პოლიტბიუროს წევრთა შორის ყველაზე დაბალი დონის პერსონად იყო მიჩნეული. უფრო მეტიც, ხრუშჩოვს კომიკურ პერსონაჟადაც აღიქვამდნენ. თავის მხრივ, ბერიას ნიკიტა ხრუშჩოვთან კონფლიქტი არასოდეს ჰქონია, პირიქით, მათ გარკვეულწილად ახლობლური ურთიერთობაც კი ჰქონდათ. გარდა ამისა, 1953 წლის 5 მარტს, როცა კრემლში სასწრაფო სხდომა ჩატარდა, **ბერიამ ხრუშჩოვი იოსებ სტალინის ტახტზე დასვა!**



სერგო გოგლიძე



იოსებ სტალინი და ნიკოლაი ეჟოვი



სერგეი კრუგლოვი



ივან სეროვი

**— მაინც რა მოხდა?**

— მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით, საბჭოთა ქვეყნისა და ხალხის მთავარ მამოძრავებელ და ხელმძღვანელ ძალად კომპარტია ითვლებოდა! კომპარტიას მართავდა ცეკა, ცეკას — პოლიტბიურო, ხოლო პოლიტბიუროში წამყვანი პოზიციები ეჭირათ პოლიტბიუროს წევრ ცეკას მდივნებს! ასე, მაგალითად, 1934 წლიდან სიკვდილამდე სტალინი აღარ ატარებდა „გენერალური მდივნის“ ტიტულს და მხოლოდ პოლიტბიუროს წევრ ერთ-ერთ ცეკას მდივნად იწოდებოდა! 1953 წლის 5 მარტამდე პოლიტბიუროში, ანუ იმავე პრეზიდიუმში, ერთდროულად ყოველთვის რამდენიმე ცეკას მდივანი შედიოდა. **1953 წლის 5 მარტს ლავრენტი ბერიამ პრეზიდიუმიდან გაიყვანა ცეკას ყველა მდივანი გარდა ნიკიტა ხრუშჩოვისა.** ეს იმას ნიშნავდა, რომ კონსტიტუციურად 1953 წლის 5 მარტიდან საბჭოთა კავშირის ნომერ პირველი ლიდერი პრეზიდიუმის წევრად დარჩენილი კომპარტიის ცეკას ერთადერთი მდივანი **ნიკიტა ხრუშჩოვი** გახდა! ასეთ პატივს ნიკიტა ხრუშჩოვი სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა... ამას დაემატა კიდევ რამდენიმე გარემოება, რასაც, წესით, ბერიას ძალაუფლება უნდა განემტკიცებინა — **ბერიამ პოლიტიკური ნაგავსაყრელიდან დააბრუნა და თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ გაათრია გიორგი ჟუკოვი;**

**ბერიამ არა მარტო საქართველოში, არამედ ყველა რესპუბლიკაში დაიწყო ნაციონალური სეგმენტების ლობირება და პატრიოტული ძალების გულის მოგება. კერძოდ, მან კატეგორიულად მოითხოვა რესპუბლიკებში ადგილობრივი პარტიის ცეკას პლენუმებიც კი ეროვნულ ენებზე ჩატარებულიყო;**

ბერიამ ბოლომდე მიიყვანა წყალბადის ბომბის შექმნის პროცესი, რომლის პრეზენტაციაც 1953 წლის ივლისში იყო დაგეგმილი და მას საბჭოთა კავშირის სამხედრო პოტენციალი უნდა გაეორმაგებინა. ამის პარალელურად, ბერიამ მუშაობა გააძლიერა სტალინის ერთ-ერთი უკანასკნელი თვითმიზნის განსახორციელებლად, რაც ორად გაყოფილი გერმანიის გაერთიანებასა და ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადებას გულისხმობდა. **ამ საქმეს უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა ბერიას, როგორც მსოფლიო მასშტაბის პროგრესული ლიდერის, კორონაცია. აქედან გამომდინარე, ვითარება მოულოდნელად და ელვის უსწრაფესად რომ არ შეცვლილიყო, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიას გორბაჩოვზე 37 წლით ადრე მარშალი ბერია მიიღებდა!**

> „ის მოადგილეები, რომლებსაც ლავრენტი ბერია დაეყრდნო, სულ მალე მის მესაფლავეებად იქცნენ. ესენი იყვნენ სერგეი კრუგლოვი და ივან სეროვი!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*

## როგორ შეიძლება აიხსნას მოსკოვისთვის ბრძოლის და დედაქალაქის გმირულად დაცვის შემდეგ გენერალი ვლასოვის ჰიტლერის მხარეს გადასვლა? ნუთუ იგი მართლაც დარწმუნდა გერმანიის უეჭველ გამარჯვებაში, თუ პირადი ინტერესი ამოქმედებდა? (ვფიქრობ, აქ ყურადღებას იმსახურებს გებელსის მიერ ვლასოვთან შეხვედრის შემდეგ დღიურში გაკეთებული ჩანაწერი).



**ანდრეი ვლასოვი** ერთ-ერთი ტრაგიკული ისტორიული ფიგურაა. იგი მართლაც მონაწილეობდა მოსკოვის დაცვაში, მეტიც, ერთ-ერთი გმირი იყო იმ ბრძოლისა, რომლის შედეგად გერმანელები დედაქალაქიდან 100 კილომეტრის მოშორებით გარეკეს. მისი სარდლობით მე-20 არმიამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი და **ქალაქები ვოლოკალამსკი და სოლნეჩნოგორსკი აიღო. ვლასოვის** დამსახურება უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაში აღინიშნა და მოსკოვის ბრძოლისათვის მან პირადად სტალინის ხელიდან მიიღო წითელი დროშის ორდენი. სწორედ ამ გამარჯვების შემდეგ მიანიჭა **სტალინმა გენერალ-მაიორ ვლასოვს გენერალ-ლეიტენანტობა.**

მაშ, რატომ გადავიდა **ჰიტლერის** მხარეს მხედართმთავარი, რომელიც **სტალინის** განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა და რომელმაც ასე ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე **ა.ვლასოვის** მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს მოგაწვდით. იგი **1900 წელს** დაიბადა ღარიბ გლეხთა ოჯახში, სადაც მე-13 ბავშვი იყო. დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი და ორი წელი სემინარიაშიც სწავლობდა. **1920 წლიდან** წითელ არმიაშია, ჯერ — რიგითად, ხოლო შემდეგ — სამეთაურო პოსტებზე. 30-იანი წლების ბოლოს გარკვეულ ხანს სამხედრო მრჩეველია ჩინეთში. **1940 წლის იანვრიდან** მეთაურობს წითელი არმიის 99-ე დივიზიას, რომელიც ჩამორჩენილიდან მალე ერთ-ერთ საუკეთესოდ გადააქცია, რისთვისაც ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. **1941 წლიდან ვლასოვი მე-4 მექანიზებული კორპუსის მეთაურია. ლვოვის** მიმართულებით კორპუსის წარმატებული მოქმედების გამო იგი უმაღლესი მთავარსარდლის მადლობას იღებს და კიევის დამცველი 37-ე არმიის სარდლად ინიშნება. **კიევთან კატასტროფის შემდეგ მხოლოდ ვლასოვის არმიამ მოახერხა, ბრძოლებით დაეღწია თავი ალყისათვის.** თავად სარდალი მძიმედ დაიჭრა. **1941 წლის ნოემბერში ვლასოვს პირადად სტალინი იღებს და მას მე-20 არმიას აბარებს.** როგორ მოქმედებდა გენერალი მოსკოვისთვის ბრძოლაში, ჩვენ უკვე გიამბეთ.

**ვლასოვის** შემდგომი კარიერა ასე აეწყო: **1942 წლის მარტში** მას ლენინგრადის დებლოკადისთვის შექმნილი ვოლხოვის ფრონტის სარდლის მოადგილედ ნიშნავენ. იმავე წლის აპრილში იგი მე-2 დამრტყმელი არმიის მეთაური ხდება, რომლის მთავარი ამოცანა ქალაქის გარშემო რკალის გარღვევაა. მაგრამ **ვლასოვის** არმია მალევე ალყაში ექცევა და „ქვაბიდან" თავის დაღწევის ყველა ცდა უშედეგოდ მთავრდება. არმია ასეთ პირობებში დეგრადირებას იწყებს და **ვლასოვი,** ფაქტობრივად, ველარ მართავს მას. პატარა დაქსაქსული ჯგუფები გარემოცვიდან თავის დაღწევას ახერხებენ, მაგრამ **ვლასოვი** რამდენიმე ათეული მებრძოლით ალყაში რჩება. **1942 წლის ივლისში** მე-2 დამრტყმელი არმია, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, **ვლასოვი** და კიდევ რამდენიმე ადამიანი ტყეებში იმალებიან. **13 ივლისს ლენინგრადის ოლქის სოფელ ტუხოვეჟის მახლობლად იგი გერმანელთა ტყვეობაში ხვდება.** ვარაუდობენ, რომ ის ადგილობრივმა გლეხებმა დაასმინეს. გერმანელების მიერ ტყვე საბჭოთა გენერლის „დამუშავება" დიდხანს არ გრძელდება. **იმავე წლის აგვისტოში ვლასოვი თანხმდება, ხელი მოაწეროს სააგიტაციო ფურცელს, რომელიც წითელ არმიას დანებებისაკენ მოუწოდებს;** გამოდის რადიოთი და გერმანულ და რუსულ საოკუპაციო პრესაში აქვეყნებს ღია წერილს **„რატომ დავდექი ბოლშევიზმთან ბრძოლის გზაზე".** გერმანელთა დავალებით იგი სამხედრო ტყვეთა ბანაკებში დადის და თავის ე. წ. რუსულ გამათავისუფლებელ არმიაში ხალხს იბირებს, თუმცა, მისი ჩამოყალიბების საქმე მძიმედ მიდის. **ჰიტლერი** და **ჰიმლერი** რუსული არმიის შექმნის წინააღმდეგნი არიან. პირველი დივიზიის ფორმირება მხოლოდ **1945 წლის თებერვალში** მოხერხდა, მას მეორე დივიზია მოჰყვა. და მხოლოდ **აპრილის ბოლოს** შეძლო **ვლასოვმა 100 ათასკაციანი არმიის შეგროვება.** ომი დასასრულს უახლოვდება. **ვლასოვი** რწმუნდება თავისი მფარველების გარდაუვალ დამარცხებაში და გაბედულ ნაბიჯს დგამს — **1945 წლის მაისის** დასაწყისში თავის არმიას აჯანყებული პრაღის დასახმარებლად აგზავნის და ქალაქს გერმანელებისაგან ათავისუფლებს. თუმცა, როგორც კი პრაღას მარშალი კონევის ტანკები მოადგება, ქალაქს ტოვებს და დასავლეთისაკენ მიეშურება ინგლისელ-ამერიკელი მოკავშირეებისთვის დანებების იმედით. **1945 წლის 12 მაისს,** შლოსელბურგის ციხესიმაგრეში ამერიკელებისთვის ჩაბარების მცდელობისას, **ვლასოვი** მოულოდნელად საბჭოთა არმიის კონტრდაზვერვის **(სმერში)** თანამშრომლებმა შეიპყრეს. **1946 წლის 1 აგვისტოს** ღამით **ვლასოვი და სხვა გენერლები, რომლებიც გერმანელებს ემსახურებოდნენ, სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩვეს.**

როგორც ხედავთ, **ვლასოვის** ღალატი აიხსნება არა იდეური მოსაზრებებით და გერმანიის გამარჯვების რწმენით, არამედ გარემოებებით და, თქვენი თქმის არ იყოს, **„პირადი ინტერესით".** სხვა ვითარებაში **ვლასოვი,** შესაძლოა, მარშალიც გამხდარიყო. **მისი ბედი ბევრ რამეში წააგავს ფელდმარშალ პაულიუსის ბედს, რომელსაც, სტალინგრადის შემდეგ ჰიტლერის ხელში მოხვედრის შემთხვევაში, ასეთივე აღსასრული მოელოდა.** რაც შეეხება **გებელსის** მიერ თავის დღიურში **ვლასოვის** შეფასებას, უნდა ითქვას, რომ რაიხსმინისტრი ერთადერთი იყო ნაცისტურ ხელმძღვანელობაში, ვინც გამცემ გენერალს მხარს უჭერდა. **გებელსი** ახასიათებს მას, როგორც **„უაღრესად ენერგიულ მხედართმთავარს"** და წერს: **„ვლასოვს ბრწყინვალე გონება აქვს. მან ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა." ვლასოვის** ფიგურას გებელსი დიდ გეგმებს უკავშირებდა, მაგრამ მათი მოლაპარაკების მომენტში (1945 წლის მარტი) ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. აი, კიდევ ერთი საინტერესო ციტატა გებელსის დღიურიდან: **„ვლასოვი თვლის, რომ რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩება, თუ ბოლშევიკური იდეოლოგიისაგან გათავისუფლდება და გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის მაგვარ იდეოლოგიას შეითვისებს."** ძნელი დასაჯერებელია, რომ გენერალ **ვლასოვს** ტყვედ ჩავარდნამდეც ასეთივე აზრი ჰქონდა.



ანდრეი ვლასოვი ვერმახტის ერთ-ერთ რუსულ ნაწილში. 1943 წელი

## მოსკოვში გამართულ გამარჯვების აღლუმზე საპატიო სტუმრებს შორის ნინო დუმბაძეც იყო. როგორც ამბობენ, ის პირადად ბელადმა მიიწვია. მართალია? დაწვრილებით გვიამბეთ ამ გამოჩენილ სპორტსმენზე – საიდან არის წარმოშობით, როგორ მოხვდა დიდ სპორტში?



მართალი ბრძანდებით. **ნინო დუმბაძემ ი.ბ. სტალინისაგან** პერსონალური მიწვევა მიიღო გამარჯვების აღლუმზე დასასწრებად, რომელიც **1945 წლის 24 ივნისს მოსკოვში, წითელ მოედანზე, გაიმართა.** იგი საპატიო სტუმართა ტრიბუნაზე იმყოფებოდა. **სერგო ქავთარაძის მოწმობით,** სტუმართა სიაში სპორტსმენის ჩართვისას **სტალინმა** თქვა: **„ამ ქალმა ომი ჩვენთან ერთად მოიგო."** თუმცა, **ნინო დუმბაძე** საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობდა, ქავთარაძის აზრით, **სტალინს** მხედველობაში ჰქონდა მის მიერ მძიმე **1943 და 1944 წლებში** ქვეყნის ჩემპიონატებში გამარჯვება, როდესაც, ამასთან, სპორტსმენი საუკეთესო ფორმაში სულაც არ იყო.

**ნინო დუმბაძე 1919 წელს ოდესაში** დაიბადა. მისი მამა **იაკობ დუმბაძე** ადგილობრივი გუბერნატორის ბიძაშვილი იყო, დედა კი — შვედი არისტოკრატი, ბარონესა **მატილდა იქსკიული.** ის იაკობ დუმბაძემ გერმანიიდან ჩამოიყვანა ბერლინის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დიპლომთან ერთად.

**ნინო ოდესის** ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობდა. სპორტსმენობა სირბილით და სიგრძეზე ხტომით დაიწყო, მაგრამ ტრავმის შემდეგ ბადროს ტყორცნაზე გადაერთო — სპორტის სახეობაზე, რომელშიც ბადალი არ ჰყავდა. ძალიან მოკლედ მისი სპორტული კარიერის ეტაპები ასეთია: **სსრკ-ის მრავალგზის ჩემპიონი — 1939-1950 წლებში. ორჯერ** (1946 და 1950 წლებში) **გახდა ევროპის რეკორდსმენი. 1948 წლის აგვისტოში მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 53,25 მ. და 11 მეტრით გააუმჯობესა ფრანგი მიშლენ ოსტერმაიერის რეკორდი. შემდგომში, 1960 წლამდე, ნინო დუმბაძე პერიოდულად აუმჯობესებდა საკუთარ რეკორდს და იგი მართლაც ფანტასტიკურ ციფრამდე — 57,04 მეტრამდე მიიყვანა.**

## ცოტა ხნის წინ ბათუმში სანკტ-პეტერბურგის ცვილის ფიგურების მუზეუმის ექსპოზიცია დავათვალიერეთ. ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა სტალინის ფიგურის ფეხსაცმლის ზომამ (დაახლოებით – 36). განმარტებისთვის გამოფენის მენეჯერს, ქალბატონ ტატიანა ჩერნიშოვას მივმართეთ, რომელმაც გვიპასუხა, რომ ფეხის ზომა სავსებით შეესაბამება სტალინის სიმაღლეს და პროპორციებს. ამ პასუხმა არ დაგვაკმაყოფილა. გვინდა, ვიცოდეთ, აგრეთვე, რომელ ასაკამდე შეინარჩუნა სტალინმა ქალებისადმი ინტერესი?

ექსპოზიციის მენეჯერს სწორი პასუხი გაუცია. თუმცა, ი.ბ. სტალინის ფეხის ზომის შესახებ ზუსტი ცნობები არ არსებობს, იგი, სავარაუდოდ, 37-ს არ აღემატებოდა. ამაზე შეიძლება ბელადის სიმაღლის და ფიგურის შესახებ მონაცემების მიხედვით ვიმსჯელოთ. მხედველობაში მაქვს 1902 წლის ივლისს ბათუმში დაპატიმრებული იოსებ ჯუღაშვილის გარეგნობის აღწერა, რომელიც ჟანდარმერიის ადგილობრივმა სამმართველომ შეადგინა. იქ აღნიშნულია სიმაღლე „2 არშინი და 5,2 გოჯი", რაც დღევანდელ საზომზე გადაყვანით 163 სანტიმეტრს უდრის. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მამაკაცის საშუალო სიმაღლედ 165 სანტიმეტრი ითვლებოდა, ხოლო 170-სანტიმეტრიან კაცს უკვე მაღალი ერქვა. ასე რომ, სტალინი საშუალოზე ოდნავ დაბალი ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ ლენინი მასზე თითქმის 10 სმ-ით დაბალი იყო (155 სმ).

აღწერილობაში ფეხის ზომა მითითებული არ არის, მაგრამ უდავოა, რომ 36 ან 37 ზომის ფეხსაცმელი ასეთ სიმაღლეს სავსებით შეესაბამება. მითუმეტეს, თუ დევი სტურუას ვერწმუნებით, რომელმაც სტალინი 1946 წლის გაზაფხულზე სინოპში, კალინინის აგარაკზე, ნახა: **„ბელადი პროპორციული აღნაგობისა იყო და თანამოსაუბრეთაგან განცალკევებით მდგომი სულაც არ მოჩანდა დაბალი."** ყმაწვილმა დევი სტურუამ (მაშინ 14 წლის იყო) სტალინს, პრაქტიკულად, „ფოტო გადაუღო". აი, ეს „ფოტოგრაფია": **„მკვიდრად დამჯდარი სწორი მოყვანილობის თავი, თითქმის მთლიანად ჭაღარა თმა, თეთრი, ტუჩებთან ოდნავ ჟღალი ულვაშები. წარბები თმაზე მუქია, მათ ქვემოთ კი — საოცრად ახალგაზრდული, შავი თუ მუქი თაფლისფერი ოდნავ ელამი თვალები..."** „კადრში" სტალინის ხელები და ფეხებიც მოხვდა: „...მან პატარა ლამაზი ხელი გამომიწოდა..." **„სტალინს ფლანელის მოყვითალო კიტელი და ფლანელისვე შარვალი ეცვა. ორივე უმოწყალოდ დაჭმუჭნილი იყო. ფეხზე ძალზე გაცვეთილი შტიბლეტები ემოსა ორივე მხრიდან დადებული დიდი საკერებლებით. ეს წარმოუდგენელი იყო."** საინტერესოა დასკვნა, რომელსაც დევი სტურუა სტალინის გარეგნობასთან დაკავშირებით აკეთებს: **„ეს იყო კოხტა აღნაგობის ქართლელი გლეხი, რომელიც რაღაც ჯადოსნობით სტალინად გადაიქცა"** (დავამატებთ, რომ თანამედროვეთა მოწმობით, სტალინი თავად არემონტებდა საკუთარ ფეხსაცმელს).



იოსებ სტალინი და მისი დაცვა. 1943 წელი

ქალებისადმი ინტერესთან დაკავშირებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ მახლობელ აგარაკზე მრავალი წლის განმავლობაში (1935-1953 წ.წ.) ცხოვრობდა ეკონომი ვალენტინა ისტომინა, რომელიც პატრონის სრული ნდობით სარგებლობდა. ფელიქს ჩუევთან საუბრისას მოლოტოვი მას „სტალინის შესაძლო არაოფიციალურ ცოლად" მოიხსენიებს. ასე იყო თუ არა, ბუნებრივია, ეს ჩვენი განსასჯელი არ არის.

გენერალისიმუსი
2023 წლის 13 მარტი, № 15 (183)
სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# საქართველოს დამოუკიდებლობა კაპიტან გიგაურის ტრუსიკზე იაფი გახადეს!



***1644 წელს, როცა მანჯურიელთა ბელადმა დორგუნმა ჩინეთის მინის იმპერიის დედაქალაქი ბეიჯინგი, ანუ დღევანდელი პეკინი აიღო და ქვეყანაში ტერორისტული რეჟიმი დაამყარა, ეთნიკური ჩინელების დამცირებისა და ღირსების შელახვის მიზნით, თვალუწვდენელ ქვეყანაში ასეთი რამ დააწესა — ამიერიდან ყველა ჩინელმა მამაკაცმა, ქალის მსგავსად, გრძელი და დაწნული თმა უნდა ატაროსო!***

ვინც **მანჯურიელთა** მიერ შემოღებულ ამ წესს არ დაემორჩილებოდა, მაშინვე სიკვდილით სჯიდნენ! **მონღოლებმა,** პირიქით, ჩინელებს თმის გადაპარსვა აიძულეს, რათა თმაში იარაღი არ დაემალათ. **შოტლანდიელმა პატრიოტებმა,** რომლებიც ინგლისელების ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდნენ, კილტი ჩაიცვეს და საშინელი ფიცით დაიფიცეს — ვიდრე თავისუფლებას არ მივიღებთ, ქალის სამოსით ვივლითო! სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ შოტლანდიამ ინგლისელების ხელში თავისუფლება სამუდამოდ დაკარგა, ხოლო კილტი მათ ეროვნულ სამოსად იქცა...

**როგორც ჩინეთში მანჯურიელთა ტერორისტული რეჟიმი, გასულ კვირას საქართველოში ენჯეო-აგენტურის დიქტატურა დამყარდა.** კერძოდ, ამერიკის საელჩოსა და შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ვართაპეტის — **ნედ პრაისის** აქტიური ჩარევით, ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გაიმარჯვა **ენჯეო-მაფიამ,** რომელიც თითოეული ქართველისგან არა დაწნული დალალებით სიარულს ან თავის გადაპარსვას, არამედ თავზე **კაპიტან გიგაურის ტრუსიკის** ჩამოცმას მოითხოვს!

ამიერიდან საქართველოში **ხვიჩა კვარაცხელიას** მაისურების ნაცვლად, გაიყიდება **ეკა გიგაურის ტრუსიკები** „ცერეუს“ აწ განსვენებული შეფის **ალენ დალესის** ხელმოწერით. **ჰოდა, ძვირფასო ქართველებო, ვისაც ცხოვრების რომელიმე სფეროში კარიერული წინსვლა და წარმატების მიღწევა სურს, იმან გიგაურის ტრუსიკი, როგორც ენჯეო-აგენტურისადმი მორჩილებისა და მონობის უტყუარი ნიშანი, აუცილებლად უნდა ატაროს!**

შეგახსენებთ, რომ ეს ის **კაპიტანი გიგაურია,** რომელიც ახლა ვირთხასავით არის დამალული და, როგორც სალომე ზურაბიშვილი ამერიკიდან, ისე სოროსის რომელიღაც სოროდან ადევნებს თვალს რუსთაველის პროსპექტზე განვითარებულ პროცესებს!

**ეს ის ეკა გიგაურია,** რომლის **„საერთაშორისო გამჭვირვალობაც“** ერთ-ერთი ყველაზე უფრო **ბნელი, გაუმჭვირვალე და გასაიდუმლოებული ორგანიზაციაა საქართველოში,** რომელსაც ამერიკელები ყოველწლიურად ათეული მილიონი დოლარით აფინანსებენ...

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ **2023 წლის 7 მარტს** საქართველოში დაქოქეს უმძიმესი და უკიდურესად ფეთქებადსაშიში პროცესი, როცა **ქვეყანაში მოქმედმა ენჯეო-აგენტურამ და მათმა დასავლეთელმა პატრონებმა** საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროვოცირება მოახერხეს და თბილისში **უკრაინული მაიდნის** გაჩაღება სცადეს. ყველამ ვიხილეთ აგიზგიზებული ხანძარი შუა რუსთაველზე, ცეცხლში გახვეული პოლიციის მანქანები და ავი აჩრდილი იმ საშინელი წლებისა, როცა **აკია ბარბაქაძე** და ნაცდეპუტატი **დევი ჭანკოტაძე კიტოვანის მეზარბაზნეებად** „მუშაობდნენ“ და საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას რუსული ზარბაზნებიდან ცეცხლსა და სიკვდილს უშენდნენ!

დღეს იგივე ხალხი გადატრიალებისა და სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირების ავანგარდში დგას და უკუნეთისკენ მიერეკება პროვოცირებული, გაბრიყვებული და მოტყუებული ახალგაზრდების მცირე ჯგუფს, რათა საქართველოს აწმყოსთან ერთად მომავალიც მოუსპოს!

**საქართველოს დაღუპვას და უკრაინული მაიდნის ქარცეცხლში გახვევას რომ უპირებენ, ეს ნათლად გამოჩნდა 2023 წლის 8 მარტის ღამეს, როცა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ვითარება უკიდურესად დაიძაბა, ხოლო ევროპარლამენტარი და სააკაშვილის ერთ-ერთი ლობისტ-მეგუნდრუკე, რომელსაც გიული ალასანიასგან, სავარაუდოდ, ქრთამი აქვს აღებული, ვიოლა ფონ კრამონი გამოვიდა და პირდაპირ განაცხადა — თბილისში განვითარებული მოვლენები ძალიან მაგონებს უკრაინის მაიდანსო!**

მანამდე ერთი დღით ადრე, 7 მარტს, იმ დღეს, როცა **ედუარდ შევარდნაძის მეუღლე, ქალბატონი ნანული ცაგარეიშვილი** დაიბადა, ამერიკის ელჩმა კელი დეგნანმა საქართველოს სუვერენიტეტს სწორედ **კაპიტან გიგაურის ტრუსიკი** ესროლა და განაცხადა — **დღეს საქართველოში დემოკრატიას შავი დღე გაუთენდაო!**



„მშვიდობიანი“ დემონსტრანტები იცავენ საქართველოს „ევროპულ მომავალს“. თბილისი, 2023 წლის 8-9 მარტი

## ენჯეო-აგენტურამ და მათმა დასავლეთელმა დამქაშებმა, რომლებიც მაიდანს გვიწყობდნენ, თავში მარტო საქართველოს ხელისუფლებას კი არა, საქართველოსაც ჩაარტყეს!

ეს კოდური სიტყვები იმ ცნობილი განცხადების პერიფრაზია, რომელიც 1991 წელს ამერიკის პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა (უფროსი)** პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მისამართით წარმოთქვა — **გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო!** მაშინ ამ ფრაზამ საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და ქვეყნის სისხლში ჩახრჩობას „მწვანე შუქი“ აუნთო... ზუსტად იმავე „მწვანე შუქის“ ფუნქციას ასრულებდა **კელი დეგნანის** მოწოდებაც. უკვე დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ ცნობილი ნახევარქათამას — **გედი ფოფხაძისა** და ბანტიანი ბეკეკას — **სერგი კაპანაძის** საუბარი, სადაც პარლამენტში შევარდნასა და გადატრიალების „გამწვანებაზეა“ ლაპარაკი, სწორედ **კელი დეგნანის** ზემოხსენებულ ინსტრუქციას გულისხმობს, რაც საბოლოო ჯამში იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სუვერენიტეტს **ეკა გიგაურის ტრუსიკზე** უფრო მაღალი ფასი რომ ჰქონდეს, ასეთი ელჩი, რომელიც არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ გადატრიალებას აწყობს, ქვეყნიდან კიწწისკვრით არის გასაგდები!

ზუსტად 31 წლის წინათ, იმ ავადსახსენებელი **1992 წლის 7 მარტს,** ედუარდ შევარდნაძე ამერიკელებმა მოსკოვიდან თბილისში ჩამოიყვანეს და სისხლიანი ტახტი უკურთხეს. **იმ დღიდან მოყოლებული საქართველოს სისხლის ცრემლები ჩამოსდის, იმ დღიდან მოყოლებული საქართველომ ძირძველი ტერიტორიები ზოგან — ომით, ზოგან — ტაშ-ფანდურითა და „მტლაშა-მტლუშით“, ხოლო ზოგან საეჭვო ფინანსური გარიგებებითა და უმდიდრეს ნავთობკომპანიებში სამშობლოს მოღალატეებისთვის გადმოგდებული წილების სანაცვლოდ დაკარგა.**

1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან ოქტომბრის გადატრიალებამდე რუსეთის იმპერიაში შექმნილ სიტუაციას **მაქსიმ გორკი** ასე აღწერდა — **პეტროგრადში ძალაუფლება ქუჩაში, ტალახში გდია, ბოლშევიკები დაიხარნენ და აიღესო!**

შევარდნაძის საქართველოში **მეორედ მოსვლის** დღიდან საქართველოს სუვერენიტეტიც ისე გაიაფდა, დამცირდა და არარაობად იქცა, საბოლოოდ იმის მომსწრენიც კი გავხდით, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ ლამაზი სამშობლოს დამოუკიდებლობა არათუ ქუჩის მტვერსა და ტალახში ამოგანგლეს, არამედ **კაპიტან გიგაურის ტრუსიკზე** იაფი გახადეს... **დღეს საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხარისხი იმაზე უფრო საცოდავ დღეშია, ვიდრე თვალუწვდენელი საბჭოთა იმპერიის განუყოფელი ნაწილის — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის „სახელმწიფოებრიობა“.**

საბჭოთა საქართველოს იმის პატივი მაინც ჰქონდა, მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად მეტროპოლიიდან, ანუ კრემლიდან თბილისში რომელიმე წითელი იმპერატორი თუ არა, ქვეყნის მეორე პირი მაინც ჩამოსულიყო, მაგრამ დღეს ე.წ. „სუვერენული“ და ევროპააჩემებული საქართველოს ბედი დამოკიდებულია იმაზე, რომელ ფეხს გადმოადგამს საწოლიდან ახლად გაღვიძებული **ქალბატონი კელი** და რა ფერის ტრუსიკს ჩაიცვამს ნაცენჯეო-აგენტურის უსტაბაში, **კაპიტანი გიგაური,** რომელიც სხვათაშორის, ამ რამდენიმე წლის წინათ **პალიკო კუბლაშვილთან** ერთად სამეგრელოში, ტყაიას ტყეში, დაიკარგა!

**მოგეხსენებათ, მოსკოვის კარნახისა და კრემლის ემისრების დასტურის გარეშე საქართველოში ფოთოლი არ ირხეოდა. ეს რომ არ მოგვწონდა და ამას რომ არ ვეგუებოდით, ამიტომაც ფრიალებდა საქართველოში თავისუფლების დროშა ნიადაგ, ამიტომ ხვრეტდნენ 1924 წელს ქართველ პატრიოტებს, ამიტომ ამოულიტეს 1942 წელს სამანელები, ამიტომ გადაუარეს 1956 წლის 9 მარტს ხალხს ტანკებით, ამიტომ მოგვიწყვეს 9 აპრილი და ამიტომ დალიეს ჩვენი სისხლი გაგრასთან, თამარაშენთან, ერედვთან თუ ქარჩოხთან...**

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას იმისთვის არ უბრძოლიათ და საქართველოს პირველი პრეზიდენტი შევარდნაძის მსტოვრებს სამეგრელოს ტყეში იმიტომ არ შეაკვდა, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება ამერიკის ხელისუფლებას **კაპიტან გიგაურის ტრუსიკით** გადაეწონა. ქართველი ერი ასეთ შეურაცხყოფას არ იმსახურებს, ქართველი ხალხი ამ უპატივცემულობასა და თავში ჩარტყმას არ მოითმენს!

ასე უდიერად, უტიფრად და აღვირახსნილად საქართველოში თვით რუსის ეგზარქოსებიც კი არ მოქმედებდნენ!

არ შეიძლება, ერთმა სახელმწიფომ მეორეს კანონის მიღება და ლაპარაკი აუკრძალოს!

1857 წელს აჯანყებულმა უტუ მიქავამ რუს გენერალ კოლიუბაკინს 8-პუნქტიანი მოთხოვნა წარუდგინა. ერთ-ერთი მოთხოვნა ასეთი იყო — **„კაცის კაცები არ უნდა არსებობდნენ!“**

ჩვენ ვითხოვთ და მოვითხოვთ, ამერიკის ადმინისტრაციამ საქართველოში **„ნაცის ნაცების“ თარეში** აკრძალოს!

**არ შეიძლება,** საქართველოში ამერიკის ელჩი ნაცზე უფრო ნაცი იყოს და ქვეყანას სააკაშვილზე უფრო სწრაფი ნაბიჯებით მიაქანებდეს დაღუპვისკენ!

**არ შეიძლება,** კელი დეგნანს საქართველოს გასასრესად იმაზე უფრო დიდი ქვა ეჭიროს ხელში, ვიდრე თავის დროზე გიგა ბოკერიასა და დავით პაჭანიკს საქართველოს ეკლესიის ჩასაქოლად დააჭერინეს და ხალხსა და ქვეყანას მიუქსიეს!

დასასრულ, გადმოცემით, 1888 წელს ქუთაისში ჩასული რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე ქეიფის მაშინდელმა იმერელმა დიდოსტატებმაც კი ვერ მოიყვანეს, თურმე, ხასიათზე მას შემდეგ, რაც ადგილობრივ საკათედრო ტაძარში ფეხი შედგა და იმერეთის ეპისკოპოსმა **გაბრიელ ქიქოძემ** შეაჩერა — **„რუსთხელმწიფევ, შესდექ! ეს ქვეყანა შენი გვირგვინის მანათობელი მარგალიტია და იმაზე უკეთეს მოპყრობას იმსახურებს, ვიდრე ეპყრობითო!“**

ხელმწიფე-იმპერატორი ტაძრიდან კუდამოძუებული, უსიტყვოდ გამოიძურწა, რადგან, სავარაუდოდ, მიხვდა და გააცნობიერა, თუ რა სიბილწე და უბედურება ჰქონდა ჩადენილი რუსეთს საქართველოს მიმართ დღიდან კავკასიაში ფეხის შემოდგმისა!

**თანამედროვე ამერიკელ იმპერიალისტებსა და მათ ადგილობრივ დამქაშებს არც ზნეობა და არც სინდისნამუსი ჰყოფნით, მიხვდნენ იმას, რასაც მაშინ იმპერატორი ალექსანდრე მესამე მიხვდა.**

ჩვენი ქვეყნისთვის ცალკე უბედურება და ტრაგედიაა ისიც, რომ დღეს საქართველოს ეკლესიას ეპისკოპოსი იმერეთისა **გაბრიელ ქიქოძე** არ ჰყავს და მისი ადგილი უჭირავთ **ეკლესიაში თავშეფარებულ კომფორმისტებს, არქიბანდიტებსა და პაატა ცაავებს,** რომლებმაც 2012 წელს **კოჩიშ მახოდალ ახალაიებსა და ბახალაიებს** ბერის სამოსი გადააცვეს და სალხინოს მამათა მონასტერში გადამალეს.

ხელისუფლება, ალბათ, თავისას იტყვის, მაგრამ ერთი რამ ცხადია — **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონის უკან გაწვევით, ენჯეო-აგენტურამ და მათმა დასავლეთელმა დამქაშებმა, რომლებიც მაიდანს გვიწყობდნენ, თავში მარტო საქართველოს ხელისუფლებას კი არა, საქართველოსაც ჩაარტყეს!**

***დიტო ჩუბინიძე***



შევარდნაძის ჩამოსვლა საქართველოში. 1992 წლის 7 მარტი

# „რუსეთის მიზანი ერთადერთია – საქართველოს ჩათრევა უკრაინის ომში!“

*საინფორმაციო სააგენტო „იქს-ნიუსის“ დამფუძნებელი, ანალიტიკოსი **მირიან ყარაულაშვილი** წინა კვირას თბილისში განვითარებული პროცესების შესახებ სრულიად განსხვავებულ და ალტერნატიულ შეფასებებს ახმოვანებს და აცხადებს, რომ ამერიკული „ფარას“ კანონის მიღებამდე საქართველოში აუცილებლად უნდა მიიღონ კანონი ლუსტრაციის შესახებ, რათა საბჭოთა კავშირის დროინდელი აგენტები, რომლებიც პოლიტიკური პროცესების ავანგარდში დღემდე პოზიციებს ინარჩუნებენ, ბოლოს და ბოლოს, გაიშიფრონ და გამოაშკარავდნენ:*



**„როგორც კი საქართველო რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის ომში ჩაერთვება, პუტინის ტანკები თბილისში შემოვლენ!“**

## მირიან ყარაულაშვილი:

## ვურჩევ ხელისუფლებას, უახლოეს მომავალში დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რათა ბოლომდე გაანადგუროს ნაცმოძრაობა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური სპექტრი!

— წინა კვირას თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის მცდელობა კიდევ ერთხელ ჩაიშალა!

**— ბატონო მირიან, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს საფრთხე საბოლოოდ განეიტრალდა?**

— მწვავე ფაზა აშკარად გადალახულია. აწი ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ მოიქცევა საქართველოს ხელისუფლება და დაუშვებს თუ არა ისეთ მძიმე შეცდომებს, რომლებიც სიტუაციას გაამწვავებს. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რატომ მოხდა ამ კანონის ინიცირება მაინცდამაინც მაშინ, როცა ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილი** ბერლინში იმყოფებოდა, სადაც მისი ბრწყინვალე გამოსვლა ფაქტიურად გადაფარა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონპროექტის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა. მთელი მსოფლიო ლაპარაკობდა მხოლოდ იმაზე, რომ საქართველოში ქვეყანა იქცეოდა... ისიც საინტერესოა, რატომ არ მოხდა მოსახლეობისთვის წინასწარ იმის სათანადოდ ახსნა, თუ რას ნიშნავდა და ემსახურებოდა ამ კანონის ინიცირება. **ვინმეს რაიმე შეკითხვა რომ არ გაუჩნდეს, ახლავე მოგახსენებთ, რომ ამერიკული „ფარას“ ანალოგიური კანონის მიღება საქართველოში აუცილებელია!** ამ პოზიციაზე ვიდექი ოცდახუთი წლის წინაც და ახლაც, მაგრამ აქვე დავამატებ, რომ ამერიკული „ფარას“ კანონის მიღებამდე საქართველოში აუცილებლად უნდა მიიღონ კანონი ლუსტრაციის შესახებ, რომელიც ბალტიის ქვეყნებმა, პოლონეთმა, უნგრეთმა, ჩეხეთმა და თითქმის ყველა სოციალისტურმა ქვეყანამ კარგა ხნის წინათ მიიღო.

**— მაინც ვინ ამხობდა საქართველოს ხელისუფლებას?**

— რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ეს იყო სუფთა რუსული სპეცოპერაცია, რომელიც შეფუთული გახლდათ დასავლური ლოზუნგებით. **რუსეთი უკრაინის ომში ძალიან ხშირად იყენებს ე.წ. „სხვისი დროშის“ მეთოდს, როცა უკრაინელების სახელითა და სამხედრო ფორმით რუსები რაღაც საშინელებებს სჩადიან.** ამის შესახებ პირდაპირ ლაპარაკობენ და წერენ ცნობილი რუსი ბლოგერები — ყბადაღებული **ფლეიგინი, გორდონი, ლატინინა** და სხვები.

**— თუ რუსეთმა საქართველოს ხელისუფლების დასამხობად წინა კვირას რუსთაველზე სპეცოპერაცია დაგეგმა, ეს ყველაფერი საბოლოოდ რა მიზანს ემსახურებოდა?**

— რუსეთის მიზანი ერთადერთია — საქართველოს ჩათრევა უკრაინის ომში!

**— რატომ?**

— როგორც კი საქართველო რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის ომში ჩაერთვება, თბილისიდან 20 თუ 25 კილომეტრში მდგარი რუსეთის საოკუპაციო ძალების გააქტიურება მაშინვე მოხდება და პუტინის ტანკები თბილისში შემოვლენ! ამდენად, **საქართველოს უკრაინის ომში ჩათრევა ისე არავის უნდა, როგორც რუსეთს!**

**— ნაცები რომ რუსეთის აგენტები არიან, ეს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც გაცხადდა, მაგრამ ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური და კელი დეგნანი, რომელმაც თავისი განცხადებით აშკარად გადატრიალებისკენ წააქეზა ხალხი — საქართველოში დემოკრატიას შავი დღე დაუდგაო! — რუსეთის აგენტები არიან?**

— ლომჯარია, გიგაური და ამერიკის ელჩი კელი დეგნანი ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ! **ვიდასტურებთ, რომ ადგილობრივი ენჯეო-ლიდერები, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, ან რუსეთის, ანდა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებთან არიან დაკავშირებული, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც რუსეთის ინტერესებს ემსახურებიან!** რაც შეეხება **კელი დეგნანის** განცხადებებს, მას ხელისუფლების დამხობისკენ არავითარი მოწოდება არ გაუკეთებია და მხოლოდ ის განაცხადა, რომ ქართულ დემოკრატიას შავი დღე გაუთენდა! ეს განცხადებაც გაკეთდა იმიტომ, რომ არ მოხდა კანონპროექტის სწორად ინიცირება და სწორი ტექსტის შერჩევა. სიტყვა **„აგენტი“** ნამდვილად არის ამერიკულ ტექსტში ნახსენები, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ინგლისურ და ქართულ ენებს შორის უდიდესი სხვაობაა და ერთი და იგივე სიტყვა ინგლისურსა და ქართულში ხშირად სხვადასხვა დატვირთვის მომცველია. მაგალითად, იგივე **„აგენტი“** ინგლისურში სულ სხვა რაღაცას აღნიშნავს, ვიდრე ქართულში... მეორე — ამერიკული ინგლისურიც საკმაოდ განსხვავდება ბრიტანული ინგლისურისგან! მესამე — **„აგენტზე“** პედალირება თავიდანვე წამგებიანი იყო ხელისუფლებისთვის, რადგან საქართველოში ამ სიტყვას ოცდაათ წელზე მეტი ხანია, რაც ძალიან ნეგატიური შლეიფი მოჰყვება. **„აგენტების კანონის“** წამდაუწუმ ხსენებამ, რომელიც ნეიტრალურმა მედიამაც აიტაცა, შექმნა ძალიან რთული და ნეგატიური ფონი, რაც რუსეთის სპეცსამსახურებს მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვიმეორებ:

**რაც 2023 წლის 7 და 8 მარტს თბილისში ხდებოდა, ეს იყო რუსეთის მიერ დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა სწორედ იმ გავლენის აგენტების მონაწილეობით, რომელთა წინააღმდეგაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონი უნდა მიეღოთ!**

**— თუ ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური და სხვა ენჯეო-ლიდერები რუსეთის აგენტები არიან, მაშინ რატომ დააჯილდოვეს ლომჯარია საფრანგეთის ლეგიონის ორდენით და სახელმწიფო დეპარტამენტის ჯილდოთი? საფრანგეთისა და ამერიკის სპეცსამსახურებმა არ იციან, ლომჯარია ვისი აგენტია?**

— ამიტომ ვამბობ, რომ ლუსტრაციის კანონი სასწრაფოდ მისაღებია და მეორე — საფრანგეთის პრეზიდენტსა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს არანაირი ვალდებულება არა აქვთ, გამოარკვიონ, ლომჯარია რუსეთზე მუშაობს თუ სხვა სახელმწიფოზე!

**— მაგრამ საფრანგეთისა და ამერიკის სპეცსამსახურებს ხომ აქვთ ეს ვალდებულება და ხომ უნდა იცოდნენ, ვის აგენტს აჯილდოებენ?**

— საფრანგეთისა და ამერიკის სპეცსამსახურები თავიანთი ქვეყნების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ, საქართველოს უსაფრთხოება კი უნდა დაიცვან ჩვენმა სპეცსამსახურებმა!

**— თუ ქართული ენჯეო-ლიდერები მართლაც კრემლს ემსახურებიან და ამ დროს ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, იმავე ამერიკამ არ უნდა მოგვაწოდოს ინფორმაცია, რომ, მაგალითად, ლომჯარია და გიგაური რუსეთის აგენტები არიან, რათა რუსეთის დახმარებით გადატრიალება არ მოგვიწყონ?**

— მე და თქვენ არ ვიცით, ამერიკის სპეცსამსახურებმა ქართულ სპეცსამსახურებს ამის შესახებ უთხრეს თუ არა! თუ უფრო კონკრეტულად გავყვებით ამ ყველაფერს, ჩემი აზრით, სასწრაფოდ და დეტალურად არის გამოსარკვევი, ვინ იდგა ამ კანონის უკან და, კონკრეტულად, ვის მიერ მოხდა ამ კანონის ინიცირება! **საზოგადოებამ უნდა იცოდეს იმ კაცის სახელი და გვარი, ვინც ეს კანონპროექტი შემოაგდო და ისიც ძალიან საინტერესოა, ზუსტად რომელ დღეს და რა სიტუაციაში მოხდა ამ ყველაფერზე ფოკუსირება!**

**— ძალიან გააქტიურდა ვანო მერაბიშვილი... ვანოც რუსეთია?**

— გაგახსენებთ ამ ორი თვის წინათ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ ერთ განცხადებას, სადაც მან თქვა — ვინც მე კიევიდან გამომგზავნა, ისინი რუსეთის სპეცსამსახურებთან მუშაობენო! არადა, კიევიდან სააკაშვილი გამოგზავნა ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელმა **გია ლორთქიფანიძემ,** ანუ თავად მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ ვანო მერაბიშვილი რუსული „გრუ“-ს მიერ იყო დაჯავშნილი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ახალციხეში რუსის ჯარი იდგა და ვანო პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებდა! იგივე ეხება **ამირან მესხელსაც,** რომელიც ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელი გახლდათ!

**— არსებობს თუ არა სააკაშვილის ციხიდან გამოხსნის პერსპექტივა?**

— დარწმუნებული ვარ, საქართველოს მთავრობა და, განსაკუთრებით, პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი ძალიან სწორ ნაბიჯებს გადადგამენ ე.წ. ნარჩენი პროცესების სწორ რელსებზე გადასაყვანად. სააკაშვილი დამნაშავეა და მის წინააღმდეგ კიდევ მიმდინარეობს რამდენიმე პროცესი, რომელზეც განაჩენი ჯერ არ დამდგარა. აქედან გამომდინარე, სააკაშვილის გათავისუფლება ყოვლად წარმოუდგენელია!

**— ვადამდელ არჩევნებს გამორიცხავთ?**

— ვურჩევ ხელისუფლებას, უახლოეს მომავალში დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რათა ბოლომდე გაანადგუროს ნაცმოძრაობა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური სპექტრი!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „ვანო მერაბიშვილი რუსული „გრუ“-ს მიერ იყო დაჯავშნილი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ახალციხეში რუსის ჯარი იდგა და ვანო პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებდა. იგივე ეხება ამირან მესხელსაც!“






## ედიშერ გვენეტაძე:

# რომ არა ხელისუფლების გონიერება და კანონის უკან გაწვევა, ნეოტროცკისტ-სოროსელები რუსთაველის პროსპექტზე რამდენიმე ახალგაზრდის მკვლელობას გეგმავდნენ!



*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* **ედიშერ გვენეტაძე** *წინა კვირას რუსთაველის პროსპექტზე განვითარებულ საშიშ და ქვეყნისთვის დამღუპველ პროცესებს მიმოიხილავს და აცხადებს, რომ საქართველოში სიტუაციის არევის საფრთხე განეიტრალებული ჯერ კიდევ არ არის, რადგან ნეოტროცკისტებსა და სოროსელებს ხელისუფლების დამხობის დავალება მიღებული აქვთ:*

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ვანდალები, რომლებმაც რუსთაველის პროსპექტზე საშინელებები ჩაიდინეს — ქაშუეთის ეკლესია წაბილწეს და ღმერთი შეურაცხყვეს, იმ ტროცკისტების პირდაპირი შთამომავლები არიან, რომლებმაც ზუსტად 100 წლის წინათ, 1923 წელს, საქართველოში ეკლესიების ნგრევა, ხატების შეურაცხყოფა და მღვდლების გაკრეჭა-დახვრეტა დაიწყეს! შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ნეოტროცკისტებმა და სოროსელებმა ლევ ტროცკის მიერ ქართული ეკლესიების აოხრების ასი წლის იუბილე რუსთაველზე ჩადენილი საშინელებებით აღნიშნეს!

**— მსოფლიო ლიბერასტული მედია და, მათ შორის, ამერიკის საელჩოს მიერ კონტროლირებადი ენჯეო-აგენტურა ამ ყველაფერს აშუქებს ისე, თითქოს ქართველმა ხალხმა მთელ მსოფლიოს თავისი საუკეთესო თვისებები უჩვენა და პუტინის გავლენისგან ქვეყანა დაიცვა!**

— სხვათაშორის, ასი წლის წინათ მაშინდელი ტროცკისტული და ბოლშევიკური პრესა ქართველი გადაგვარებულებისა და უღმერთოების მიერ ეკლესიების ნგრევასა და ქრისტიანულ სიწმინდეებზე მიტანილ იერიშს ზუსტად ისე ამართლებდა, როგორც თანამედროვე ნეოტროცკისტი და სოროსისტი ვანდალების მიერ დატრიალებულ უბედურებას უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ კონტროლირებადი ე.წ. „თავისუფალი მედია“ ამართლებს! **ეტყობა, იმ ევროპაში შესასვლელ „უსტავ“-ში, რუსთაველი გადაწვით და გადაბუგეთო, ასე წერია!** ჰოდა, გვრეკეთ თავში, ქალბატონო და ბატონო ელჩებო და დიპლომატებო! გვრეკეთ უფრო ღრმად და საფუძვლიანად! სულ ასე „დემოკრატიულად“ დაგვარწმუნეთ, რომ ქალი კაცია და კაცი — ქალი! მოლოტოვის კოქტეილი — საბავშვო მაშხალა! დიდი რიყის თეთრი ქვა — მომცრო ბამბის ქულაჯა! რუსთაველის თეატრზე მიხატული ფალოსი — თავისუფლების სიმბოლო! ხოლო ეკლესიის ეზოში მასობრივი მოშარდვა — ბალახებისა და ყვავილების მორწყვა! **ამიტომაც ჩვენთვის ნუ დაინანებთ თავში მაგრად რეკვას! ჩვენ ხომ დემოკრატიაში ჩამორჩენილ-არასრულყოფილნი ვართ!**

**— გარდა იმისა, რომ ეკლესიის კედელზე რაღაცები მიაჯღაბნეს, იქ შარდავდნენ კიდეც?**

— დიახ, ვანდალები, ნეოტროცკისტები და სოროსელები არა მარტო ღმერთს შეურაცხყოფდნენ და ეკლესიის კედლებზე აჯღაბნიდნენ, არამედ დადასტურდა ქაშუეთის ეკლესიის ეზოში მასობრივად მოშარდვის ფაქტებიც! უახლოეს მომავალში ველოდები, რომ ქართველი ვანდალები და ნეოტროცკისტ-სოროსისტები მამულზე, ენაზე და სარწმუნოებაზე გენერალურ შეტევას წამოიწყებენ! ცოტა აკლიათ და მღვდლების გაკრეჭასაც შეუდგებიან... დაწყებულია შეტევა პროფესორ-მასწავლებლებზეც. სოციალურ ქსელებში გვერდებიც კი აქვთ შექმნილი, სადაც ე.წ. სტუდენტები „ქოცი ლექტორების“ უნივერსიტეტებიდან გაძევებას ითხოვენ და წერენ — „გაა...ან ***(ცენზურა ჩვენია. რედ.)*** უნივერსიტეტიდანო!“

**— როგორც მითხრეს, 8 მარტის ღამეს ახალგორისა და ცხინვალის ბაზებიდან რუსები ტანკების დაძვრასა და თბილისში შემოსვლას აპირებდნენ!**

— ცხადია... რუსეთი ჩასაფრებულია და შექმნილ ვითარებას ნებისმიერ სიტუაციაში სათავისოდ გამოიყენებს! ერთი რამ უნდა ითქვას —

**ამ ვანდალებსა და ნეოტროცკისტებს, რომლებმაც ღმერთის სახელი შეურაცხყვეს და ქაშუეთის წმინდა ტაძარი წაბილწეს, საქმე იქამდე მიჰყავთ, რომ რუსის ჯარი თბილისში რომ შემოვიდეს, ხელის ამწევი და გამტოკებელი არავინ იქნება!**

დიახ, ამერიკის ხელისუფლებამ და მისმა საელჩომ ქართველობა ისე გაამწარეს, რუსის ჯარი თბილისში რომ შემოვიდეს, ხალხი რუს ჯარისკაცებზე კი არა, ამერიკული გრანტებით მოსყიდულ აგენტებზე დაიწყებს ნადირობას!

**— ამბობენ, რომ ხელისუფლებაში მოსალოდნელია „დიდი წმენდა“!..**

— ჩემი ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ იმ ოთხი დეპუტატიდან, რომლებმაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონს მხარი არ დაუჭირეს, **ვლადიმერ ჩაჩიბაია და დავით სერგეენკო** პარლამენტის დატოვებას აპირებენ! მოგეხსენებათ, **ქეთი დუმბაძემ და ირაკლი მეძმარიაშვილმა** განაცხადეს, რომ მათ კანონპროექტს სინამდვილეში ხმა მისცეს, მაგრამ აპარატურამ „გაჭედა“... როგორც ვიცი, პარლამენტიდან ასევე მიდის „კუპონაც“ — **რომანა გოცირიძე!** „ქართულ ოცნებასა“ და, ზოგადად, ხელისუფლებაში მოსალოდნელია „დიდი წმენდა“, რაც ყველა სფეროსა და მიმართულებას შეეხება. პირდაპირ ვაცხადებ — თუ ეს მოხდება, მივესალმები!

**— კანადის ხელისუფლება ამერიკული „ფარას“ მსგავსი კანონის მიღებას აპირებს, სადაც სწორედ უცხოური გავლენის გამჭვირვალობაზეა ლაპარაკი!**

— საერთოდ, გლობალურ ძალებს საქართველო მიაჩნიათ ისეთ ქვეყნად, სადაც ნებისმიერი ბინძური ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება. **იქიდან გამომდინარე, რომ ე.წ. „აგენტების კანონის“ მიღებას კანადაც აპირებს, მოვუწოდებ ლომჯარიას, კელი დეგნანს, ჭიჭიკო ვაშაძეს, ხაბეიშვილსა და მთელ ამ შარლატანებს, ჩავიდნენ კანადაში და დაიწყონ საპროტესტო მოძრაობა — „არა — რუსულ კანონს!“**

ფაქტია, რომ ამერიკის საელჩო საქართველოში აწყობდა გადატრიალებას და მისი შუამავალი იყო ვანო მერაბიშვილი, რომელიც თავის დროზე „ორ გვამს“ ითხოვდა... **რომ არა ხელისუფლების გონიერება და კანონის უკან გაწვევა, ნეოტროცკისტ-სოროსელები რუსთაველის პროსპექტზე რამდენიმე ახალგაზრდის მკვლელობას გეგმავდნენ, რომელიც ხელისუფლებას უნდა დაბრალებოდა** და შემდეგ პარლამენტსა და მთავრობის სასახლეზე შტურმი უნდა დაეწყოთ! მთავრობის თავმჯდომარედ, სავარაუდოდ, დანიშნავდნენ **ნინო ლომჯარიას,** ხოლო **ხაბეიშვილი** გახდებოდა პარლამენტის თავმჯდომარე. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვანდალები აქციაზე რამდენიმე ახალგაზრდის მკვლელობას გეგმავდნენ, არსებობდა და საფრთხე რეალური იყო... აქედან გამომდინარე, ხელისუფლება მოიქცა გონივრულად და ქვეყანას უბედურება თავიდან ააცილა!

**— თბილისში უკრაინული მაიდნის მოწყობისა და ხელისუფლების დამხობის საფრთხე მოხსნილია თუ არა?**

— საქართველოში სიტუაციის არევას ყოველ წუთსა და წამს უნდა ველოდოთ, რადგან ნეოტროცკისტებსა და სოროსელებს დავალება მიღებული აქვთ. სხვათაშორის, ტროცკიმ 1917 წლის რევოლუცია რუსეთში სწორედ თებერვალ-მარტში მოახდინა, რაც რევოლუციების მოსაწყობად შესაფერისი დროა, რაც თანამედროვე ნეოტროცკისტებმა და სოროსელებმა ძალიან კარგად იციან. გაიხსენეთ, როგორ ააგორეს 2014 წლის თებერვალში უკრაინაში მაიდანი, რასაც მოჰყვა ყირიმისა და მთელი აღმოსავლეთ უკრაინის დაკარგვა და ქვეყნის გაუბედურება. თვით „სი-ენ-ენ“-იც აღიარებს, რომ უკრაინაში უკვე 270 ათასი კაცია დაღუპული...სწორედ უკრაინის ომისკენ გვერეკებიან, აი, აქეთკენ უნდათ საქართველოს წაყვანა და მთელი ქვეყანა ფეხზე უნდა დადგეს, რათა უბედურება თავიდან ავიცილოთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„ვანდალები, ნეოტროცკისტები და სოროსელები არა მარტო ღმერთს შეურაცხყოფდნენ და ეკლესიის კედლებზე აჯღაბნიდნენ, არამედ დადასტურდა ქაშუეთის ეკლესიის ეზოში მასობრივად მოშარდვის ფაქტებიც!“**

**„ამერიკის ხელისუფლებამ და მისმა საელჩომ ქართველობა ისე გაამწარეს, რუსის ჯარი თბილისში რომ შემოვიდეს, ხალხი ამერიკული გრანტებით მოსყიდულ აგენტებზე დაიწყებს ნადირობას!“**







ვლადიმერ ჩაჩიბაია, დავით სერგეენკო, რომან გოცირიძე

**„ჩემი ინფორმაციით, ვლადიმერ ჩაჩიბაია და დავით სერგეენკო პარლამენტის დატოვებას აპირებენ! როგორც ვიცი, პარლამენტიდან ასევე მიდის „კუპონაც“ – რომანა გოცირიძე!“**



## იგორ კვესელავა:

# აი, ამიტომ გახდა შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას დაუძინებელი მტერი!



*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2023 წლის №11*

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გარემოებებზე უაღრესად საინტერესო საუბარს აგრძელებს და იმ სამზადისის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც 80-იანი წლების მიწურულს კრემლიდან საქართველოში გადმოსაბარგებლად მომზადებულ შევარდნაძეს ჰქონდა:***

— თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი საგაზეთო საუბრის თვითმიზანს არ წარმოადგენს ვინმეს მხილება... ჩვენი მთავარი დანიშნულებაა იმ დამანგრეველი პროცესების გამოაშკარავება, რომელმაც საქართველო დაღუპა და რომლის განმეორების შანსი, საუბედუროდ, ახლაც ძალიან დიდია. **ზვიად გამსახურდიას მკვლელობა იმაზე უფრო ადრე იყო დაგეგმილი, ვიდრე ის პრეზიდენტი გახდებოდა.** აი, მაგალითად, 1990 წლის 29 ოქტომბერს, პირველი მრავალპარტიული არჩევნების მეორე დღეს, როცა გამსახურდია ხმათა უმრავლესობით ხელისუფლებაში მოვიდა, ზვიადმა გადაწყვიტა, მთავრობის სასახლის წინ სამადლობელი მიტინგი გაემართა და ხალხს მისალმებოდა. მიტინგზე ზვიადმა ილაპარაკა ეროვნულ თანხმობასა და ძმობაზე... მოულოდნელად ხალხში ჩოჩქოლი ატყდა და გასროლის ხმაც გაისმა. დაცვამ ზვიადი იქაურობას გაარიდა... ხალხი მიტინგზე შემოპარულ ბანდიტებს დაესია და თავდამსხმელს, რომელიც მხედრიონელი აღმოჩნდა, იარაღი წაართვეს.

**— საინტერესოა, რამდენად ობიექტური იქნება ჩვენი საუბარი, რადგან, მოგეხსენებათ, არსებობს „სხვა სიმართლეც“, რომელიც შევარდნაძესა და მის ბანაკს გააჩნდათ და გააჩნიათ!**

— სიმართლე ერთია! რაც შეეხება ობიექტურობას, დიდი ფრანგი მოაზროვნე **პიერ ბუასტი** ამბობს — თუ გინდა, დაწერო ჭეშმარიტი ისტორია, დაივიწყე შენი რწმენა, წარმომავლობა და ის პარტია, რომელსაც ეკუთვნი! რწმენასა და წარმომავლობას ვერ დავივიწყებთ, ეს შეუძლებელია, მაგრამ შევეცდებით, ზვიად გამსახურდიას ცხოვრებისა და მკვლელობის შესახებ ობიექტური ჭეშმარიტება დავადგინოთ!

შევთანხმდეთ, რომ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური და ფიზიკური მკვლელობის საქმეში ედუარდ შევარდნაძეს ბევრი მოკავშირე ჰყავდა, მათ შორის, პარტიებიც... მაგალითად, **„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, „სახალხო ფრონტი“** და ა.შ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თითოეული ეს ორგანიზაცია შექმნილი იყო შევარდნაძისა და მისი თანაგუნდელების მიერ! საერთოდ, შევარდნაძე წიგნიერი კაცი არ იყო, მაგრამ პოლიტიკური ალღო და ინტრიგების ხლართვის უნარი არ აკლდა... **შევარდნაძემ იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი უნდა დაშლილიყო. სხვათაშორის, ეს მეც ვიცოდი...** *(იცინის).*

**— თქვენ საიდანღა იცოდით?**

— 1981 ან 1982 წელს, როცა **იური ანდროპოვი** საბჭოთა კავშირის უშიშროების ხელმძღვანელი იყო, მოსკოვში, ერთ-ერთ ოჯახში, შევხვდი საბჭოთა „კაგებეს“ ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ჩვენს თანამემამულეს, უნიკალურ და უგანათლებულეს პიროვნებას **გიორგი ფიფიას,** რომელიც ანდროპოვის უახლოესი მეგობარი გახლდათ. გიორგი ფიფია იყო გენერალი, პროფესორი და შესანიშნავი მკვლევარი — წარმოშობით აფხაზეთიდან. იმ ოჯახში ფიფიას მეგრულად რომ გამოველაპარაკე და ერთი მეცნიერი — **იური კაჭარავა** დავუსახელე, რომელსაც ის კარგად იცნობდა, ეტყობა, ამან მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, გამენდო და პირისპირ საუბრისას, რომელსაც სხვა არავინ ესწრებოდა, სრულიად საიდუმლოდ სასწაული რამ მითხრა — **2005 წელს საბჭოთა კავშირი დაიშლება და ამის შესახებ იური ანდროპოვმა იცის!** სხვათაშორის, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევაში **ანდროპოვმა, გრომიკომ და პრიმაკოვმა** დიდი როლი ითამაშეს...

მოკლედ, საბჭოთა უშიშროებაში ქვეყნის მომავლის შესახებ, ასე თუ ისე, ზუსტი პროგნოზი ჰქონდათ. **ეს კარგად იცოდა შევარდნაძემაც, გორბაჩოვმაც და იაკოვლევმაც, რომლებიც სხვადასხვა დროს ამერიკელებმა გადაიბირეს და თავიანთ სამსახურში ჩააყენეს.** შევარდნაძის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა არ იყო გორბაჩოვის იდეა, ეს იდეა მას მიაწოდა პრეზიდენტმა რეიგანმა, რომელმაც იცოდა, რომ ედუარდი 1974 წლიდან ამერიკული „ცერეუს“ მიერ იყო „დავერბოვკებული“. რადგან შევარდნაძემაც იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი აუცილებლად დაიშლებოდა, ამიტომ მისი ინსტრუქციებით ცეკამ დაიწყო ორგანიზაციებისა და პარტიების შექმნა, რათა საქართველოში დასაყრდენი ჰქონოდა...

## „გორბაჩოვი და მერაბ მამარდაშვილი მოსკოვის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ...“







მიხეილ გორბაჩოვი, მერაბ მამარდაშვილი, გურამ მგელაძე

**— შევარდნაძე გადადგომას და თბილისში ჩამოსვლას გეგმავდა?**

— არა, თავიდან ამას არანაირად არ გეგმავდა, მაგრამ 1987 წლის ბოლოს მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც შევარდნაძესა და გორბაჩოვს შორის ურთიერთობა გააფუჭა. კერძოდ, პოლიტბიუროდან გამოვიდა დახურული დოკუმენტი, რომლის შესახებაც იცოდნენ მხოლოდ **გორბაჩოვმა და შევარდნაძემ.** ერთ-ერთ შეხვედრაზე, სრულიად მოულოდნელად, გორბაჩოვს ამერიკელებმა უთხრეს სწორედ ის, რაც იმ დოკუმენტში ეწერა. გორბაჩოვი სახტად დარჩა და იკითხა — ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია? ამერიკელებს არც დაუმალავთ და უთხრეს — შევარდნაძემ! აი, ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ გორბაჩოვსა და შევარდნაძეს შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაწყვეტილიყო. მათ შორის ვითარება ისე დაიძაბა, **გორბაჩოვი** შევარდნაძის გაშვებას გეგმავდა, რაც შევარდნაძეს არ გამოჰპარვია. ამიტომ მან დაიწყო აქტიური მუშაობა საქართველოში პლაცდარმის შესაქმნელად...

## „მერაბ მამარდაშვილი უნდა გამხდარიყო შევარდნაძის პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო გურამ მგელაძე – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე!“

**— გორბაჩოვი რომ შევარდნაძის გაშვებას გეგმავდა, ეს ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა დაზუსტებით მითხრა!**

— მოკლედ, 1987 წლიდან სწორედ შევარდნაძის ფარული ინიციატივით და **ვახტანგ გოგუაძის** თაოსნობით, უნივერსიტეტში შეიქმნა **„პრესკლუბი“,** რომელშიც გაწევრიანდნენ: **თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე, დათო ტურაშვილი, ნიკო ნიკოლოზიშვილი და სხვები. ვახტანგ გოგუაძე** მაშინ უნივერსიტეტის პრორექტორი იყო, ხოლო **რისმაგ გორდეზიანი** — პარტკომი, რომელსაც 3 ათასამდე კომუნისტი ემორჩილებოდა და, ფაქტობრივად, რაიკომის მდივნის სტატუსს ფლობდა. 1990-1991 წლებში „პრესკლუბის“ წევრი ახალგაზრდების ნაწილი და სხვებიც, მათ შორის, **ზურაბ ჟვანია, გივი თარგამა-**



### „ამ საქმეში თავიდან ბოლომდე გარეული იყვნენ ლეონარდო დევდარიანი და ავთანდილ მარგიანი!“



ლეონარდო დევდარიანი, ავთანდილ მარგიანი





# „მოსკოვში მყოფი შევარდნაძის ინსტრუქციით, ცეკამ შექმნა „რუსთაველის საზოგადოებაც“, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა აკაკი ბაქრაძე!“

აკაკი ბაქრაძე

**ძე, ფიქრია ჩიხრაძე, გიორგი მაისურაძე, გოჩა გაბაშვილი** შევარდნაძის ფულით ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ რევოლუციის მოსაწყობად და ტრენინგების გასავლელად ევროპაში გაგზავნეს. პარალელურად, მოსკოვში მყოფი შევარდნაძის ინსტრუქციით, **ცეკამ შექმნა „რუსთაველის საზოგადოებაც“, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა აკაკი ბაქრაძე.** აკაკი ბაქრაძე ამ პოსტზე პირადად **ნუგზარ ფოფხაძემ** დანიშნა და ეს საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია.

**— რის საფუძველზე ამტკიცებთ, რომ გიორგი ჭანტურიას „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც“ შევარდნაძის შექმნილია?**

— ედპ-ის შექმნაში შევარდნაძის კვალს ადასტურებს ის გაცხადებული კავშირები, რომელიც **გია ჭანტურიასა** და **შევარდნაძეს** შორის ზვიად გამსახურდიას დამხობამდეც და დამხობის შემდეგაც გამოვლინდა! შევარდნაძის გეგმით, „რუსთაველის საზოგადოებაში“ უნდა გაწევრიანებულიყო მისი მომხრე ინტელიგენცია, ხოლო „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში“, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასა“ და „სახალხო ფრონტში“ — დანარჩენი საზოგადოება, ანუ პლებსი...

**— „სახალხო ფრონტიც“ შევარდნაძემ შექმნა?**

— დიახ, „სახალხო ფრონტიც“ ცეკასა და შევარდნაძის პროექტი იყო, მაგრამ მოგვიანებით ის ორად გაიყო და „რადიკალური კავშირი“ ცალკე გავიდა... რაც შეეხება **„ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“,** ცნობილი ფაქტია, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **გურამ მამულიამ,** რომელიც მერე ეროვნული მოძრაობიდან გარიცხეს, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ ზვიად გამსახურდია არ მიიღო! ზვიადი იყო ილია ჭავჭავაძის იდეური მომხრე და მას საერთოდ არ სურდა სხვა ორგანიზაციის შექმნა, მაგრამ მამულიამ არ გაიკარა. **გურამ მამულია ცოტა მოგვიანებით შევარდნაძესთან ჩავიდა მოსკოვში და მის სამსახურში ჩადგა... 1993 წელს სწორედ გურამ მამულიამ ჩამოიტანა მოსკოვიდან ფული, რომელიც ედუარდ ბალტინს ზვიადის დამხობისთვის გადაუხადეს.** ამ საქმეში თავიდან ბოლომდე გარეული იყვნენ **ლეონარდო დევდარიანი და ავთანდილ მარგიანი,** ხოლო, რაც შეეხება **ნონა გაფრინდაშვილს,** მას დაუმალეს, არაფერი უთხრეს და მოტყუებით ჩასვეს იმ მანქანაში, რომლითაც ეს ფული სამეგრელოში შეიტანეს და მერე **ედუარდ ბალტინს** გადასცეს! მოგეხსენებათ, მაშინ ყველგან პიკეტები იყო, ხალხს უმოწყალოდ ძარცვავდნენ და არსებობდა დიდი საფრთხე, რომ, თუ მანქანას გაჩხრეკდნენ, ფულს იპოვიდნენ და გაიტაცებდნენ. ამიტომ მანქანაში უნდა ჩაესვათ ისეთი პიროვნება, რომელსაც მანქანის გაჩხრეკას არ აკადრებდნენ... ასეთ პიროვნებად შერჩეული იქნა **ნონა გაფრინდაშვილი,** რომელსაც საქართველოში უდიდესი ავტორიტეტი აქვს.

**— ბალტინისთვის გადასაცემი ფული მოსკოვიდან ჩამოვიდა?**

— დიახ, ეს ფული რუსეთიდან ჩამოიტანა პროფესორმა **გურამ მამულიამ,** რომელიც მთელი თავისი ცხოვრება პორტფელით დადიოდა... რით ჩამოიტანა ეს თანხა მამულიამ, არ ვიცი, მაგრამ დანამდვილებით მან ჩამოიტანა! სხვათაშორის, საარქივო დოკუმენტი მაქვს ნანახი, სადაც გურამ მამულიას მამა — **სამსონ მამულია,** რომელიც გვარდიელი ბოლშევიკი და სენაკის მაზრის პარტკომი იყო, ხელისუფლებას სწერს — **ჩემ ფეხსაცმელს, რომელიც გაცვდა, საკერებელი ერთხელ დავაკერე, მეორეჯერაც დავაკერე, მაგრამ ახლა მეტად ველარ ვაკერებ და თუ შეიძლება, ახალი ფეხსაცმელი გამომიყავითო!**

**— თუ „ედპ“-ისა და „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ უკან შევარდნაძე იდგა, მაშინ რა გამოდის, 1988 წლის ე.წ. ნოემბრის აქციებიც შევარდნაძის ინსტრუქციებით დაიწყო?**

**– შევარდნაძეს დაგეგმილი ჰქონდა, 1989 წლის 9 აპრილი 1988 წლის ნოემბერში მოეწყო, რათა კომპარტიისა და ჯუმბერ პატიაშვილის დისკრედიტაცია მოეხდინა!**

**— რატომ?**



ვახტანგ გოგუაძე





თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე





დათო ტურაშვილი, ნიკო ნიკოლოზიშვილი

**„1987 წლიდან სწორედ შევარდნაძის ფარული ინიციატივით და ვახტანგ გოგუაძის თაოსნობით, უნივერსიტეტში შეიქმნა „პრესკლუბი“, რომელშიც გაწევრიანდნენ: თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე, დათო ტურაშვილი, ნიკო ნიკოლოზიშვილი და სხვები!“**



**„ედპ-ის შექმნაში შევარდნაძის კვალს ადასტურებს ის გაცხადებული კავშირები, რომელიც გია ჭანტურიასა და შევარდნაძეს შორის ზვიად გამსახურდიას დამხობამდეც და დამხობის შემდეგაც გამოვლინდა!“**

გია ჭანტურია

— იმიტომ, რომ მოსკოვში მას აღარ დაედგომებოდა, რადგან გორბაჩოვთან დაეძაბა ურთიერთობა და თბილისში უნდოდა ჩამოსვლა. ამისათვის საქართველოში პოლიტიკური მოედანი უნდა მოსუფთავებულიყო და მომხდარიყო ისეთი რამ, რის შედეგადაც კომპარტია და ჯუმბერ პატიაშვილი დისკრედიტირებული იქნებოდნენ. ამიტომ იყო, რომ ნოემბრის აქციების ორგანიზატორი გახლდათ **გია ჭანტურია** და არა ზვიად გამსახურდია.

**საერთოდ, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას ჰქონდა სამი მიზანი — კომპარტიის, ჯუმბერ პატიაშვილისა და ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაცია!** 9 აპრილის ტრაგედიამ კომპარტიის დიკრედიტაცია მართლაც მოახდინა და ჯუმბერ პატიაშვილის კარიერაც შეიწირა, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ავტორიტეტი ერთი ათასად გაზარდა, რაც ედუარდ შევარდნაძის გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. სწორედ ამის საპირწონედ შევარდნაძემ შექმნა **„მხედრიონი“...**

**— მოკლედ, შევარდნაძეს საქართველოში ყველაფერი დალაგებული ჰქონდა და მოსკოვიდან გადმობარგებას გეგმავდა, მაგრამ ზვიად გამსახურდიამ ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობით ყველაფერი აურია?**

— დიახ, ასე იყო... პარალელურ რეჟიმში შევარდნაძემ **მერაბ მამარდაშვილს** დავალება მისცა და მან საქართველოში ლექციების ჩატარებას მოუხშირა! მამარდაშვილი გახლდათ „კაგებეს“ ჟურნალის — „ვოპროსი ფილოსოფიის“ ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. ცნობისათვის, მამარდაშვილი ახალგაზრდობიდან დაახლოებული იყო **გორბაჩოვთან** და მის მეუღლესთან **რაისა მაქსიმოვნასთან!**

**— როგორ, რანაირად?**

— რანაირად და, ახალგაზრდობაში, როცა **მამარდაშვილი** სტუდენტი იყო, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში სტუდენტ **რაისა მაქსიმოვნასთან** ერთად ცხოვრობდა რაისას დაქალი — სტუდენტი გოგონა, რომელზეც მერაბ მამარდაშვილი შეყვარებული იყო. უფრო სწორად, მამარდაშვილი იმ გოგოს საქმრო გახლდათ. თავის მხრივ, რაისას ხშირად აკითხავდა მიხეილ გორბაჩოვიც... ამდენად, გორბაჩოვი და მერაბ მამარდაშვილი მოსკოვის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ... ბუნებრივია, შევარდნაძემ ამის შესახებ იცოდა, ამიტომ ყველაფერი გააკეთა და მამარდაშვილი დაიახლოვა. მამარდაშვილმა საქართველოში ლექციების კითხვა დაიწყო. შევარდნაძის რეკომენდაციით, იგი „სახალხო ფრონტის“ წევრი გახდა და პოლიტიკურ პროცესებშიც ჩაება... 9 აპრილის შემდეგ **გივი გუმბარიძის** ცეკას მდივნად დანიშვნა, ეს იყო ერთგვარი დროებითი მთავრობის ფორმირება, რომელიც შევარდნაძის სახელს უკავშირდება. გუმბარიძის მამა და შევარდნაძე ერთმანეთს ლანჩხუთიდან იცნობდნენ... **შევარდნაძის გეგმა ასეთი იყო — როგორც კი გუმბარიძეს ანიშნებდა, მაშინვე უნდა გადამდგარიყო და მისი ადგილი მოსკოვიდან თბილისში ჩამოსულ ედუარდს დაეჭირა. მერაბ მამარდაშვილი უნდა გამხდარიყო შევარდნაძის პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო გურამ მგელაძე — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე!**

**— გივი გუმბარიძეს არაფერი?**

— **გივი გუმბარიძეს** იმედი ჰქონდა, რომ შევარდნაძე პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს მაინც მიუგდებდა, მაგრამ უარი მიიღო და გაგულისებული რუსეთში გადაიხვეწა. ასეთი გეგმები ჰქონდა შევარდნაძეს, რომელიც ზვიად გამსახურდიამ აუჭრა და აურია... აი, ამიტომ გახდა შევარდნაძე ზვიადის დაუძინებელი მტერი!

**— გორბაჩოვი ამ დროს რას აკეთებდა?**

— გორბაჩოვი 9 აპრილის ტრაგედიაში უბრალოა. იგი ამ უბედურებაში შევარდნაძემ გახვია...

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# სახიფათო დაავადებები, იცოდეთ: ინსულტის






## კახა საბახტარიშვილი:

# ყველა ინსულტ-გადატანილმა პრეპარატი „გლიცინი" ჯიბით უნდა ატაროს!

***გაზაფხული წელიწადის განსაკუთრებული და უმშვენიერესი დროა, მაგრამ, ამავდროულად, ძალიან პრობლემატური და სახიფათო. ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი საგანგებოდ გვაფრთხილებს და იმ სიმპტომებზე მიგვანიშნებს, რომელიც გაზაფხულზე გაღვიძებულ არაერთ საშიშ დაავადებას ახლავს:***

— გაზაფხული ადამიანის ორგანიზმისთვის ერთ-ერთი ურთულესი და ძნელად შესაგუებელი პერიოდია. როგორც ბუნება, გაზაფხულზე უამრავი მთვლემარე და მიძინებული დაავადებაც იღვიძებს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ინსულტითა და ინფარქტით ყველაზე მეტი ადამიანი სწორედ გაზაფხულზე, კერძოდ, მარტსა და აპრილში იღუპება. **რაოდენ გასაკვირიც გინდა იყოს, ერთ-ერთი დამკრძალავი ბიუროს ხელმძღვანელი ჩემი პაციენტია და სწორედ მან მითხრა — ყველაზე მეტი შეკვეთა მიცვალებულის მომსახურებაზე სწორედ გაზაფხულზე, მარტსა და აპრილში, გვაქვს და ეს სტატისტიკა უკვე წლებია, არ იცვლებაო!**

**— მაინც რატომ არის გაზაფხული წელიწადის გამორჩეულად საშიში დრო?**

— ეს რამდენიმე ფაქტორით აიხსნება... ყველამ ვიცით, თუ რა დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში ვიტამინები. ისიც ცნობილია, რომ ქიმიური წესით დამზადებულ ვიტამინებსა და იმ ვიტამინებს შორის, რომლებსაც ცოცხალი და ახალი პროდუქტებიდან ვღებულობთ, დიდი სხვაობაა. ზამთარში მიღებული ხილი და მწვანილი ვიტამინებით ღარიბია, რის გამოც გაზაფხულს ადამიანი ვიტამინების ნაკლებობით, ანუ ავიტამინოზით ხვდება. ავიტამინოზი კი მთელ რიგ ორგანოებში სხვადასხვა დარღვევებს იწვევს. ასე, მაგალითად, ორგანიზმში B და C ვიტამინების ნაკლებობა ლორწოვანი გარსის უჯრედების განახლებას ამცირებს. ამის გამო ჰელიკობაქტერია პილორი, რომელსაც კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის განვითარებაში დიდი როლი მიუძღვის, აქტიურდება და ადვილად აზიანებს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის კედლებს. ამის გამო გაზაფხულზე ძალიან იზრდება გასტრიტების, ეროზიებისა და წყლულების რიცხვი. ზამთარში, როგორც წესი, ძირითადად ხორცეულით ვიკვებებით, მაგრამ გაზაფხულზე ხორცეულს ხშირად ენაცვლება უხეში ბოჭკოებით მდიდარი მცენარეული საკვები, რომლებიც ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ხორცეულის მცენარეულით ასე უცბად ჩანაცვლება მაინც საზიანოა, რადგან ორგანიზმი ერთი რეჟიმიდან მეორე რეჟიმზე გადასვლას ვერ ასწრებს. ამიტომ ჩემი რჩევაა — **იმისათვის, რომ გაზაფხულზე კუჭ-ნაწლავის დაავადებები თავიდან ავიცილოთ, ზამთრის შემდეგ ხილი და ბოსტნეული ნელ-ნელა, შეგუების რეჟიმში მივირთვათ, რათა ორგანიზმმა სტრესი არ განიცადოს და ახალ საკვებზე უმტკივნეულოდ გადაეროს.**

**— ნუთუ გაზაფხულზე ასეთი მაღალი სიკვდილიანობა ორგანიზმის მიერ განცდილი სტრესის შედეგია?**

— გაზაფხულზე ადამიანის მოულოდნელი და სწრაფი სიკვდილის გამომწვევი ერთ-ერთი უპირველესი და ყველაზე ხშირი მიზეზი **ინსულტია**, რომელსაც არამდგრადი ამინდით გამოწვეული წნევის მკვეთრი ცვალებადობა იწვევს! ამიტომ **ყველას, ვინც მაღალი წნევისკენ არის მიდრეკილი, ვურჩევ, მარტსა და აპრილში წნევა დღეში სამჯერ მაინც გაიკონტროლოს!** საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ინსულტების 90 პროცენტზე მეტი **იშემიური ინსულტია.** ეს ის შემთხვევაა, როცა ტვინს სისხლი და ჟანგბადი არ მიეწოდება.

### იშემიური ინსულტი უმეტესად 04:00 საათიდან 06:00 საათამდე პერიოდში დგება. ეს ის დროა, როცა თავის ტვინს სისხლი ყველაზე ნელი ნაკადით მიეწოდება...

**— როგორ უნდა გამოვიცნოთ, რომ ინსულტი გვიახლოვდება?**

— ჩინელმა მეცნიერებმა ეს თემა დაწვრილებით შეისწავლეს და ოთხი ძირითადი ნიშანი გამოყვეს. ინსულტს ყოველთვის წინ უსწრებს:

**1.** კისრის გაშეშება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელ-ფეხი ცუდად გვემორჩილება და ქვედა ყბა გულმკერდთან ვერ მიგვაქვს; **2.** ენის დაუმორჩილებლობა, ანუ, როცა ენა იძაბება და ადამიანი მეტყველების ნაცვლად ლუღლუღებს და ბურტყუნებს; **3.** მხედველობის დაბინდვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს რამდენიმე წამის ან წუთის განმავლობაში თვალთ უბნელდება. როგორც წესი, ასეთ დროს თავის ტვინში ან ნათხემში თრომბია; **4**. ღამით ცხვირიდან ხშირი სისხლდენა. ამ დროს თავის ტვინის სისხლძარღვები იხშობა, ცხვირის ღრუს კაპილარებში წნევა მატულობს და კაპილარები სკდება.

არ არის აუცილებელი, ერთდროულად ოთხივე ნიშანი გვქონდეს სახეზე, როგორც კი ერთ-ერთი მათგანი თავს იჩენს, დაუყოვნებლივ მივმართოთ ექიმს. იმ პაციენტებთან ურთიერთობამ, რომლებმაც **ინსულტი გადაიტანეს, ერთი რამ მიჩვენა — უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ინსულტამდე სამი-ოთხი დღით ადრე უჩვეულო თავის ტკივილი ჰქონდათ, რომლის მსგავსიც ადრე არ ჰქონიათ.** ეს ტკივილი იყო ფეთქვითი ხასიათის, თან ახლდა გულისრევა, ღებინება და ხმაურისა თუ შუქის აუტანლობა. რაც მთავარია, ასეთ თავის ტკივილზე ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები თითქმის არ მოქმედებდა.

**— თუ მსგავსი სიმპტომები ადამიანმა შეამჩნია და ახლომახლო ექიმი არ არის, რა უნდა გააკეთოს, რათა მოახლოებული ინსულტი თავიდან აიცილოს?**

— თუ ასეთ ავადმყოფს მაღალი წნევაც აქვს, არავითარ შემთხვევაში არ შეეცადოს წნევის სწრაფად დაწევას. **თუ წნევა სწრაფად დავწიეთ, შესაძლოა, ტვინი სისხლით კიდევ უფრო გაღარიბდეს და ინსულტის დადგომა დაჩქარდეს.**

### იშემიური ინსულტის საფრთხის დროს ენის ქვეშ ნიტროგლიცერინის აბის ამოდება კატეგორიულად დაუშვებელია!

საქმე ის გახლავთ, რომ **გულის ინფარქტისა და სტენოკარდიის დროს ნიტროგლიცერინის აბმა შესაძლოა, უცილობელი სიკვდილისგან გვიხსნას, მაგრამ ინსულტის შემთხვევაში მისი გამოყენება დაუშვებელია!**

ინსულტს თავიდან აგვაცილებს არა **ნიტროგლიცერინი,** არამედ ენის ქვეშ ათი აბი **გლიცინის** ამოდება! **გლიცინი** თავის ტვინში სისხლის მიმოქცევას მკვეთრად აუმჯობესებს და ზუსტად იმ როლს ასრულებს, რასაც **ნიტროგლიცერინი** ინფარქტის წინარე სიტუაციის ან სტენოკარდიული შეტევის დროს. გვახსოვდეს — ვინც ინსულტი ერთხელ მაინც გადაიტანა, დიდი ალბათობით, შეიძლება, გაუმეორდეს! ამიტომ ყველა ინსულტგადატანილმა პრეპარატი **გლიცინი** ჯიბით უნდა ატაროს! გაზაფხულზე ხშირია გულის ინფარქტიც... **სტატისტიკა გვეუბნება, რომ ინფარქტი უფრო ხშირად 06:00 სა-**



**„ყველას, ვინც მაღალი წნევისკენ არის მიდრეკილი, ვურჩევ, მარტსა და აპრილში წნევა დღეში სამჯერ მაინც გაიკონტროლოს!"**

## კვირგვინოსნები

**ბაბი კირკიტაძე**
*მომღერალი*



როცა დავიბადე, **ბედისწერის ნაწილში სამყარომ ჩამიწერა,** რომ სცენაზე უნდა ვმდგარიყავი.

„თბილისელები"

**ნანუკა გულუა**
*ტელეწამყვანი*



მთელი ცხოვრება ჩემი ოცნებაც ეს იყო — **მინდოდა, მყოლოდა მეუღლე,** რომელიც საოცარი მამა იქნებოდა.

„თბილისელები"

**გოგი წულაია**
*პოლიტიკოსი*



**სამოცი წლის** ვხდები, მაგრამ გულით ისევ **ოცი წლის** ბიჭი ვარ. ზოგისთვის ბედნიერება ფულის შოვნაა, ზოგისთვის **ბევრი სექსი** და ნაირ-ნაირი ქალები.

„თბილისელები"

**კაკატა თედიაშვილი**
*მომღერალი*



სულ ფიქრობენ, **ამან კიდევ რა შეიძლება, გააკეთოსო,** მაგრამ მერე სულ ხდება რაღაც ისეთი, რასაც დიდი ამბები მოჰყვება ხოლმე.

„თბილისელები"

**ვახტანგ იობაშვილი**
*ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე*



ამ თვეში საწვავი შეიძლება, კიდევ **40 თეთრით** გაიაფდეს.

„რეზონანსი"

**დათო დარჩია**
*მსახიობი*



ძალიან **ცუდ დღეშია** ჩვენი ტელეკომპანიები და არა მარტო, ქვეყანაც **ცუდ დღეშია.** ჩვენს წინაპრებს დახვეწილი გემოვნება ჰქონდათ, ჩვენ რა დაგვემართა?

„სარკე"

# რომლებიც გაზაფხულზე გვიტევს

ათიდან 10:00 საათამდე შუალედში ხდება.

**— რატომ?**

— ამის მიზეზია ის, რომ წნევა ყველაზე მეტად დროის ამ შუალედში მატულობს, რასაც ემატება სისხლის ბუნებრივად გასქელებაც. გულის ინფარქტს, გარდა საქვეყნოდ აღიარებული ნიშნებისა, კიდევ ერთი უცნაური გამოხატულება აქვს.

**ინფარქტის ცნობილი ნიშნებია: მწვავე ტკივილი მკერდის ძვლის უკან, რომელიც ხშირად მარცხენა ხელს გადაეცემა; მარცხენა ყბის მიდამოში ტკივილი, რაც ხშირად კბილის ტკივილში ეშლებათ და სტომატოლოგს მიმართავენ და ასევე ქოშინი. სამიდან ერთ-ერთი ნიშანიც კი საკმარისია იმისათვის, რომ განგაში ავტეხოთ და სასწრაფოდ ექიმს მივმართოთ!**



**„გავიღვიძოთ 07:30 საათზე, საწოლიდან ნელა წამოვდგეთ, გავიზმოროთ და დავამთქნაროთ, რათა ტვინს მეტი ჟანგბადი მიეწოდოს, ხოლო ამის შემდეგ დავლიოთ ერთი ჩაის ჭიქა წყალი, რათა გასქელებული სისხლი ბუნებრივად გათხელდეს!“**

გამწვავებას ამინდის ცვალებადობა იწვევს! ზამთარში, როცა ტემპერატურა დაბალია, შაქარიც დაბლა იწევს, ხოლო გაზაფხულზე, როცა ამინდები არეულია, ხოლო ტემპერატურა — ცვალებადი, შაქრიანი დიაბეტის მაჩვენებელიც განუწყვეტლივ იცვლება. **გვახსოვდეს, რომ დიაბეტიანებისთვის ყველაზე სახიფათო პერიოდია 01:00 საათიდან 03:00 საათამდე!** ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ, როცა ორგანიზმი ისვენებს და მას მცირე რაოდენობით ენერგია, ანუ გლუკოზა სჭირდება, ინსულინიც ყველაზე ნაკლებად გამომუშავდება და თუ შაქარი არ დაირეგულირა, პაციენტს შესაძლოა, **ჰიპოგლიკემია,** ანუ ძილში შაქრის დავარდნა აღენიშნოს. ამიტომ **დიაბეტიანებისთვის ძილის წინ ალკოჰოლის მიღება კატეგორიულად დაუშვებელია!** ალკოჰოლს ღვიძლი აღიქვამს, როგორც შხამს, მთელ ძალისხმევას მის განეიტრალებაზე ხარჯავს და გლუკოზა, რომლის საბადოც გლიკოგენის სახით მხოლოდ ღვიძლშია, სისხლში არ გადადის, ხოლო ადამიანს შაქარი უვარდება. **გაზაფხულზე ძალიან მწვავდება ართრიტიც, როცა ისევ და ისევ ცვალებადი ამინდის გამო, სახსრის კაფსულა იჭიმება, რაც ტკივილს წარმოქმნის. ასეთ დროს დიკლოფენაკის ანდა ვოლტარენის მალამო მისწრებაა!**

**— კიდევ რომელი დაავადებები მწვავდება გაზაფხულზე?**

— გაზაფხულზე უამრავი მცენარე ყვავის. მათი მტვერი სახიფათოა ალერგიული ადამიანებისათვის, რომლებსაც ჯიბეში ყოველთვის უნდა ჰქონდეთ **ანტიჰისტამინური ჯგუფის პრეპარატები,** ხოლო, ვისაც ასთმა აწუხებს, იმან გაზაფხულზე ბრონქების გამაფართოებელი პრეპარატები არ უნდა მოიშოროს! რაც მთავარია, გაზაფხულზე მეტი დრო დავყოთ მზის შუქზე, რადგან D ვიტამინის მარაგი, რომელიც ზამთარში გვაკლია, აუცილებლად არის შესავსები. D ვიტამინი ერთ-ერთი უმთავრესი ვიტამინია და არც ის იყო შემთხვევითი, რომ, ვისაც კორონა დაემართა, თითქმის ყველას D ვიტამინის ნაკლებობა ჰქონდა. **არსებობს კვლევები, სადაც მიუთითებენ, რომ D ვიტამინის ნაკლებობა კიბოს განვითარებაში დიდ როლს თამაშობს!** D ვიტამინის საბადოა ვირთევზას ღვიძლი. ამ თევზის ღვიძლის 4 გრამი D ვიტამინის დღიური ნორმის სინთეზისთვის აბსოლუტურად საკმარისია...

**ის, რომ კოვიდპანდემიის დროს სახლებში გამოგვკეტეს და მზის სხივების პირდაპირმა ზემოქმედებამ იკლო, ხალხის იმუნიტეტიც დაეცა. სწორედ ეს უზარმაზარი იმუნოდეფიციტი სხვადასხვა დაავადების სახით სწორედ გაზაფხულზე იჩენს თავს!**

არის შემთხვევა, როცა ადამიანს ტკივილი საერთოდ არა აქვს, მაგრამ ხელ-ფეხი და ტუჩი ულურჯდება და მთქნარება ეწყება... ესეც ინფარქტის ნიშანია და ფხიზლად უნდა ვიყოთ! **არ ვეთანხმები ჩემი კოლეგების უმრავლესობის აზრს იმის შესახებ, რომ წნევის მარეგულირებელი საშუალებები დილით, 11:00-12:00 საათზე უნდა მივიღოთ!** როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე მაღალი წნევა ადამიანს 06:00-10:00 საათამდე აქვს. წნევის დამარეგულირებელ პრეპარატებს, როგორც წესი, 6-7 საათი სჭირდებათ, რათა მათმა კონცენტრაციამ მაქსიმუმს მიაღწიოს და შედეგი გამოიღოს. **თუ წნევის მარეგულირებელს ძილის წინ მივიღებთ, მაშინ მისი მაქსიმალური ეფექტი სწორედ იმ დროს გამომჟღავნდება, როცა წნევა ყველაზე მაღალია და ამ დროს გვძინავს.** გარდა ამისა, წნევის მარეგულირებლების უმრავლესობას ინსტრუქციაში უწერია, რომ მათი მოქმედება 24-საათიანია. სინამდვილეში ამ პრეპარატების ეფექტი მხოლოდ 13-14 საათი თუ გრძელდება. აქედან გამომდინარე, **თუ წნევის დამარეგულირებელს დილით და დღეში ერთხელ დავლევთ, მეორე დილამდე მისი ეფექტი მინიმალური იქნება.** შესაბამისად, იმ დროს, როცა ჩვენს ორგანიზმში წნევა ბუნებრივად მატულობს, ჩვენ დაუცველი ვიქნებით! აქედან გამომდინარე, ჩემი რჩევაა — **გავიღვიძოთ 07:30 საათზე, საწოლიდან ნელა წამოვდგეთ, გავიზმოროთ და დავამთქნაროთ, რათა ტვინს მეტი ჟანგბადი მიეწოდოს, ხოლო ამის შემდეგ დავლიოთ ერთი ჩაის ჭიქა წყალი, რათა გასქელებული სისხლი ბუნებრივად გათხელდეს.**

**— გაზაფხულზე დიაბეტიც მწვავდება...**

— გაზაფხულზე დიაბეტის

**„დიაბეტიანებისთვის ყველაზე სახიფათო პერიოდია 01:00 საათიდან 03:00 საათამდე!“**






# ოთხი ნიშანი!

ესაუბრა

*დიტო ჩუბინიძე*

## კვირგვინოსნები

**მედეა ლორთქიფანიძე**
*მსახიობი*



ნახეთ, **სავსეა რესტორნები უკრაინელებით, ჩვენი ხალხი კი შავ პურს ეძებს ნაგვის ურნაში.** ხომ ვეხმარებით, მეტი როგორღა დავეხმაროთ?! აბა, მათ დედებს ჰკითხე, ვისაც ამ ომში შვილები დაეხოცათ. **არ მინდა ომი და ის, რომ ჩვენი ბიჭები დაიხოცონ და მერე დედებს მოუსვენონ,** თუნდაც უთხრან, რომ გმირი შვილები ჰყავთ. **„ოცნებას“ მართლა სიმშვიდე უნდა და არ აცდიან.**

„სარკე“

**გოგა ჩანადირი**
*ფოტოხელოვანი*



**წელიწადში სამჯერ ნებაყოფლობით ვაბარებ სისხლს.** ერთს — აუცილებლად ჩემს დაბადების დღეზე, რადგან **მხოლოდ იმიტომ არ დავიბადე, რომ მარტო ჩემს თავზე ვიფიქრო,** ასევე წლის ბოლოს, რომ წელი კეთილი საქმით დავასრულო და დონორთა საერთაშორისო დღეს — ივნისში.

„სარკე“

**ოთო კოვზიკიძე**
*„თეატრალური კვარტეტის“ წევრი*



ჩემს ცხოვრებაში **სიმღერა უფრო დიდი დოზით იყო,** თეატრის სიყვარულით მოგვიანებით მოვიწამლე.

„თბილისელები“

**ბექა ჩხაიძე**
*მომღერალი*



სურვილი მაქვს, **შვილები კიდევ მყავდეს,** მე ბიჭები მინდა და ყველას ჩვენი ქართველი მეფეების სახელს დავარქმევ.

„სარკე“

**ნუცა ბუზალაძე**
*მომღერალი*



ჩემთვის დიდი პატივია, **ჯეი ლოს** რომ შემადარეს, მაგრამ მე მაინც **ნუცა ვარ** საქართველოდან!

„სარკე“

პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




**„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!**

სვანებით შეშინებულ **ჯონ მაკკეინთან** ერთად ბათუმში გაქცეული სააკაშვილი, თავის მემუარებში ახლა უკვე ამერიკელი სენატორის აჭარულ თავგადასავლებს იხსენებს! რა თქმა უნდა, სააკაშვილი აბა, როგორ გაუშვებდა შანსს, ბათუმის აღმშენებლობით აღტაცებული მაკკეინის ემოციებით არ წაეტრაბახა:

***„შემდეგ წავედით ბათუმში. იქ ბავშვივით დარბოდა ჩვენი მოცეკვავე შადრევნის შხეფებში და იძახდა: „მიშა, აღფრთოვანებული ვარ, რა თვალწარმტაცი სანახაობაა. საოცრებაა პირდაპირ ეს შადრევნები“. განსაკუთრებით მომწონს, წყალს რა ლამაზად იყენებო, — კომპლიმენტი მითხრა“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 364).*

როგორც ხედავთ, მემუარისტის მტკიცებით, მსოფლიოს ცხრაჯერ გარშემოვლილ **მაკკეინს**, თურმე, მანამდე ბათუმის შადრევნის მსგავსი არაფერი ენახა და ამხელა კაცი შხეფებში სააკაშვილისებრ ცეტივით დარბოდაო! მერე, ამდგარიყავი, შე კაიდედმამიშვილო და ამერიკელი სენატორის პატივსაცემად, ბათუმის მოცეკვავე შადრევნისთვის მისი სახელი დაგერქმია! აშკარად გაეხარდებოდა!

თუმცა, ამერიკელი სტუმრების ეს დისნეილენდური ვოიაჟი ბათუმში ამით არ დასრულებულა:

***„ჩვენი მოგზაურობის ბოლო გაჩერება დილის ოთხ საათზე ბულვარში, ეშმაკის ბორბალზე იყო, სადაც, პრაქტიკულად, ძალდატანებით ავიყვანეთ სენატორი ლინდსი გრემი. მეორე დღეს ის კვდებოდა სიცილით და იძახდა, გუშინ ყველაფერი გამაკეთებინეთ, რაც მეზიზღებაო: არ მიყვარს ფრენა და მთელი დღე დავფრინავდით, ხან იქით და ხან აქეთ, ხან სად, ხან სად, არ მიყვარს ტალღები, ფობია მაქვს ტალღებზე და ლამის ჩამაგდეთ აბობოქრებულ შავ ზღვაშიო, ვერ ვიტან სიმაღლეს და ეშმაკის ბორბალზე დამსვითო, დაბოლოს, საერთოდ არ ვეტანები ალკოჰოლს და ჩამასხით ორი ლიტრი ქართული ღვინოო“*** *(იქვე, გვ. 364).*

მე კი მქონდა გონივრული ეჭვი, რაც დაარბენინებდა 80 წელს მიტანებულ **მაკკეინს** ბათუმის მოცეკვავე შადრევნებში, მაგრამ არ ვთქვი და აგერ, სააკაშვილმა მაინც გამოაჭენა ამერიკელი სენატორები: **„პრობკასავით“ მთვრალები ყოფილან!**

რა თქმა უნდა, მემუარისტი ვერც კი ხვდება, როგორ არასერიოზულად წარმოაჩენს მთელ მსოფლიოში ცნობილ ამერიკელ სენატორებს — მისთვის მთავარია, საკუთარი მოწყვლადი ეგო მოიფხანოს და ყველას დაანახოს, აი, როგორ ვეძმაკაცებოდი **სენატორ მაკკეინსა** და **სენატორ გრემსო!**

ის კი არა, სააკაშვილი მაკკეინს წიწკვი გოგოებისადმი დაუოკებელი ლტოლვის მოხუცებულობის მარაზმშიც კი ამხელს, თუმცა, ამას რომანტიზმს უწოდებს:

***„ის ღრმად რომანტიკული ადამიანი და ნამდვილი ამერიკელი იყო. ერთხელ ამბავი მომიყვა, რომელიც ღრმად ჩამებეჭდა მეხსიერებაში:*** *იცი, მიშა, შეუფერებელ დროს დავიბადე. მინდოდა, 1920-იან წლებში დავბადებულიყავი. მინდოდა ჰემინგუეისთან და სკოტ ფიცჯერალდთან ერთად ვყოფილიყავი პარიზში. ძალიან მაგარი დრო იყო, ფიცჯერალდს ბევრი ფული ჰქონდა, მაგალითად, ერთ რესტორანში არ მოეწონა ბენდი და მთელი რესტორანი იყიდა, რომ მუსიკოსები შეეცვალათ. მაგარი სეირნობა მოსწონდა და მაგარი გართობა, საუკეთესო გოგონები ჰყავდათ.* ***მინდოდა, ასევე, რომ ჰემინგუეის წიგნის გმირი ვყოფილიყავი, ჯორდანი, და მინდოდა, მყოლოდა ისეთი გოგო, როგორიც მარია იყო, რომანიდან „ვისთვის რეკავს ზარი“. როგორც მინდიდა, იმ ეპოქაში დავბადებულიყავი, და საერთოდ არასწორ დროს აღმოვჩნდი არასწორ ადგილზე. ჩემი ნამდვილი ასპარეზი 20-იანი, 30-იანი წლები იქნებოდაო“*** *(იქვე, გვ. 365).*

მოგეხსენებათ, მაკკეინი სამხედრო მფრინავი იყო და ვიეტნამის ომში ტყვედაც ჩავარდა, როდესაც მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს! მძევლობიდან გამოხსნის შემდეგ ის ამერიკაში გმირად შერაცხეს და ამით პოლიტიკური კარიერაც მოიწყო!

ჰოდა, სააკაშვილის აღიარებითი ჩვენებით, ეს ეროვნული გმირი კაცი, თურმე, სამშობლოსათვის თავგანწირვაზე კი არა, ლოთობა-ღრაშობაზე და გოგოებში გრიალზე ოცნებობდა!

პრინციპში, **მაკკეინის** ფსიქოლოგიური გაორება უფრო გასაგები გახდება სააკაშვილის მიერ გამხელილი შემდეგი ამბიდან, რომლიდანაც ირკვევა, რომ მაკკეინს სენატორობის დროსაც კი დედა ჩაგრავდა:

***„კონგრესში ერთ-ერთი ვიზიტის დროს მაკკეინმა გაიტანა აქტი კორუფციის წინააღმდეგ ამერიკული არჩევნების დაფინანსებაზე, მაგრამ ამ აქტს ეწინააღმდეგებოდა ბევრი მემარჯვენე რესპუბლიკელი და, მათ შორის, დედამისი...***

***დავსხედით სალაპარაკოდ თუ არა, დაურეკა დედამისმა. მაგრად ეჩხუბებოდა, მისი ხმა ჩემამდე აღწევდა. ის კი აწყნარებდა: „დედიკო, არ არის ეგრე, მგონი, სრულად ვერ გაიგე, რა წერია კანონში. ყველაფერი კარგად იქნება, დედიკო, ოღონდ შენ არაფერი დაგემართოს, ყველაფერი კარგად იქნებაო. დადო ყურმილი და თქვა, ყველაფრის გაძლება შემიძლია, მაგრამ ამ ქალს რა მოვუხერხო, არ ვიცი, ძალიან შემომწყრა და მისი გული უნდა მოვიგოო“*** *(იქვე, გვ. 365).*

მემუარისტი სრული სერიოზულობით ამტკიცებს, 2008 წლის ნოემბერში ამერიკელებს ობამას ნაცვლად მაკკეინი რომ აერჩიათ პრეზიდენტად, დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებდითო:

***„ერთხელაც დამირეკა და მითხრა, თუ პრეზიდენტად ამირჩევენ, პირველი ოფიციალური ვიზიტი იქნება საქართველოში და იცოდე, საქართველოს არასოდეს მივატოვებთ და წართმეულ ტერიტორიებს დაგიბრუნებთო.***

***სხვათაშორის, ამეკვიატა და სულ მახსენდებოდა ამაზე ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“, როდესაც კარგ მონათმფლობელს უნდა გაეთავისუფლებინა ბიძია თომა, მაგრამ „არასწორ დროს“ მოკვდა. მაკკეინი რომ აერჩიათ, ჩვენ მართლა დავიბრუნებდით ჩვენს ტერიტორიებს. უბრალოდ, არ აირჩიეს. არ გვიწყალობა ბედმა. აი, ასეთია სუბიექტური ფაქტორი ისტორიაში“*** *(იქვე, გვ. 366).*

რა თქმა უნდა, ასეთი განცხადებები ძალიან არასერიოზულია: იმ წლებში და იმ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, როგორ უნდა დაებრუნებინა გაპრეზიდენტებულ მაკკეინს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოსთვის, რუსეთს ომს დაუწყებდა თუ შეაშინებდა და დაათმობინებდა?!

შემდეგ **სააკაშვილი** იხსენებს, როგორ ეჭორავებოდა მაკკეინი პრეზიდენტ **ობამაზე** და მაშინდელ ვიცე-პრეზიდენტ **ბაიდენზე:**

***„მაკკეინი გულახდილი კაცი იყო, მან ინსტიტუტი გახსნა თავისი ფერმის მახლობლად, სედონაში, ძალიან ლამაზ ადგილზე, მართავდა კონფერენციებს არიზონაში, დიდ კანიონთან. ჩემი იქ ყოფნა ჯო ბაიდენის სტუმრობას დაემთხვა, მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის, რომელთანაც მაკკეინს ჰქონდა კარგი ურთიერთობა, შემდეგ მაკკეინმა რანჩოზე მიმიწვია და გამენდო:*** *ჯო ბაიდენი, მართალია, ჩემი მეგობარია, მაგრამ არანაირი გავლენა არა აქვს ადმინისტრაციაშიო. ჯერ ერთი, ობამა არ მოსწონს და ისიც იმავენაირად პასუხობს, ამას გარდა ობამა მას სულ იშორებს თავიდან, უქმნის რაღაც კომისიებს, აძლევს რაღაც დავალებებს და არასოდეს ეკითხება შედეგებს, მისთვის მთავარია, როგორმე გაიხანგრძლივოს* ***ბაიდენის*** *უნახაობაო.* ***ასე რომ, დიდ ილუზიას ნუ შეიქმნი, რომ დაგეხმარება, ბაიდენს არანაირი გავლენა არა აქვს ობამაზე, ისინი რეალურად მტრები არიან, და თანაც, ბაიდენის სიტყვებს მაინცდამაინც ნუ დაუჯერებ, რადგან ზოგჯერ უყვარს ვითარების შერბილებაო“*** *(იქვე, გვ. 367).*

დაბოლოს, **სააკაშვილი** იხსენებს, როგორ შეხვდა **სენატორ მაკკეინს** უკვე უკრაინაში გაქცეული, ოდესის გუბერნატორობისას:

***„ის უკვე ჩემი გუბერნატორობისას ჩამოვიდა ჩემთან ოდესაში. დავპატიჟე ოპერის თეატრში, ხატია ბუნიათიშვილი საგანგებოდ ჩამოვაფრინეთ და ვთხოვე, დაეკრა ოპერის ფოიეში. მაკკეინი უნდა გაფრენილიყო, მაგრამ როდესაც ხატია დაინახა და მის კონცერტს მოუსმინა, ერთი საათი ვერ გამოვიყვანეთ ოპერიდან. სთხოვდა, კიდევ დაეკრა, სთხოვდა, მისი საყვარელი მუსიკალური ნაწარმოებები შეესრულებინა, უბრალოდ, გაგიჟდა ბუნიათიშვილზე. აი, ეს იყო, ჩამრჩა ეს მოგონება მისი რომანტიკულობის დასტურად, მისთვის ასეთი ცხოვრებისეული მომენტები უფრო ღირებული იყო, ვიდრე უმაღლესი დონის პოლიტიკურ შეხვედრებად წოდებული რაღაც ღონისძიებები“*** *(იქვე, გვ. 368).*

აი, ასე დაასხა თავსლაფი **სააკაშვილმა** მის მეგობარ **მაკკეინს** (ხატია-გამოძახებით), **ბუნიათიშვილის** დანახვაზე ოპერიდან ერთი საათი ვერ გამოვიყვანეთო...

***გიორგი გიგაური***

*გაგრძელება იქნება*




## როდესაც მაკკეინმა ხატია ბუნიათიშვილი დაინახა, ერთი საათი ვერ გამოვიყვანეთ ოპერიდან!



**„მარინა ბერიძე თვლიდა, რომ სიმღერა არ შემეძლო, ახლა ნახოს, სად ვარ მე და თვითონ სად არის“, — ამბობს ახალგაზრდა მომღერალი ᲗᲐᲗᲘᲐ ᲙᲝᲑᲐᲚᲐᲫᲔ, რომელიც სულ მალე ამერიკის „ნიჭიერში“ მიიღებს მონაწილეობას. შესარჩევი ეტაპი უკვე გადალახული აქვს. თათია გახლავთ ყაზახური სიმღერის საერთაშორისო კონკურსის „ტურანის ხმა — 2022“-ის გამარჯვებული, 2021 წელს ყაზახური „ვოისის“, უკრაინის „X ფაქტორისა“ და თურქეთის „ვოისის“ ფინალისტი:**



# „ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ „ᲯᲔᲝᲡᲢᲐᲠᲘ 2010“-ᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ?“



„მალე ამერიკის „ნიჭიერში“ მივიღებ მონაწილეობას...“

# ᲗᲐᲗᲘᲐ ᲙᲝᲑᲐᲚᲐᲫᲔ:

# ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲕ, ᲡᲐᲓ ᲮᲐᲠᲗ ᲐᲜ ᲠᲐ ᲒᲐᲥᲕᲗ? ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠᲪ ᲥᲐᲚᲣᲠ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐᲡ ᲒᲘᲪᲮᲐᲓᲔᲑᲗ!

— საქართველოში ძალიან ბევრ კონკურსში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ ქასტინგიდან შემდეგ ტურში ჟიურის არ გადავყავდი, რატომღაც მგონია, რომ **ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ** ზეგავლენის ქვეშ იყვნენ, რომელიც ჩემ მიმართ ძალიან ცუდად იყო განწყობილი.

17 წლის ვიყავი, როდესაც „ჯეოსტარი 2010“-ში მივიღე მონაწილეობა. დილის 8 საათზე კონკურსზე 11 თვის ბავშვით გამოვცხადდი, საღამოს 6 საათზე შემიყვანეს. იმის ნაცვლად, რომ სიმღერა შერჩეული მქონდა, გარეთ გამიშვეს, ორი მონაწილის შემდეგ შემოდი და „ფსოუს წყალი“ იმღერეო.

**ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲛᲪᲘᲠᲐ, ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝ, ᲣᲜᲘᲭᲝ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲬᲐᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲔᲖᲐᲠᲓᲐ. ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲘᲠᲝᲜᲘᲐ. ᲛᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲛᲮᲔᲚᲐ ᲬᲝᲜᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲛᲪᲘᲜᲝᲓᲐ, ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲗ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲘ.**

იმის გამო, რომ ადამიანი „ვიდზე“ არ მოგეწონოს, „ზემოდან“ არ დაგირეკეს და არ გითხრეს, რომ ის „კარგი მამიკოს“ შვილია, არ შეიძლება შენი სიტყვებით მოსპო, გაანადგურო და მიწასთან გაასწორო.

**ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲐᲕ: ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ, ᲔᲠᲗᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲣᲙᲕᲔ ᲝᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲕᲐᲠ, ᲝᲯᲐᲮᲘᲪ ᲛᲧᲐᲕᲡ, ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔᲪ ᲕᲓᲒᲐᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔᲪ ᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲡᲐᲓ ᲮᲐᲠᲗ ᲐᲜ ᲠᲐ ᲒᲐᲥᲕᲗ?! ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲐᲠᲪ ᲥᲐᲚᲣᲠ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐᲡ ᲒᲘᲪᲮᲐᲓᲔᲑᲗ!**

მალე ამერიკის „ნიჭიერში“ მივიღებ მონაწილეობას და ახლა თქვენზე რომ ვლაპარაკობ, მეცინება კიდეც, როცა ამერიკაში **ᲡᲐᲘᲛᲝᲜ ᲙᲝᲕᲔᲚᲛᲐ** უნდა შემაფასოს.

**— „ჯეოსტარის“ გარდა, კიდევ რომელ კონკურსზე დაიწუნა თქვენი ნამღერი მარინა ბერიძემ?**

— საქართველოში ერთი კონკურსიც არ გამომიტოვებია, მაგრამ ჩემს თავზე სულ ერთი და იგივე ჩარხი ტრიალებდა. **ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ** ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა. კონკურსზე „მხოლოდ ქართული“ როცა გავედი, უკრაინის „იქს ფაქტორი“ უკვე გავლილი მქონდა, ჟიურიში **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲣᲨᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲝ ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔ** ისხდნენ. კობალაძე მეცნობაო, თქვა ბერიძემ. ვფიქრობდი — თუ მიცნო და ისევ დამამცირა-მეთქი?! ვიმღერე, უშიკიშვილმა მითხრა — საკმაოდ უცხო ტემბრი გაქვს, შენს ხმაში რაღაც მომწონსო. **ᲣᲨᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔᲪ** დაეთანხმა, მაგრამ **ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ** აქაც არ მოვეწონე. ბოლოს **ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲣᲨᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** ერთმანეთს რომ გადახედეს, **ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ** მკაცრად განაცხადა — მგონი, გარკვევით ვთქვი — კობალაძე არ მომწონსო. გარეთ **ᲘᲚᲝ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ** იდგა, ოპერატორებს უთხრა — ამ გოგომ უკრაინის „იქს ფაქტორში“ მსმენელი ფეხზე დააყენა და სირცხვილია, აქ ქასტინგიდან შემდეგ ტურში თუ არ გადავიდაო... **ᲐᲘ, ᲐᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲛᲔ-Ს, ᲛᲘᲡᲛᲐ ᲪᲘᲜᲘᲖᲛᲛᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲡ ᲐᲐᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲖᲔ.** ეს არის ყველაზე დიდი ცოდვა და დანაშაული, რაც კი შეიძლება ადამიანის დაცინვამ გამოიწვიოს. 7 წლის ასაკში 300-კაციან კაპელასთან და ორკესტრთან ერთად ბათუმის თეატრში ცოცხლად ვმღეროდი, დამისახელოს **ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ** „ჯეოსტარი 2010“-ის კონკურსში დაწინაურებულები, ვინ არიან ჩემზე მეტად წარმატებულები?

**— მაინც რა იყო თქვენთან დაპირისპირების მიზეზი?**

— ჩვენამდე მოვიდა შემოთავაზება — **15 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲝᲜ ᲓᲐ 12 ᲙᲐᲪᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲓᲔᲑᲐᲝ.** თანხის გადახდის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, ისედაც დავამტკიცებდი და დავამტკიცე კიდეც, რომ **ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲩᲔᲛᲗᲐᲜᲐᲪ ᲨᲔᲪᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜᲐᲪ.**

**ᲐᲥᲕᲔ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲕᲔᲢᲧᲕᲘ: ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲘᲛ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲪ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲜᲘᲭᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ, ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲗ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ.**

მერე იმეორეთ ჩემთვის ნათქვამი თქვენი სიტყვები, რომ სცენა ჩემი საქმე არ იყო და თქვენც ბევრი რამ გინდოდათ, თუმცა, არ გამოგივიდათ... **ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘᲪ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲕᲐᲗ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲕ, ᲡᲐᲓ ᲮᲐᲠᲗ, ᲐᲜ ᲠᲐ ᲒᲐᲥᲕᲗ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ? ᲙᲐᲠᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲢᲠᲘᲐᲚᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐ ᲪᲘᲜᲘᲖᲛᲘᲪ ᲓᲐᲗᲔᲡᲔᲗ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲘᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ!**

*ესაუბრა*
***ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲛᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ***





**ᲔᲡ ᲘᲧᲝ 13 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ: ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ „ᲯᲔᲝᲡᲢᲐᲠᲘᲡ“ ᲟᲘᲣᲠᲘᲛ ᲗᲐᲗᲘᲐ ᲙᲝᲑᲐᲚᲐᲫᲔ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲢᲘᲠᲐ!**

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲛᲐᲘᲐ ᲔᲚᲝᲨᲕᲘᲚᲘ**
*იურისტი*



როგორ არ უნდა იცნობდე ქართველ ხალხს, რომ მომავალ პრემიერ-მინისტრად — **მასობრივი სიძულვილის რეკორდსმენს,** ყურმოჭრილ მონას და ყველა დროის ანტიომბუდსმენს — **ᲜᲘᲜᲝ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐᲡ** ამზადებდე და გეგონოს, რომ გამოგივა.

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐ**
*ისტორიკოსი*



1991 წელს, როცა ჩემს მშობელთან და მეგობრებთან ერთად ბალტინის ჯარების რუსულ ბომბებს სამეგრელოში ვემალებოდი, **ბევრი დღევანდელი „ევროპელი“ მამიკოებთან ერთად რუსთაველზე იდგა და დსთ-ში შესვლას დაჩოქილი ითხოვდა!** მაშინ ისტორიის ბნელ მხარეზე ოჯახებიანად რომ იყავით, ამას რა ეშველება?! რა მორალური ბექგრაუნდი გაძლევთ უფლებას, დღეს საქართველოს მომავალზე ისაუბროთ?!

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲠᲐᲣᲚ ᲗᲣᲗᲐᲠᲐᲣᲚᲘ**
*MMA-ის ქართველი მებრძოლი*



საქართველოს ღირსებას მე პირადად **რუსეთშიც ვიცავ და ევროპაშიც,** სხვისი შეურაცხყოფით ნუ მოუტანთ საკუთარ თავებს პოპულარობას, ეგ დროებითია. წარსული ნუ გავიწყდებათ. „ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲞᲠᲔᲡᲘ“

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ**
*სახალხო დამცველი*



მადლობა ყველას, ვინც ნდობა გამომიცხადეთ, **მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ გავამართლო** ის პოზიცია, რომელსაც ჰქვია ძალიან საპატიო სახელი — სახალხო დამცველი.

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲒᲕᲘᲓᲘᲐᲜᲘ**
*ექსპერტი*



მოკლედ, რა გამოდის, ამერიკა **თავისი ინტერესებით** მოქმედებს, ევროპა — თავისი, ხოლო მაინცდამაინც საქართველომ უნდა იაროს **სხვისი ინტერესებით?** — ასე არ გამოვა, არასამართლიანია და იმიტომ. „ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

# რა არის ბატონები?

„ბატონები“ ეს არის ვირუსული ინფექციაა, ზოგიერთ შემთხვევაში გამონაყარით მიმდინარე, ზოგჯერ კი, სხვა სიმპტომებით. **წითელას, წითურას, ჩუტყვავილას გამონაყარი ახასიათებს და იწვევს ვირუსული ინფექცია. ქუნთრუშას იწვევს ბაქტერია სტრეპტოკოკი და მასაც ახასიათებს გამონაყარი, ანგინა. ყბაყურა იწვევს სანერწყვე ჯირკვლების ანთებას და ტკივილს ღეჭვის დროს, თუმცა, გამონაყარი არ ახასიათებს.** ინფექციური დაავადებები ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, ამიტომ საჭიროა, პაციენტი იყოს მშვიდად.

ამ დაავადებისთვის დამახასიათებელია გამონაყრი, თუმცა, იწყება არასპეციფიკური ნიშნებით — ცხვირით სუნთქვის გართულებით, ცხვირიდან გამონადენით, ხველით, ზოგ შემთხვევაში — კონიუნქტივიტით. საერთო ამ დაავადებებს აქვთ ის, რომ ყველა მათგანს ვირუსული ინფექცია იწვევს. მათი გადატანის შემდეგ იმუნიტეტი არის მყარი და ადამიანებს მეორედ აღარ ემართებათ.

ყველა ამ ტიპის ვირუსის შემთხვევაში გადადების გზა არის ჰაერწვეთოვანი. „ბატონების“ გადადების შანსი დაახლოებით 60-70%-ია, თუმცა, **წითელას შემთხვევაში ინფიცირებულთან კონტაქტით ადამიანი აუცილებლად ავადდება.** ნებისმიერი დაავადებისთვის დამახასიათებელია სტადიურობა. **პირველი სტადია** არის საინკუბაციო პერიოდი, როდესაც ვირუსი შეიჭრება ორგანიზმში, **მეორეა** — პროდრომული პერიოდი, როდესაც გამოვლინდება დაავადებისთვის არადამახასიათებელი ნიშნები — ცხელება, გულისრევა, თავის ტკივილი, რაც ნებისმიერ სხვა ვირუსულ დაავადებასაც ახასიათებს. **შემდეგი ეტაპი** არის კლინიკური გაშლის პერიოდი, როდესაც გამოვლინდება ისეთი ნიშნები, როგორიც კონკრეტულად ამ დაავადებას ახასიათებს, მაგალითად, გამონაყარი. **მეოთხე სტადია** კი გახლავთ, გამოჯანმრთელების სტადია, როდესაც გამონაყარი ქრება.



ყველა მათგანს დამახასიათებელი გამონაყარი აქვს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც დიაგნოსტირება რთულდება. ყველაზე განსხვავებული გამონაყარი აქვს **ჩუტყვავილას,** ანუ მრავალფეროვანი — **ლაქაც, ბუშტუკიც, ჩირქოვანი ელემენტიც, ქერქები** და **ეროზიებიც.** არის ნიშნები, რომლებიც დიაგნოზის დასმაში გვეხმარება და მხოლოდ ამა თუ იმ დაავადებას ახასიათებს. მაგალითად, **წითელას** დასაწყისში, პროდრომის დროს, ინფიცირებულ ადამიანს ლოყის ლორწოვან გარსზე აქვს თეთრი ფერის გამონაყარი და ექიმს შეუძლია იწინასწარმეტყველოს, რომ პაციენტს 3 დღეში გამოაყრის და დაემართება წითელა. **თუ გამონაყარს თან ახლავს კეფის ლიმფური კვანძების გადიდება, ეს წითურას ნიშანია.** ზოგადად, ინფექციური დაავადების გადატანის შემდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიცოდეთ, რა გადავიტანეთ. მაგალითისათვის წითურას მოვიყვან. ეს ერთი შეხედვით მსუბუქი ინფექცია ორსული ქალისათვის საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ნაყოფის მრავლობით სიმახინჯეს იწვევს. ამდენად, ვიდრე ორსულობას დაგეგმავს, ქალმა უნდა იცოდეს, გადატანილი აქვს თუ არა წითურა.

ინფექციისგან თავდაცვის მიზნით ვაქცინაცია საუკეთესო გამოსავალია. **წითელას, წითურასა და ყბაყურას საწინააღმდეგო აცრები 1 და 5 წლის ბავშვებს უკეთდებათ და ამით, პრაქტიკულად, მთელი ცხოვრების განმავლობაში დაცულნი არიან.**

ინკუბაციური პერიოდი 9-10 დღიდან 21 დღემდე გრძელდება, ამის შემდეგ იწყება პროდრომი და ჩნდება გამონაყარი, რომელიც დაახლოებით ერთ კვირაში ქრება.

გამონაყარი, რომელიც „ბატონების“ დროს სხეულზე ჩნდება, არ ტოვებს კვალს, იმ შემთხვევის გარდა, თუ არ გართულდა სხვა ინფექციის შეჭრით. ინფიცირება შეიძლება მოხდეს ჩუტყვავილას შემთხვევაში, რადგან ამ დაავადებისთვის დამახასიათებელია ქავილი და ბავშვისთვის თავშეკავება ძნელია. თუ სხეულში მოხვდა მეორადი ინფექცია, შეიძლება დარჩეს პატარა ნაწიბური.

# ქუნთრუშას მკურნალობა ხალხური მეთოდით



*ქუნთრუშა მწვავე ინფექციური დაავადებაა. ამ დაავადებით ძირითადად ბავშვები ავადდებიან. ახასიათებს მაღალი ტემპერატურა, გამონაყარი მთელ ტანზე და ყელის ტკივილი.*

ტრადიციული მედიცინა, ანუ კომპლემენტური ალტერნატიული მედიცინა უძველესი დროიდან ფლობს მრავალ საშუალებას, რომელთა საფუძველზედაც შექმნილია მრავალი სახის სამკურნალო მცენარეებზე დაყრდნობით შექმნილი რეცეპტები, რომელთა გამოყენებაც ქუნთრუშას დაავადების მიმდინარეობას აძლევს გაიოლებით ფორმას და ბავშვებს ეს დაავადება ბევრად იოლად გადააქვთ; ასევე ამ სამკურნალო საშუალების გამოყენების შემდეგ, კანზე გამონაყარის გავლის შემდეგ ნაიარევების დარჩენა გამოირიცხება და ისინი უკვალოდ ქრებიან.

ზემოთ აღნიშნული რეცეპტებიდან აქ წარმოვადგენთ ერთ-ერთს, რომელიც ცნობილია ავერინის ჩაის სახელწოდებით; იგი აერთიანებს იოლად ხელმისაწვდომ სამ მცენარეს, რომლებიც, როგორც აქტიური ვეგეტაციის პერიოდისათვის — ნედლი სახით, ასევე მთელი წლის განმავლობაში, შეიძლება მშრალი ფორმით, გამოყენებულ იქნეს ქუნთრუშას სამკურნალოდ.

**ავერინის ჩაის დამზადებისათვის ვაგროვებთ შემდეგ მცენარეებს:**










**1. ძაღლყურძენას ახალგაზრდა ნაზარდი — 1 წილი;**

**2. სამგანყოფილებიანი ორკბილას — 4 წილი;**

**3. სამყვავილიანი იის ფოთლები — 4 წილი.**

აღნიშნულ მცენარეებს ვაგროვებთ ცალ-ცალკე, გადავარჩევთ და ვრეცხავთ გამდინარე წყლით; ამის შემდეგ ვახდენთ მის გაშრობას წყლის მოცილებამდე, რის შემდეგაც ვახდენთ მცენარეული მასალის წვრილად დაქუცმაცებას. მშრალ ჭურჭელში გადაგვაქვს ამ მცენარეთა მინიშნებული რაოდენობები და ერთგვაროვანი მასის მიღამდე ვურევთ ენერგიულად. **ასეთი დამუშავებული მასალიდან ვიღებთ 1 სუფრის კოვზ ნარევს, ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვდგამთ ნელ ცეცხლზე 5-7 წუთი, ოთახის ტემპერატურაზე ვაყოვნებთ 10-15 წუთი და ვწურავთ ბინტში.**

მიღება: **დღეში 3-4-ჯერ ს/კ-ით ჭამის შემდეგ.**

მკურნალობის კურსს ვაგრძელებთ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

# ალერგიული რინიტის (სურდო) მკურნალობა



*ალერგიული სურდო, ანუ ალერგიული რინიტი ფაქტიურად წარმოადგენს ალერგიულ რეაქციას. მას ახასიათებს თავისთავად კარგად გამოხატული ნიშნები და ამდენად მისი დიაგნოსტიკა პრობლემა არაა*

ალერგიული რინიტის დროს

**1.** ღიზიანდება ცხვირის ლორწოვანი გარსი; ცხვირის ღრუში აღინიშნება შეშუპებები.

**2.** ცხვირის ნესტოებიდან ძლიერდება და იმატებს გამონადენი; მოხშირებული ცხვირის ცემინება;

**3.** ცხვირის ნესტოების ზონაში და მის ირგვლივ ქავილის გრძნობა;

**4.** სუნთქვის შეზღუდვა;

ალერგგიული სურდოს სამკურნალოდ მრავალი კლასიკური, დაზუსტებული საშუალებები მოიპოვება. მიუხედავად ამისა, ალერგიული სურდოს სამკურნალოდ არსებობს ხალხური მედიცინისაგან წარმოდგენილი მრავალი რეცეპტი, რომლებიც ხალხში დიდი მოწონებით სარგებლობს და შედეგებითაც კმაოფილები არიან.

## ალერგიის სამკურნალოდ კარგ შედეგს იძლევა ჭინჭარი და შვიტა



ალერგიის სამკურნალოდ აქ წარმოდგენილი რეცეპტის ძირითადი შემადგენელი კომპონენტია **ჭინჭარი და შვიტა.** ასეთი რეცეპტის დასამზადებლად ვიღებთ მათ გამშრალ დაქუცმაცებულ მასალას **1 : 1 ფარდობით და ერთგვაროვანი მასის მიღების მიზნით კარგად ვურევთ ერთმანეთში.** ასეთი ნარევიდან ვიღებთ 1 ს/კ-ს, რომელსაც ვასხამთ 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს და ოთახის ტემპერატურაზე ვაყოვნებთ 1 საათი, რის შემდეგაც ვწურავთ მიტკლის ნაჭერში.

**მიღება: აღნიშნულ ნაყენს ვსვამთ მთლიანად ერთ დღეზე გადანაწილებით.**

## ალერგიული სურდოს მკურნალობა ჭინჭრის ყვავილით



ვიღებთ **ჭინჭრის ყვავილს** მშრალს — ერთს, ან ნედლს ორ ს/კ-ს, ვასხამთ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვაყოვნებთ ოთახის ტემპერატურაზე ერთი საათი და ვწურავთ.

მიღება: **ჩაის ჭიქის 1/3 დღეში სამჯერ.**

## ალერგიული სურდოს მკურნალობა წყლის პერით



ვიღებთ **წყლის პერის ახალ,** ნედლ მასალას, ვრეცხავთ კარგად და გადავარჩევთ; ამ მასალიდან ვიღებთ წვრილად დაჭრილ **1 ჩაის კოვზს** და მასზე ვასხამთ **50 მლ მაგარ არაყს.** წყლის პერის არყიან ნაყენს, სიბნელეში ვათავსებთ **8-10 დღე,** რის შემდეგაც ვწურავთ მიტკლის ნაჭერში გამოწნეხვით.

**მიღება:** აღნიშნული ნაყენის **15-20 წვეთს** ვხსნით ამდენივე რაოდენობის წყალში, საიდანაც ვიღებთ 15-20 წვეთს, რომელსაც დამატებული აქვს მცირე რაოდენობის **წყალი** და ასეთი ვარიანტით დამზადებულ სითხეს **ვიღებთ დღეში 3-ჯერ.**

# გაზაფხულის ალერგიის მკურნალობა



*ალერგიამ ე.წ.(შეტევა) განსაკუთრებით გაზაფხულზე იცის. ექიმების აზრით ეს შეიძლება დავაბრალოთ იმუნური სისტემის გადაღლას, იმუნიტეტის დაქვეითებას, ნივთიერებათა ცვლის დარღვევას და სხვა მრავალ მიზეზებს. ზოგადად, ალერგიის შესახებ წიგნში მოცემულია საკმარისი რაოდენობის რეცეპტები, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ გაზაფხულის ალერგიის სამკურნალოდ ისინი ცალკე ჯგუფად წარმოვადგინოთ.*

**გაზაფხულის ალერგიის მკურნალობა ორკბილას მცენარით:** ვიღებთ გამშრალ და დაქუცმაცებულ ორკბილა მცენარის 1 ჩაის კოვზს, ვასხამთ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვაყოვნებთ 3-4 საათი და ვწურავთ ნაჭერში. მიღება: თითო ჩაის ჭიქა დღეში 3-ჯერ.

**გაზაფხულის ალერგიის მკურნალობა შავი მოცხარის ფოთლებით:** ვიღებთ 1 ჩაის კოვზ გამშრალ და დაქუცმაცებულ შავი მოცხარის ფოთოლს, ვასხამთ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვაყოვნებთ 3-4 საათი და ვწურავთ ნაჭერში. მიღება: თითო ჩაის ჭიქა დღეში 3-ჯერ.



**გაზაფხულის ალერგიის მკურნალობა კალენდულას ყვავილებით:** ვიღებთ 1 სუფრის კოვზ გამშრალ და დაქუცმაცებულ კალენდულას ყვავილს, ვასხამთ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვაყოვნებთ 3-4 საათი და ვწურავთ ნაჭერში. მიღება: თითო ს/კ დღეში 3-ჯერ.

**გაზაფხულის ალერგიის მკურნალობა შვიტას მცენარით:** ვიღებთ 1 სუფრის კოვზ გამშრალ და დაქუცმაცებულ შვიტას მცენარეს, ვასხამთ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვაყოვნებთ 3-4 საათი და ვწურავთ ნაჭერში. მიღება: 0,5 ჩაის ჭიქა დღეში 2-ჯერ, ჭამის შემდეგ.

**გაზაფხულის ალერგიის მკურნალობა ბაღის პიტნის მცენარით:** ვიღებთ 1 სუფრის კოვზ გამშრალ და დაქუცმაცებულ ბაღის პიტნის მცენარეს, ვასხამთ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვაყოვნებთ 3-4 საათი და ვწურავთ ნაჭერში. მიღება: ორ-ორი ს/კ-ით ვიღებთ მთელ ნაყენს, მთელ დღეზე გადანაწილებით.

# რატომ ჩნდება კანის სოკო და როგორ დავიცვათ მისგან თავი?



**სოკო კანის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული დაავადებაა.** მისი წარმომშობი არის მიკროორგანიზმი, რომელიც ზოგჯერ ჩვენს კანშიც ბუდობს. **სოკო** შეიძლება განვითარდეს სხეულის სხვადასხვა ადგილას. **არსებობს არა მხოლოდ კანის, არამედ პირის ღრუს, სასქესო ორგანოების სოკოვანი დაავადებაც.** არცთუ იშვიათად სოკო ჩნდება თავზე, რაც იწვევს თმის ბუდობრივ ცვენას, ეს უფრო ხშირად ბავშვებში გვხვდება და ძირითადად სოფლის მოსახლეობაში.

**სოკოს** ზოგიერთი სახეობა ადამიანიდან ადამიანზე გადადის, ზოგი კი ცხოველიდან. თავის თმიანი მიდამოს სოკო ძირითადად ცხოველიდან გადადის.

ზაფხულში საკმაოდ გავრცელებულია ე. წ. **ნაირფეროვანი პიტირიაზი,** კანზე ჩნდება ყავისფერი ლაქები, რომლებიც რუჯის მიღების შემდეგ მოთეთრო ფერს იძენს. ეს **სოკო** ნაკლებად გადამდებია, რადგან მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანში ბინადრობს, მაგრამ ხელშემწყობი პირობების დროს მეტად ვლინდება. **ნაირფეროვანი პიტირიაზის** ხელშემწყობია სინესტე, ოფლიანობა. ზოგადად, სოკოვანი დაავადების გამწვავება შეიძლება გამოიწვიოს ანტიბიოტიკის მიღებამ. პირის ღრუსა და გინეკოლოგიური სოკოს ნაირსახეობას მიეკუთვნება კანდიდოზი, რომელიც ვიზუალურად ნაკლებად ჩანს.

**კანის სოკოს** ახასიათებს გამონაყარი და ქავილი, ეს ნაკლებად ეხება პირის ღრუს. ზაფხულში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია **ტერფის სოკოვანი დაავადება.** ამ შემთხვევაშიც შეიძლება, სოკო კანზე ბინადრობდეს და თუ ადამიანი დახურული ფეხსაცმლის მოყვარულია, **სოკოვანი დაავადება** ადვილად განვითარდება. ხშირ შემთხვევაში აწუხებთ ქავილი თითებს შორის, აქერცვლა, შეიძლება გაჩნდეს ნახეთქი. არსებობს ფრჩხილის სოკოც, რომელიც საკმაოდ საყურადღებოა. სამწუხაროდ, ადამიანები მხოლოდ ზაფხულში ამჩნევენ, რომ ფრჩხილი არის დეფორმირებული და ითხოვენ პრობლემის სწრაფად მოგვარებას. სასურველია, ეს პრობლემა ზამთრის პერიოდშივე შეამჩნიონ, რადგან ფრჩხილის მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია.

**სოკოს** გამრავლების ხელშემწყობი შეიძლება იყოს სიცხის, ოფლიანობის ბრალიც. **სოკოს** გავრცელების პერიოდი მხოლოდ ზაფხული როდია. ზამთარშიც, თუ ადამიანი თბილი ფეხსაცმლის მოყვარულია, შეიძლება გამოვლინდეს.

**კანის სოკოსაგან** თავი უნდა დაიცვათ ჩვეულებრივი ჰიგიენური ნორმებით. ზოგჯერ **სოკო** ბრალდება აუზზე სიარულს, თუმცა, ამ გზით სოკოს გადადების რისკი დღეს მინიმუმამდეა დაყვანილი. ეს უფრო ჰიგიენური ნორმების არასათანადო დაცვის ბრალი შეიძლება იყოს. აუზიდან ამოსვლის შემდეგ აუცილებელი პირობაა შხაპის მიღება, რათა ქლორიანი წყალი მოიშოროთ. აუცილებელია, კარგად გაიმშრალოთ ტანი, განსაკუთრებით ბუნებრივი ნაოჭები და თითებს შორის არეები.

# კანის დაავადებებისადმი მიდრეკილების მქონე ადამიანების მკურნალობა შავი და მწვანე ჩაის კოქტეილით



***ჩინელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ, თუ დავამზადებთ ჩაის კოქტეილს ორი სახის ჩაისაგან, კერძოდ, მწვანე და შავი ჩაისაგან (პროპორციით 1:1) და ასეთი ნარევით დამზადებულ ჩაის გარკვეული დროის განმავლობაში მიიღებენ ადამიანები, რომელთაც მიდრეკილება აქვთ კანის სხვადასხვანაირი ფორმის დაავადებებთან, ჩაის მიღების ასეთი ვარიანტი აშკარად დადებითად მოქმედებს ამ ადამიანების კანის გამოჯანმრთელებაზე.***

ჩინელი ექიმები პაციენტებს ურჩევენ, რომ ტრადიციული მეთოდებით მკურნალობის პარალელურად, თუ ისინი დღეში 4-5 ფინჯან ასეთ სამკურნალო ჩაის დალევენ, მისი დადებითი გავლენა უეჭველი და აშკარაა. აღნიშნული კომბინირებული ვარიანტით ჩაის მიღება ერთი თვის შემდეგ აშკარა დადებით ეფექტს იძლევა. ამიტომ ისინი იმ პაციენტებს, რომლებიც ხშირად ხდებიან ავად კანის სხვადასხვა დაავადებით, ძალიან სასარგებლო იქნება, თუ ისინი დღეში რამდენიმე ფინჯან „შავი-მწვანე“ ფორმის ნაყენს მიირთმევენ, როგორც ჩაის.

## სოკოვანი დაავადებების მკურნალობა ფიტოთერაპიული საშუალებებით



***სოკოვანი დაავადების მკურნალობა ძირითადად პროფესიონალური, კლასიკური მეთოდებით უნდა ხდებოდეს, მაგრამ შესაძლებელია, ასევე ვისარგებლოთ არატრადიციული, ხალხური მედიცინისაგან წარმოდგენილი ფიტოთერაპიული საშუალებებითაც, რომლებიც აშკარად ხელმისაწვდომია წლის ნებისმიერი დროისათვის და გამოირჩევიან მაღალი ეფექტურობით. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ საშუალებების შედარებით ხელმისაწვდომ და ეფექტურ ვარიანტებს:***

სოკოს სამკურნალოდ მაღალეფექტურობას გამოავლენს, სოკოთი დაზიანებული სხეულის ნაწილებზე **ჩაის** ან **ნემსიწვერას** მცენარის ეთერზეთები.

სოკოს მოსპობა, განადგურება შეიძლება **არყის,** ან **ფიჭვის** კუპრით. მათ იყენებენ როგორც სუფთა სახით (ჩვეულებრივად 10%-იანი კონცენტრაციით), ასევე თანაბარი რაოდენობით შერეულს **გოგირდთან** და **სალიცილის მჟავასთან** ერთად:

აღნიშნული შემადგენლობით ვაკეთებთ ერთგვაროვან მასას.

**გამოყენება:** დამზადებული ერთგვაროვანი მასით ვამუშავებთ **სოკოთი** დაზიანებულ ადგილს, რომელსაც ნახევარი საათის შემდეგ ჩამოვიბანთ **თბილი წყლისა** და **საპნის** საშუალებით. შემდეგ ვახდენთ სუფთა ნაჭრით სხეულის დაზიანებული ნაწილების სრულად გამშრალებას.



**ფიტოთერაპევტები სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ გვთავაზობენ 11 მცენარისაგან შემდგარ რეცეპტს:**

1. სოჭის წიწვები;
2. ევკალიპტის ფოთლები;
3. შოთხვის ფოთლები;
4. ოფის ან ქრისტესისხლას ფოთლები;
5. სოფორას ნაყოფი;
6. არყის კვირტები;
7. ურცელას (ურთხმელი) ყვავილი;
8. ქრისტესისხლას ფესვები;
9. ბალამწარას ფოთლები;
10. მაჟარას ფოთლები;
11. ასისთავას ფოთლები;

აღნიშნული 11 კომპონენტიანი შემადგენლობიდან, თითოეულ მათგანს ვაქუცმაცებთ რაც შეიძლება წვრილად, დაქუცმაცებულ მასალას ვაშრობთ ჩრდილში და კარგი ჰაერაციის პირობებში. ამის შემდეგ ასეთ გამშრალ მასალას ასევე ცალ-ცალკე ვინახავთ ნაჭრისაგან შეკერილ პარკებში. ასეთი დამუშავებული მასალიდან თითოეულს ვიღებთ თანაბარი რაოდენობით, ასეთ ნარევს ერთგვაროვანი მასის მიღებამდე კარგად ვურევთ ერთმანეთში, რომლიდანაც ვიღებთ 4 სუფრის კოვზს, მასზე ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, მოვურევთ კარგად და თავდახურულს, შალის ნაჭერში შეფუთულს, ვაყოვნებთ 12 საათი, რის შემდეგაც ვახდენთ გაფილტვრას გამოწურვით.

**გამოყენება:** ვახდენთ დაზიანებული ადგილების (კანი, ფრჩხილები) კარგად დამუშავებას; მისი გამოყენება შეიძლება დღეში 2-ჯერ — დილას და საღამოს.

## სოკოვანი დაავადების მკურნალობა ჩაის ხის ზეთით

**სახლის პირობებში სოკოთი დაავადებული ფრჩხილების მკურნალობისათვის კარგ შედეგს იძლევა ჩაის ხის ზეთი.** აღნიშნული ნარევი მზადდება შემდეგნაირად: ვიღებთ ჩაის ხის **20 წვეთ ზეთს,** რომელსაც ვამატებთ მცირე რაოდენობის წყალს, ავურევთ კარგად და დაზიანებული ფრჩხილებით **15 წუთის განმავლობაში მასში ვყოფთ ხელებს და ფეხებს.** პროცედურის შემდეგ ვიშრობთ კარგად და თითოეულ ფრჩხილზე, როგორც დაზიანებულზე, ისე საღზე, **ვიწვეთებთ რამდენიმე წვეთ კონცენტრულ ჩაის ხის ზეთს.** ასეთი წესით დამუშავებულ ხელებსა და ფეხებს ჰაერზე ვაჩერებთ კვლავ სულ ცოტა **20 წუთი,** რის შემდეგაც ფეხზე ვიცვამთ ბამბის წინდებს, ხოლო ხელებზე ხელთათმანებს. ამის გამო აღნიშნული პროცედურის გაკეთება უკეთესი და მოსახერხებელია საღამოთი, ძილის წინ.

## სოკოვანი დაავადების მკურნალობა რეჰანით

**რეჰანის გარეცხილ და შემშრალებულ კონას ვნაყავთ ნებისმიერი საშუალებით** (უმჯობესია ქვა, რკინის საგნით არ შეიძლება) **ფაფისებურ მასამდე. რეჰანის დანაყილ მასას ვახვევთ რაიმე მაგარ ნაჭერში და გამოვწურავთ ძლიერად.**

**გამოყენება:** მიღებული გამონაწურით დღეში 2-ჯერ ვიზელთ დაზიანებულ ადგილებს. ასევე სასურველია, მიღებულ გამონაწურში დავასველოთ 2-3 პირი მარლის ნაჭერი და გაუწურავად ვიკეთებთ გრილ საფენებს. **აღნიშნული წესით პროცედურის გაკეთება უკეთესია საღამოთი, აბაზანის მიღების შემდეგ, ან უბრალოდ საღამოთი ვისუფთავებთ დაზიანებულ ადგილებს, ვიმშრალებთ კარგად და ასეთ დასუფთავებულ ადგილებზე ძილის წინ ვიფენთ აღნიშნულ ნაყენში დასველებულ ბინტის საფენებს.**

## სოკოვანი დაავადების მკურნალობა ნივრით



სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, კარგ შედეგს იძლევა **ნივრის წვენი.** აღნიშნულის დასამზადებლად ვიღებთ გარჩეულ **5 კბილ ნიორს,** ვჭყლეტთ ნივრის საჭყლეტში. დაჭყლეტილ **ნივრის მასას** გამოვახვევთ მიტკლის მაგარ ნაჭერში და ძალდატანებით ვახდენთ მისგან წვენის გამოწურვას. აღნიშნულ წვენს ვამატებთ მცირე რაოდენობის **გამოხდილ წყალს,** ვურევთ კარგად ერთმანეთში და დაზიანებულ ნაწილს ვამუშავებთ აღნიშნული ნივრის ნაყენით. თავისით გაშრობის შემდეგ ვიცვამთ ბამბის წინდებს.

## გოგირდი მეტად სასარგებლო ელემენტია კანისათვის

***ცოცხალი ორგანიზმისათვის მეტად სასარგებლო ელემენტია გოგირდი. იგი განსაკუთრებით სასარგებლოა კანისათვის და კანის მრავალი დაავადების დროს მისი გამოჯანმრთელება ამ ელემენტის გარეშე შეუძლებელია. მკურნალ ექიმთან შეთანხმებისა და კონსულტაციის ქვეშ აუცილებელია, მიღებული იქნეს გოგირდის სუფთა, გაწმენდილი სამედიცინო პრეპარატი. ჩვეულებრივად მას უნიშნავენ მცირე რაოდენობით (დანის წვერით) დღეში 3-ჯერ. მკურნალობის კურსი — ორი კვირა.***

ზოგჯერ ადამიანი ვერ შოულობს სუფთა, სამედიცინო, გაწმენდილ გოგირდს. ასეთ შემთხვევაში მისი შეცვლა შეიძლება ჰომეოპათიური პრეპარატით (სულფურით). ამ პრეპარატსაც ადამიანი იღებს შესაბამისი პროფილის ექიმის კონსულტაციის ქვეშ. წამალს თან ახლავს ინსტრუქცია, სადაც გარკვევით წერია მისი მიღების წესი. ცნობისათვის მას ექიმები უნიშნავენ 3 თვის განმავლობაში 6-6 მარცვალს დღეში სამჯერ. მიღება ხდება დანაყრებათა შორის შუალედებში.

**გოგირდის პრეპარატებით მკურნალობა განსაკუთრებით მაშინ იძლევა დიდ ეფექტს, თუ ადამიანს სისხლში აქვს სტაფილოკოკი.**





# მიხეილ ცაგარელი: ასტროლოგია, მეგობრობა და ზოდიაქოს ნიშნები

*— კურო რა ნიშნით ირჩევს მეგობრებს. ამ მიმართებით განსაკუთრებით რას აფასებს, როგორი ადამიანები მოსწონს და რა არის მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? ვისთან უადვილდება მეგობრობა? ტყუპი რით გამოირჩევა? რატომ ჰყავს ბევრი მეგობარი და რით იხიბლებიან ისინი. მიუხედავად ამისა, რას ერიდება და თავად როგორი მეგობრები ესაჭიროება? კირჩხიბი როგორ ირჩევს მეგობარს? თავად მუდამ რისთვის არის მზად, თუმცა, რაზეა ზედმეტად დამოკიდებული, რამ შეიძლება გაიტაცოს, რა არის მისი პრინციპი და რატომ არის ადვილი მისთვის გულისტკენა? კირჩხიბის ხასიათიდან გამომდინარე, რთულ პერიოდებში ვინ ესაჭიროება გვერდით და ვისთან უადვილდება მეგობრობა? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* **მიხეილ ცაგარელი** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ, ზოგადად, როგორი მეგობრები არიან ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენლები და რა სჭირდებათ მჭიდრო ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.**

— 2. **კუროს მეგობრები ძალიან უყვარს და სავსებით შესაძლებელია, მათთან ურთიერთობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში გააგრძელოს. თუმცა, სანამ ვინმეს დაუმეგობრდება, ხარვეული დროის მანძილზე შორიდან აკვირდება, ცდის და ნელ-ნელა დაახლოებას იწყებს.** კურო განსაკუთრებით აფასებს მოსმენის და უფრო მეტად მოსმენილის სწორად გაგების, გააზრებისა და მიღების უნარს. თუ ამ ნიშნის წარმომადგენელმა ვინმეს მეგობარი უწოდა, ეს იმის მანიშნებელია, რომ ამ ადამიანმა ყველა გამოცდას გაუძლო და მისი სრული ნდობა დაიმსახურა. **კურო** თავის მეგობრებს ძალიან უფრთხილდება, ცდილობს, ყოველთვის დაეხმაროს და აუცილებელი რჩევა დროულად მისცეს. **შეიძლება ითქვას, რომ მეგობრები მისი ოჯახის წევრები ხდებიან.** მეგობრებიც სიამოვნებით სარგებლობენ **კუროს** ბიზნეს თუ საორგანიზაციო თვისებებით, სტაბილურობით, ერთგულებით და პასუხისმგებლობის შეგრძნებით, მაგრამ ზოგჯერ **კურო** ზედმეტად ჯიუტი, ეჭვიანი, მესაკუთრე, ნაკლებად მგრძნობიარე და მატერიალისტი შესაძლოა, გახდეს. გარდა ამისა, **მას მოსწონს სულით ძლიერი, ნებისყოფიანი ადამიანები და ვერ იტანს მავნე ჩვევებსა და მანკიერებაზე დამოკიდებულებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნებისმიერი ახლო ურთიერთობისას მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ერთგულება,** ამიტომ, თუ შეამჩნია, რომ მეგობარმა უღალატა, მას მაშინვე ჩამოიშორებს და დაივიწყებს. აღსანიშნავია ისიც, რომ **კუროს ნიშნით დაბადებული ყველა ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენელთან მეგობრობს, თუმცა, უფრო მეტად უადვილდება მიწის სტიქიის ნიშნით დაბადებულებთან და ასევე კირჩხიბთან და თევზებთან მეგობრობა.**

**3. ტყუპს რაც შეეხება, იგი ძალიან კომუნიკაბელური და აქტიურია. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მეგობრებს ეხება. მის გვერდით არ მოიწყენთ, რამეთუ გამოირჩევა ხიბლით, მხიარული ხასიათითა და გონებამახვილობით, ამიტომ მასთან ურთიერთობა საინტერესო და სასიამოვნოა.** მას ხშირ შემთხვევაში, ბევრი სხვადასხვა სტატუსისა და წრის მეგობარი გააჩნია და ამით ამაყობს კიდეც. მიუხედავად ამისა, **ნაცნობობიდან მეგობრობისკენ ნაბიჯის გადადგმისა ერიდება, ამიტომ იმასთან მეგობრობს, ვინც თავად შეეცდება დამეგობრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მუდმივად კარგი ნაცნობის ან ამხანაგის რანგში იყოს,** რომელიც ზედაპირული საუბრებით ყოველთვის გართობს. თუმცა, ზოგჯერ ემოციების გამო ძალუძს, სიმართლე გადაასხვაფეროს, საკუთარი ისტორიები შეთხზას. **თავად ტყუპს კი ესაჭიროება ისეთი მეგობარი, რომელიც არამარტო მოუსმენს და სასაუბრო თემით დაინტერესდება, არამედ ვისგანაც თავად მიიღებს ახალ და საინტერესო ინფორმაციას. ტყუპი** კარგი მეგობარია, მაგრამ პერიოდულად სიზარმაცე, უდისციპლინობა, ფეთქებადობა და მოუთმენლობა ახასიათებს, რაც შეიძლება დამღლელი და გამაღიზიანებელიც აღმოჩნდეს, ამიტომ მას უადვილდება მეგობრობა **ჰაერის სტიქიის** ნიშნების (სასწორი, მერწყული) წარმომადგენლებთან, რომლებსაც ძალუძთ, **ტყუპის** სისუსტეებს ყურადღება არ მიაქციონ.

**4. კირჩხიბი კი მეგობრებს ზედმიწევნით ირჩევს, ამიტომ დიდი დრო სჭირდება ადამიანებზე დაკვირვებებისა და დაახლოებისთვის. მას ბევრი მეგობარი არ ჰყავს, მაგრამ ისინი ძალიან უყვარს და დიდ სითბოსა და მზრუნველობას ავლენს. მისი სახლის კარი ყოველთვის ღიაა მეგობრებისთვის. კირჩხიბი** მუდამ მზადაა, მეგობარს მოუსმინოს, რჩევა მისცეს და დაეხმაროს. თუმცა, იგი ზედმეტად არის დამოკიდებული მიმდინარე მოვლენებსა და გარემოზე. მაგალითად, საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის შეცვლის შემთხვევაში, შესაძლოა, ახალ ადამიანებს დაუახლოვდეს და იმდენად გაიტაცოს მათთან ურთიერთობამ, რომ ძველი მეგობრები დაივიწყოს. მაგრამ, თუ ცვლილებები მოლოდინს არ გაუმართლებს ან ახალი მეგობრები რაიმე მიზეზით გაქრებიან ან გულს ატკენენ, მაშინ **კირჩხიბი** ძველ მეგობრებს სინდისის ქენჯნის გარეშე დაუბრუნდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **კირჩხიბი ზედმეტად მგრძნობიარე და ემოციურია და მისთვის გულისტკენა ადვილია. შესაძლოა, გაიბუტოს და შერიგებას დიდი დრო დასჭირდება.** მისი პრინციპია: „მხოლოდ წინსვლა“, ამიტომ ადამიანებთან განშორება არ უჭირს და ზოგჯერ მარტო რჩება, თუმცა, ესეც მხოლოდ და მხოლოდ დროებითი მოვლენაა. **თავად კირჩხიბს ისეთი მეგობრები ესაჭიროება, რომლებიც მუდამ გვერდით დგომას, თანაგრძნობას, მის გაგებას, შეცოდებასა და გულში ჩახუტებას შეძლებენ, განსაკუთრებით რთულ პერიოდში.** ამგვარი პერიოდები კი მისი ხასიათიდან გამომდინარე საკმაოდ ხშირია. ამიტომაც **კირჩხიბი ყველაზე კარგად მეგობრობს წყლის სტიქიის ნიშნების** (ღრიანკალი, თევზები) **წარმომადგენლებთან.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 13-19 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ყურადღება მიაქციეთ ფინანსურ საბუთებს, რათა შეცდომები არ დაუშვათ და ვალის აღება არ მოგიწიოთ. უცხოეთთან მიმოწერა და მიღებული ინფორმაცია კარგად გააანალიზეთ, რათა არ შეცდეთ. ოჯახთან დაკავშირებული საქმეები დამღლელი იქნება, პირადი ურთიერთობისას ჯობს, დათმოთ და რჩეულის სურვილები გაითვალისწინოთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ, რათა კარგი განწყობა და ენერგიულობა შეინარჩუნოთ.

**კურო** (21.04-20.05)
საინტერესო შეხვედრებისა და ახალ ადამიანებთან დაახლოების დროა. თუმცა, ხელშეკრულების დადება და ახალი საქმის დაწყება ნაადრევია, რადგან სხვისი აზრის გათვალისწინებას არ ისურვებთ. ყურადღებას ითხოვს მეუღლესთან ან შეყვარებულთან გამწვავებული ურთიერთობა, რაც, შესაძლოა, პრობლემების მიზეზი გახდეს. დაძაბულობის გასანეიტრალებლად მუსიკას უსმინეთ ან ბუნების წიაღში გაისეირნეთ. შორეული მოგზაურობა კი გადადეთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ახალი იდეები და შემოთავაზებანი არარეალური და არასიცოცხლისუნარიანი იქნება და, შესაძლოა, მიზანმიმართულ მუშაობაში ხელი შეგიშალოთ. კარგი იქნება, თუ პროვოკაციებს არ აჰყვებით და რისკისგან თავს შეიკავებთ. ხშირად დაისვენეთ და საქმისა და საკუთარი ბიზნესის დარეგულირების უმოკლესი გზა შეიმუშავეთ. შორეული მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
კარგი პერიოდია არსებული პრობლემების გასაანალიზებლად და მათი გადაჭრის გზების საძიებლად. ამგვარად, ერთდროულად ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც იზრუნებთ და კარიერულ აღმასვლაზეც. დრო სწორად დაგეგმეთ, რათა ბევრმა შეხვედრამ დაღლის შეგრძნება არ გამოიწვიოს. ახალი ურთიერთობის გამო ძველ კავშირებს ნუ გაწყვიტავთ. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის, უცხოელებთან საქმიანი ან პირადი ურთიერთობებისთვის.

**ლომი** (23.07-23.08)
სანამ რამეს დაიწყებთ, მოვლენათა განვითარებას დააკვირდით და დროულად მიიღეთ დამატებითი ცოდნა, რათა გაუთვალისწინებელი პრობლემები არ შეგექმნათ. კარგი დროა ძველი საქმეების დასასრულებლად და შეცდომების გამოსასწორებლად. ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებისთვის კი ნათესავები დაიხმარეთ. სასიყვარულო ურთიერთობამ შესაძლოა, გონება აგირიოთ და დიდ პერსპექტივაზე უარი გათქმევინოთ. მოგზაურობა კი რეკომენდებული არ არის.

**ქალწული** (24.08-23.09)
თქვენს ხიბლს მშვიდად ამ პერიოდში გვერდს ვერავინ აუვლის, განსაკუთრებით კი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები. სახლის საქმეები ბევრ დროს წაგართმევთ, მაგრამ შინაგან სტაბილურობას გაგიმყარებთ, რომანტიკული კავშირი თქვენს იმედს ვერ გაამართლებს. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად კი მიზანშეწონილია მსუბუქი ფიზიკური ვარჯიში. მოგზაურობა ხარჯს დაუკავშირდება, ხოლო უცხოეთში მიზნის მიღწევა იოლი არ იქნება.

## 13-19 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ცხოვრების ტემპი მაღალია, თუმცა, ახალი საქმის დაწყება არ არის რეკომენდებული, ზედმეტი პირდაპირობით პარტნიორებს ნუ გააღიზიანებთ და გარშემო მყოფთა აგრესიას ნუ დაიმსახურებთ. ძველი სიყვარულის გამო, შესაძლოა, განმარტოება და აზრთა გაანალიზება მოინდომოთ, თუმცა, ამის საშუალება არ გექნებათ. ჯობს, ყველა სახის მოგზაურობაზე უარი თქვათ და მოზღვავებული ემოციები მოთოკოთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
როგორც ენერგეტიკა, ისე ინტელექტუალური აქტივობა გაგიუმჯობესდებათ, მაგრამ აუცილებელი იქნება ზოგიერთი პრობლემის მოგვარება. ფული ჯერჯერობით მხოლოდ საჭირო ნივთებსა და ჯანმრთელობაზე დახარჯეთ. შეყვარებულთან მიმართებით პრინციპული ნუ იქნებით და ეცადეთ, არ იეჭვიანოთ, რათა კონფლიქტს თავი აარიდოთ. გზებზე გადაადგილებისას და საჭის მართვისას ნუ გარისკავთ, რათა შემთხვევით არ დაშავდეთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
რთულ სიტუაციაში ეცადეთ, ემოციებს არ აჰყვეთ. როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საქმეში მოსალოდნელია ცვლილებები. ოჯახში გაუგებრობანი სერიოზული გადაწყვეტილების მიღებაზე დაგაფიქრებთ. შესაძლოა, საცხოვრებელი ადგილიც შეიცვალოთ. ალკოჰოლისა და გამაბრუებელი საშუალებების მიღებას მოერიდეთ. კარგი პერიოდია ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
თუ კამათსა და გაუგებრობებს აირიდებთ, შეძლებთ საწადელის მიღწევას. ადრე დაწყებული საქმეების დასრულება გაგიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობას. შეყვარებულის თანადგომა გაგიძლიერებთ თავდაჯერებას. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის, შეხვედრებისთვის, მოლაპარაკებებისთვის, იმიჯის შესაცვლელად, სახლის მოსაწესრიგებლად და დიეტის დასაწყებად.

**მერწყული** (20.01-18.02)
ორგანიზატორული უნარი და რეფორმატორული იდეები სათანადოდ დაფასდება ხელმძღვანელობის მიერ, მაგრამ გაუმჯობესებას საჭიროებს მატერიალური მდგომარეობა. სხვათა აზრს პატივი ეცით და ამგვარად აიცილებთ ოჯახსა თუ საქმიან ურთიერთობაში უსიამოვნების ტალღასა და ფსიქოლოგიურ კრიზისს. უცხოელი პარტნიორებისგან მიღებული დაპირება ან შემოთავაზება კი მომავალში კარგ პერსპექტივას გიქადით.

**თევზები** (19.02-20.03)
საქმეში ინიციატივა საკუთარ ხელში აიღეთ და სასურველი შედეგიც არ დააყოვნებს. ახლობლების შემოთავაზებებს ყურადღება მიაქციეთ. არსებული მდგომარეობა გამოიყენეთ და ცხოვრებისა და მუშაობის პირობები გაიუმჯობესეთ. საქმის დაგეგმვისთვის კარგი დროა. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კი აუცილებელი იქნება ახალი კავშირების დამყარება. გზაში დამყარებული ნაცნობობა კი შესაძლოა, შემდგომ ხანგრძლივ ურთიერთობაში გადაიზარდოს.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 15, 16 და 19 მარტი

**7 მარტი – სავსემთვარეობა,
21 მარტი – ახალმთვარეობა,
პიკი – 21.27 საათზე;
გაზაფხულის ბუნიობა და დღეღამტოლობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 13 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.17 საათზე, ჩადის 19.05 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.14) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 00.23 საათზე, ჩადის 09.59 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 02.00 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.58 საათიდან 11.14 საათამდე. **ტენდენციები:** კარგი დღეა ოჯახურ გარემოში დასვენებისთვის, თვითშემეცნებისთვის, წარსულის გასააზრებლად. დიდხანს მარტო ნუ იქნებით. დღეს და ხვალ მოერიდეთ მძიმე ფიზიკურ სამუშაოს. ბავშვები ქუჩაში ყოფნისას აკონტროლეთ. კარგი დღეა მგზავრობისთვის, თანამშრომლობისთვის, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, სპორტული ღონისძიებებისა და ვარჯიშებისთვის, წყლის პროცედურებისთვის, მასაჟისთვის, სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, ფილტვების, ხელებისა და მეტყველების დარღვევის მკურნალობისთვის. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, იაგუნდი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 14 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.15 საათზე, ჩადის 19.06 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 01.36 საათზე, ჩადის 10.38 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 03.32 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** გამახვილებულია ინტუიცია, მოუსვენრობა, თავგადასავლისკენ მიდრეკილება, კომპეტენტურობის გამოვლენის სურვილი, მოიმატებს სულიერი განვითარებისკენ მიდრეკილება. კარგი დღეა მგზავრობისთვის, სწავლისთვის, საარქივო მასალის გასაცნობად, გათბობის სისტემის დასამონტაჟებლად, პარტნიორთან გულახდილი საუბრისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სპორტული ღონისძიებისა და ვარჯიშებისთვის, ფილტვებისა და ხელების სამკურნალოდ. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, სარდიონი, საფირონი, ლალი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 15 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.14 საათზე, ჩადის 19.07 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.03) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 02.47 საათზე, ჩადის 10.38 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 04.59 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 06.10 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.50 საათიდან 16.06 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გამოავლინეთ თავდაჭერა, ზედმეტი ემოციები გააკონტროლეთ. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, ადრე დაწყებული დაასრულეთ. ურთიერთობისას მეტი მოთმინება და ტაქტი გამოავლინეთ. შური, ეჭვიანობა გააკონტროლეთ. კარგი დღეა მგზავრობისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის. დღის II ნახევარში კი კარგია საოფისე საგნების, უძრავი ქონების შეძენა, სარესტავრაციო სამუშაოები, ხელი შეეწყობა მავნე თვისებებისგან გათავისუფლებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ფირუზი, ნეფრიტი, ციტრინი, ონიქსი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 16 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.12 საათზე, ჩადის 19.08 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 03.52 საათზე, ჩადის 12.28 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 06.09 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს **მზისა** და პლანეტა **ნეპტუნის** ენერგიათა შეერთება **თევზების** ზოდიაქოში ხელს შეუწყობს ოცნებებისა და ფანტაზიების ასრულებას, ამაღლებული სიყვარულის შეგრძნებას, შემოქმედებას, ინტუიციის გამახვილებას, რელიგიურ-ეზოთერული საკითხების შეცნობისკენ მიდრეკილებას. ამავდროულად, ურთიერთობისას იმატებს სიჯიუტე, განაწყენება. არ არის სასურველი მკვეთრი მოძრაობები, სიმძიმის აწევა, ტატუირება, სტომატოლოგიური პროცედურები, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. კარგი დღეა კუჭ-ნაწლავის, მკერდის, კანის ფილტვების, ფრჩხილების სამკურნალოდ, მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად, უძრავი ქონების, საოფისე საგნების, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, კოლექციის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 17 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.10 საათზე, ჩადის 19.09 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.29) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 04.49 საათზე, ჩადის 13.41 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 06.55 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.14 საათიდან 18.25 საათამდე. **ტენდენციები:** დღეიდან სიყვარულისა და ხელოვნების მფარველი პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს **კუროს** ზოდიაქოში (11 აპრილამდე), რაც გააძლიერებს პირად ურთიერთობებს, მოთმინებას, ერთგულებას, კომფორტისკენ მიდრეკილებას და გააუმჯობესებს იმ ადამიანთა ფინანსურ მდგომარეობას, რომლებიც ჩართული არიან ხელოვნებისა და არქიტექტურის სფეროში, მშენებლობაში, საბანკო-საფინანსო და სასოფლო-სამეურნეო სფეროში. დღეს მახვილდება ინტუიცია. იყავით ყურადღებით, მაღალია ტრავმებისა და ავარიების ალბათობა. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ხელმძღვანელთან ურთიერთობა. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, საათების, უძრავი ქონების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი, თვალები, ვენები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 18 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.09 საათზე, ჩადის 19.10 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 05.35 საათზე, ჩადის 15.00 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 07.22 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ ექსპერიმენტებსა და კამათს, სხვათა გამოთქმების გამო კრიტიკას, ზედმეტ ლაპარაკსა და ილუზიებს. რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. მანდილოსნები უფრო პრაგმატულნი იქნებიან. შესაძლებელია, კარგი ამბავი გაიგოთ, ძველი საქმისგან მოგება მიიღოთ, ძველ ნაცნობს მოულოდნელად შეხვდეთ. მოსალოდნელია წარმატებული ცხოვრებისეული „გადახვევა". კარგი დღეა ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, სამღებრო-სარემონტო სამუშაოებისთვის, კომპიუტერის, ელექტრო და აირ-აპარატურის შესაძენად, ნოვატორული საქმიანობისთვის, სამეცნიერო კვლევებისთვის, რეკლამა-განცხადებებისთვის. არ არის სასურველი ფორიაქი, ფეხზე დიდხანს დგომა, საიდუმლოს გამხელა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ლაბრადორიტი, ამაზონიტი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 19 მარტი, კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.07 საათზე, ჩადის 19.11 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.17) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.12 საათზე, ჩადის 16.20 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 07.38 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.33 საათიდან 19.12 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **ვერძის** ზოდიაქოში (3 აპრილამდე), რაც გააძლიერებს ადამიანებში გონებამახვილობას, ლიდერულ-ორგანიზატორულ თვისებებს, ოპტიმიზმს და ასევე სულსწრაფობას, ეგოიზმს, დიქტატორობას, სიჯიუტეს, უყაირათობასა და კამათისკენ მიდრეკილებასაც. ნუ იჩქარებთ დასკვნის გამოტანას. ტრავმულ-ავარიული დღეა. კარგი დღეა ბინის შესაცვლელად, რემონტისთვის, საზოგადოებრივ-ნოვატორული საქმიანობისთვის, კომპიუტერის, ელექტრო და აირ-მოწყობილობების შესაძენად. არ არის სასურველი საიდუმლოს გამხელა, ზედმეტი ლაპარაკი, თავის ქება, დიდხანს ფეხზე დგომა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ლაბრადორიტი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



13 მარტი - ხსენება ღირსისა ბასილი აღმსარებელისა



19 მარტი - ჯვრის თაყვანისცემა

✝ **13 მარტი. ორშაბათი. ღირსისა ბასილი აღმსარებელისა;** მღვდელმოწამისა პროტერისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა; მღვდელმოწამისა ნესტორ ეპისკოპოსისა, პამფილიის პერგეს ვნებულისა; ღირსთა დედათა მარინასი და კირასი; მოციქულთა: ევულოსისა და ნუმფასი; მოწამისა აბერკისი; ახალმოწამისა ნა თესალონიკელისა; ღირსისა გერმანესი.

✝ **14 მარტი. სამშაბათი.** ღირსმოწამისა ევდოკიასი; მოწამისა ანტონინასი; მოწამეთა მარკელესი და ანტონისა; ღირსისა დომნინა სირიელისა; ღირსისა აგაპი ვათოპედელისა, ათონელისა; დავითისა, უელსის მთავარეპისკოპოსისა და მფარველისა; ღირსისა ლუკა სიცილიელისა; მოწამისა პარასკევა ტრაპეზუნდელისა.

✝ **15 მარტი. ოთხშაბათი.** მღვდელმოწამისა თეოდოტესი, კვირინელი ეპისკოპოსისა; ქალწულმოწამისა ევთალია სიცილიელისა; მოწამისა ტროადისა და მისთანა წამებულთა; 440-თა იტალიელ მოწამეთა; არსენისა, ტვერელი ეპისკოპოსისა.

✝ **16 მარტი. ხუთშაბათი. იოანე IV ოქროპირისა, ქართლის კათალიკოსისა;** მოწამეთა: ევტროპისი, კლეონიკესი და ბასილისკოსი; ღირსისა პიამუნ ქალწულისა; წმიდათა ზენონისა და ზოილესი; მღვდელმოწამისა თეოდორიტესი, ანტიოქიელი ხუცისა.

✝ **17 მარტი. პარასკევი.** ღირსისა გერასიმე იორდანიელისა; მოწამეთა პავლესი და დისა მისისა ივლიანასი; გრიგოლისა, კვიპროსის კოსტანცელი ეპისკოპოსისა; კეთილმსახურისა მთავრისა დანიელ მოსკოველისა; ღირსისა გრიგოლისა, ასელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: აკაკისა, კოდრატესი და სტრატონიკესი, ეგვიპტის პტოლემაიდაში წამებულთა.

✝ **18 მარტი. შაბათი. მიცვალებულთა ხსენება.** მოწამისა კონონ ისავრიელისა; მოწამისა ონისესი; მოწამისა კონონ მებაღისა, გალილეის ნაზარეთელისა; მოწამისა ევლოგი პალესტინელისა; მოწამისა ევლამპისა, ღირსისა მარკოზისა.

✝ **19 მარტი. კვირა. დიდმარხვის მე-3 კვირა. ჯვრის თაყვანისცემა.** მღვდელმოწამისა დოსითეოზისა, ქუთათელი მიტროპოლიტისა; 42-თა ამორეველ მოწამეთა: კონსტანტინესი, აეტისა, თეოფილესი, თეოდორესი, კალისტესი, ბასოსი, პატრიკისა, თეოდორე კრატერისა, მელისენესი და სხვათა მათთანა; პოვნა პატიოსნისა ჯვარისა და პატიოსანთა სამსჭვალთა წმიდისა ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში.




საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI
GEORGIA · ISRAEL JOINT CLINIC
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6,
მეხუთე სართული. 591 35 33 55

თამარისი Tamarisi
დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93     598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics



მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კაბუკი; 7. ქორდა; 12. მხევალი; 13. როზეტი; 14. მანავი; 15. ლამბი; 16. ჯეოსელი; 17. ზუმერი; 18. კასიკი; 21. კანჯო; 22. კისერი; 25. ნუარე; 26. პანდორა; 27. ტიტა; 29. ლეგრანი; 30. სირია; 33. ორაგული; 34. კარმა; 35. ნიახური; 36. მეტრო; 37. იპოლიტე; 41. ნუსხა; 42. გორილა; 45. რუისი; 46. ტრიოლეტი; 47. სიძე; 49. დამიანე; 50. წამი; 52. სელენიტი; 56. ტალღა; 57. ტარანი; 60. წილი; 61. მენისკი; 62. მახა; 63. ტარანტასი; 64. ლაყე; 65. ორეგონი; 66. სოჭი.

შვეულად: 2. აჭარა; 3. ულაყი; 4. იმიჯი; 5. ბეკონი; 6. მაჩეტე; 7. ქილიკი; 8. რომანსი; 9. არიზონა; 10. აზამბარი; 11. სტარტერი; 18. კაპრონი; 19. სენტავო; 20. კროკუსი; 22. კალინე; 23. საგრაფო; 24. რეალური; 27. ტიკინა; 28. ტურისტი; 30. სამარე; 31. რიტმიკა; 32. ანონიმი; 38. პორშე; 39. ლეონე; 40. ტვენი; 42. გიდი; 43. რამპა; 44. ლუარა; 47. სეტი; 48. ძალუა; 50. წაწალი; 51. მალაყი; 52. სამბო; 53. ლონგე; 54. ნესტო; 55. ტაიტი; 57. ტურა; 58. რენო; 59. ნიაზ; 62. მის.

კერამიკადომინოსიროკოკაინიტიულისეტერიერი
ტაბურეტირადიუსიერინიამორიელინებიერატოსკა

| გამომწვარი თიხის ნაკეთობანი | სამაგიდო თამაში | ცხელი ქარი სამხრეთ ევროპაში | ნარკოტიკული ნივთიერება | ბადისებრი ქსოვილი | ძაღლის ჯიში | ნაცია |
|---|---|---|---|---|---|---|

| ოჯახი, სახლ-კარი | იაპონიის იმპერატორების ტიტული | კუნძულ კრეტას მეფე (მით.) | სტილი არქიტექტურაში | სასასუქე მინერალი | ჯ. ჯოისის რომანი | ოთახის ძაღლის ჯიში |
|---|---|---|---|---|---|---|




თარაზულად: 1. იაპონური თეატრი; 7. სწორი ხაზი — აერთებს მრუდი ხაზის ორ წერტილს; 12. ხელზე მოსამსახურე, მოახლე ქალი; 13. სამურაბე პატარა ლამბაქი; 14. ქართული ღვინო; 15. შვილდის ბაწარი; 16. მობილური კავშირის ქართული კომპანია; 17. ელექტრომოწყობილობა ხმოვანი სიგნალების მისაღებად; 18. ინდიელთა ბელადი მექსიკაში; 21. პატარა ნიჩბიანი ნავი; 22. სხეულის ნაწილი, რომელიც აერთებს თავს ტანთან; 25. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 26. ქალი, რომელსაც ზევსმა მისცა ადამიანის ყველა უბედურების ყუთი; 27. ყვავილი; 29. ფრანგი კომპოზიტორი; 30. აზიის სახელმწიფო; 33. თევზის სახეობა; 34. გაზის გამათბობელი ერთ-ერთი ღუმელი; 35. მწვანილის სახეობა; 36. მიწისქვეშა ტრანსპორტი; 37. მსახიობი ... ხვიჩია; 41. სია, ჩამონათვალი; 42. ადამიანის მსგავსი მაიმუნი; 45. სოფელი ქარელის რაიონში; 46. რვასტრიქონიანი ლექსი; 47. ქალიშვილის ქმარი; 49. მე-14 საუკუნის ქართველი მხატვარი; 50. წუთის 1/60 ნაწილი; 52. მთვარის მცხოვრები ფანტასტიკურ რომანებში; 56. ზვირთი; 57. კობრისებრთა ოჯახის თევზი; 60. ქართული ასო წ-ის სახელწოდება; 61. მუხლის სახსრის სახსარშიდა ხრტილი; 62. გოია — „შიშველი ...“; 63. ოთხთვალა სამგზავრო ეტლი; 64. გაფუჭებული კვერცხი; 65. აშშ-ის შტატი; 66. წიწვოვანი ხე.

შვეულად: 2. საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკა; 3. მამალი ცხენი; 4. ადამიანის ავტორიტეტი, სახე; 5. ინგლისელი ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი; 6. შაქრის ლერწმის მოსაჭრელი დანა; 7. ხუმარა, ოხუნჯი; 8. პატარა სასიმღერო ლექსი; 9. აშშ-ის შტატი; 10. ღვინის სმაში გათანასწორება შემოსწრებულისა; 11. ავტომობილის ძრავის ასამოქმედებელი მოწყობილობა; 18. ხელოვნური ბოჭკო; 19. ხურდა ფული ბრაზილიაში, არგენტინაში; 20. რკინის ჟანგი ფხვნილის სახით, გამოიყენება ძვირფასი ქვების გასაპრიალებლად; 22. ძველი ბერძენი პოეტი ... ეფესელი; 23. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ინგლისში, აშშ-ში; 24. ნამდვილი, ჭეშმარიტი; 27. დედოფალა; 28. მოგზაური ამა თუ იმ ქვეყნის გაცნობის მიზნით; 30. საფლავი; 31. მოძღვრება რიტმის შესახებ; 32. ფსევდონიმად გამოყენებული ვისიმე ნამდვილი სახელი; 38. გერმანული ავტომობილი; 39. იტალიელი რეჟისორი; 40. ამერიკელი მწერალი; 42. ექსკურსიამძღოლი; 43. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 44. მდინარე საფრანგეთში; 47. პარტია ჩოგბურთში; 48. ბიცოლა; 50. სატრფო, რომელთანაც ქორწინება აკრძალული იყო (ძვ. ფშავში); 51. ყირაზე გადასვლა; 52. ჭიდაობის სახეობა; 53. ძველი ბერძენი პოეტი; 54. ცხვირის გარეთა ხვრელი; 55. კუნძული წყნარ ოკეანეში; 57. გარეული ცხოველი; 58. ფრანგული ავტომობილი; 59. მუსიკოსი ... დიასამიძე; 62. ქალიშვილი (ინგლ.).

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| უზურგო სკამი | დიამეტრის ნახევარი | შურისმაძიებელი ქალღმერთი ბერძნულ მით. | ზოდიაქოს ნიშანი | შორენას შვილის ნუკრი (ლიტ.) | პუჩინის ოპერა |
|---|---|---|---|---|---|

| აკრძალვა | საზოგადოებრივი საპირფარეშო | გაუვალი, უღრანი ტყე | კლდის თხა | ძველი ბერძნები | ლირიკული პოეზიის ბერძნული მუზა | საფუტკრე |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2023 წლის 13 – 19 მარტი №12 (1476)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაკორპორაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol